

თინა ხიდაშელი:
"ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს ქვეყანა"
A3



"თქვენი აფხაზეთი"
A5



იტალია ტილოსა და გონებაში
A6


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი, 2006 წელი. №225 (1377) | ფასი 50 თეთრი



"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge



თიბისი-ფოსტა

გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?

გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?

გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 11/10 | 12/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 21 |
| ბათუმი | 22 | 23 |
| სოხუმი | 20 | 20 |
| ქუთაისი | 22 | 22 |
| გორი | 18 | 16 |
| ონი | 15 | 11 |
| ზუგდიდი | 22 | 22 |
| ახმეტა | 22 | 20 |
| სამტრედია | 22 | 22 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7395 |
| ევრო | 2.1904 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.2457 |
| რუბლი | 0.0647 |


ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
პროექტი A 5
რევიუ A 6
სპორტი A 7
რევიუ A 8


# "მინიიმპერია" "პორტიანკების" გარეშე

*გერმანიაში მყოფი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი საქართველოზე, როგორც "მინიიმპერიაზე" საუბრობს და ომისთვის მზადებაში ადანაშაულებს. მოსკოვში მყოფი თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი კი თბილისიდან რუსი სამხედროების სასწრაფო ევაკუაციას აცხადებს.*



### "გახლეჩილი" ერის გამაერთიანებელი პუტინი

**"ყველა ქვეყანას აქვს უფლება, დამოუკიდებლად იმოქმედოს და პარტნიორები დამოუკიდებლად აირჩიოს. მაგრამ ეს უფლება არ უნდა დაედოს საფუძვლად აგრესიულ ქმედებებს საგარეო პოლიტიკაში. მას შემდეგ, რაც ჩვენი ოფიცრები როგორც მძევლები, ისე აიყვანეს, ჩვენ იძულებულნი გავხდით პასუხი გაგვეცა. არ ვიცი, ეს დაპატიმრება უკავშირდებოდა თუ არა ადგილობრივ არჩევნებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ნაბიჯის პატიება შეუძლებელია,"** - ასე განმარტა პუტინმა გაზეთ "ზიუდდოიჩე ცაიტუნგ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსულ-ქართული კონფლიქტის მიზეზები.

პუტინმა საქართველოში არსებულ კონფლიქტებზეც ისაუბრა:

**"ოსები მიიჩნევენ, რომ ისინი ორჯერ თავისი ისტორიის განმავლობაში ქართველების მხრიდან გენოციდის მსხვერპლნი გახდნენ.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# გამოცდა ქართული სახელმწიფოსთვის

**B**

*რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის ბლოკადის გამოცხადების პირველივე დღიდან აქტუალობას არ კარგავს კითხვა, ვის უფრო მეტად ავნებს ეს ბლოკადა - რუსეთს თუ საქართველოს. მრავალი და საკმაოდ სერიოზული არგუმენტის არსებობის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ "ცხელ კვალზე" ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში ძალიან რთულია ლაპარაკი სიმეტრიულ ზარალებზე.*



# დონადონი შემადგენლობას მალავს

ვასილ უდუმაშვილი

გრძელდება იტალიელთა სტუმრობა ქართულ მიწაზე. გუშინდელი დღე საკმაოდ დატვირთული გამოდგა. მატჩის ორგანიზატორებმა ყველაფერი ისე მოაწყვეს, რომ იტალიელთა ქართული ვოიაჟის მეორე დღის მთავარი მოვლენები ბორის პაიჭაძის სახელობის განახლებულ სტადიონზე გამართულიყო და ამით ჟურნალისტებსაც გაუიოლეს საქმე.

მოკლედ, საღამოს 6 საათისთვის ეროვნულ სტადიონს მივაკითხეთ, სადაც ცოტა ხანში იტალიელთა ღია ვარჯიში უნდა დაწყებულიყო, შემდეგ კი - სენიორ რობერტო დონადონის პრესკონფერენცია. აქვე გეტყვით, რომ, როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონებს პროტოკოლის დარღვევაც ეპატიებათ. როგორც წესი, ასეთ პრესკონფერენციებს მწვრთნელთან ერთად ერთი ფეხბურთელი მაინც ესწრება. მაგალითად, საქართველო-საფრანგეთის მატჩის წინ ჟურნალისტებს რაიმონ დომენეკი ვილი სანიოლთან ერთად ეწვია. მაგრამ აპენინელებმა ეს ტრადიცია არად ჩააგდეს და მედიასთან სასაუბროდ მხოლოდ მწვრთნელმა მოიცალა.

თუმცა, მოდით, თანამიმდევრობით მივყვეთ. "24 საათის" გუშინდელ ნომერშიც მოგახსენეთ, რომ იტალიის ნაკრებს რამდენიმე ლეგენდარული ფეხბურთელი ჩამოჰყვა და ჯიჯი რივას კომენტარიც გაგაცანით. გუშინ კი იტალიის ნაკრების ვარჯიშის დროს ტრიბუნებზე სანდრო მაცოლა მოვიხელთეთ. იტალიური ფეხბურთის ლეგენდას რამდენიმე კითხვით მივმართეთ, რადგან ვრცელი ინტერვიუსთვის სენიორ მაცოლას არ ეცალა. ცხადია, ჩვენი შეკითხვები მხოლოდ მომავალ მატჩს ეხებოდა.

გაგრძელება A7 გვერდზე



ზაურ ბუღაშვილის ფოტო

*იტალიელები ოპტიმისტურად არიან განწყობილი.*

# რუსეთის საპატრიარქოს პოზიცია

## რუსი ჩინოვნიკების პოზიციისგან არ განსხვავდება

*"რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა რუსეთის მიზეზით არ გაუარესებულა. ეს ურთიერთობა, მიუხედავად ყოველგვარი სირთულისა, საქართველოში ხელისუფლების შეცვლამდე ნორმალურად ვითარდებოდა, მაგრამ პოლიტიკოსები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება, ვფიქრობ, რომ ჩვენი ხალხი ერთად ცხოვრებისთვისაა განწირული," - ეს განცხადება 9 ოქტომბერს რუსეთის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსის მოადგილემ დეკანოზმა ვსევოლოდ ჩაპლინმა გააკეთა. გუშინ რელიგიური საკითხების შემსწავლელ ცენტრში ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნოდარ ლადარიამ, პოეტმა რატი ამაღლობელმა და ამ ცენტრის დირექტორმა ლადო გოგიაშვილმა მამა ვსევოლოდის მიერ გახმოვანებულ რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალურ პოზიციას პრესკონფერენციით უპასუხეს.*

ეკა ჯანაშია

**"რუსეთის საპატრიარქოს პოზიცია, რომელიც რუსეთში ყველაზე დიდი და ძლიერი სოციალური ინსტიტუტია, დიდად არ განსხვავდება "ველიკოდერჟავნიკი" გლებ პავლოვსკისა და რუსეთის ხელისუფლების "ნათელი" წარმომადგენლების პოზიციისგან. მაშინ, როდესაც რუსეთში ანტიქართული ისტერია საშიშ ფორმებს იღებს, როცა საქართველოს მოქალაქეებსა და ქართული წარმოშობის რუსეთის მოქალაქეებს რუსეთიდან ერეკებიან, რუსეთის საპატრიარქო ამ განცხადებით მხარდაჭერას უცხადებს ვანდალიზმს. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს საპატრიარქო სათანადო პასუხს გასცემს ამ განცხადებას, გამოიყენებს მთელ შესაძლებლობებს, რათა დაიცვას საქართველოს მოქალაქეები და ხმას აიმაღლებს რუსეთის სახელმწიფოს მიერ ქართველებისთვის გამოცხადებული აპარტეიდის გამო,"** - განაცხადა ლადო გოგიაშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბრძოლა ერთი მანდატისთვის

*საარჩევნო ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ლიდერები 13 ოქტომბერს საერთაშორისო ფორუმის მოწვევას გეგმავენ. როგორც გუშინ გაირკვა, ამ შეკრების მიზანი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ინფორმირებაა იმ დარღვევებზე, რომელიც, არჩევნების შედეგების შეჯამებისას, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და მთლიანად ხელისუფლებამ ჩაიდინა და "რესპუბლიკელების" ერთ-ერთი ლიდერი თინათინ ხიდაშელი თბილისის საკრებულოში მანდატის გარეშე დარჩა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მას მერე, რაც ყველა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ ხუთი ოქტომბრის არჩევნებს ცალსახად დადებითი შეფასება მისცა და მხოლოდ ტექნიკური ხასიათის დარღვევებზე გააკეთა აქცენტი, ბლოკის ლიდერებს მათი მხარდაჭერის იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეთ.*

თამარ ასათიანი

სკანდალმა, რომელიც ორი დღის წინ საკმაოდ მოულოდნელად აგორდა, "რესპუბლიკელებსა" და "კონსერვატორებს" საკმაოდ ხმამაღალი განცხადებების საშუალება მისცა. "ჩვენ გადავაყენებთ ამ მთავრობას," - ეს ის მთავარი გზავნილი იყო, რომელიც ამ ორი პარტიის ლიდერებისაგან გუშინ მთელი დღის განმავლობაში ისმოდა.

**"2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში სააკაშვილმა ორჯერ ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე ამ არჩევნებში ჩვენმა ბლოკმა. მიუხედავად იმისა, რომ გვართმევენ მანდატებს, ხმებს, გვიყალბებენ ბიულეტენებს, ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენ ოფიციალურ მონაცემებში აღნიშნულ რაოდენობაზე ორჯერ მეტი ხმა მივიღეთ, მაგრამ სააკაშვილმა შიშის გამო შედეგები გააყალბა,"** - ცხარობდა გუშინ დავით უსუფაშვილი. გუშინვე გაირკვა, რომ ბლოკი არჩევნების შედეგების გადასინჯვას უკვე სასამართლოს მოსთხოვს.

**"ცესკო-მ არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა და მანდატები გადაანაწილა. თავისუფალი 2 მანდატი დარჩა, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, იმ პარტიებზე**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჟურნალისტის მკვლელობის ძირითადი ვერსიები

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის თაობაზე პირველი კომენტარი გააკეთა. "ეს არის ამაზრზენი მკვლელობა, სასტიკი დანაშაული, რომლის ჩამდენიც მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვინც არ უნდა იყოს იგი. ეს მკვლელობა - ადამიანის, დედის, ქალის დაიგეგმა ჩვენი ქვეყნის, მოქმედი ხელისუფლების, ჩეჩნეთის რესპუბლიკის, მთლიანად რუსეთის წინააღმდეგ. ამ მკვლელობამ რუსეთს გაცილებით ძლიერი დარტყმა მიაყენა, ვიდრე პოლიტკოვსკაიას პუბლიკაციებმა, რომელიც პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. მართალია, ის იყო საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი, რომელიც ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებდა, მაგრამ მისი გავლენა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე მინიმალური იყო," - განაცხადა გუშინ ვლადიმირ პუტინმა.

გუშინ მოსკოვში ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია დაკრძალეს. გამოძიება კვლავინდებურად ერთ ძირითად ვერსიაზე მუშაობს - შეკვეთილი მკვლელობა პროფესიონალური საქმიანობის მოტივით; და თუ აქამდე ამ ვერსიის მიმართულებებს ასაიდუმლოებდნენ, ახლა ეს დახურული ინფორმაცია ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა.

ვერსიის ერთი მიმართულებით, პოლიტკოვსკაია იმ მილიციონერთა შურისძიების მსხვერპლი გახდა, რომლებიც, მისი პუბლიკაციების გამო, ან ციხეში აღმოჩნდნენ ან იძებნებიან.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ნატო აღიარებს საქართველოს ამბიციებს

*"ნატო აღიარებს საქართველოს ამბიციებს, გახდეს ალიანსის წევრი," - აცხადებს ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსი და, იმავდროულად, შეგვახსენებს, რომ "ნატო-ში გაწევრიანებამდე გზა რთული იქნება".*



ვერიკო თევზაძე

სიმონსი ჩვენს ქვეყანას ოფიციალური ვიზიტით გუშინ ეწვია. ეს არის კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენმდივნის სპეციალური წარმომადგენლის პირველი ვიზიტი მას შემდეგ, რაც საქართველო ნატო-სთან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე, "ინტენსიურ დიალოგზე" გადავიდა.

გუშინვე სიმონსი დაესწრო მთავრობის კანცელარიაში ნატო-სთან "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის" იმპლემენტაციის სახელმწიფო კომისიის სხდომას. იგი შეხვდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს გიორგი ბარამიძეს და საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს.

გიორგი ბარამიძემ გუშინდელ ბრიფინგზე მედიას განუცხადა, რომ სიმონსს გადასცა ორი დოკუმენტი. პირველი არის "ინტენსიური დიალოგის" საწყისი სადისკუსიო დოკუმენტის საბოლოო პროექტი (initial Discussion paper), რომლის მიხედვითაც წარიმართება კონსულტაციები "ინტენსიური დიალოგის" ფარგლებში. ბარამიძე იმედოვნებს, რომ ხუთი თავი, რომლისგანაც შედგება ეს დოკუმენტი, მომავალი წლის გაზაფხულისათვის უკვე განხილული იქნება. პირველი ორი თავის განხილვა, რომელიც ეხება სამხედრო და პოლიტიკურ სფეროებს, 2006 წლის ბოლოსათვის დასრულდება.

ბარამიძის ინფორმაციით, მეორე დოკუმენტი "აიპაპ"-ის დამატებით ამოცანებს მოიცავს. იგი მიზნად ისახავს არსებული ფორმატის შენარჩუნებას პერიოდამდე, ვიდრე საქართველო მაპ-ზე გადავა.

რობერტ სიმონსი საქართველოში გატარებულ რეფორმებს დადებითად აფასებს. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სამხედრო სფეროში სასიკეთო ცვლილებებს და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულ წარმატებებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ნატოს-თან ინტენსიური დიალოგის რეჟიმში გადადის, "აიპაპი" კვლავ რჩება რეფორმების განხორციელების ძირითად ინსტრუმენტად, - განუცხადა გუშინ მედიას ნატო-ს გენმდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის აზრით, "ინტენსიური დიალოგის" რეჟიმზე გადასვლა მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ასევე თავად ალიანსისთვის.

"ჩვენ დავისახეთ კონკრეტული ამოცანები, რომელიც საქართველომ "ინტენსიური დიალოგის" ფარგლებში უნდა განახორციელოს. ვისაუბრეთ იმ შედეგებზე, რომელსაც საქართველოს ახალ რეჟიმში გადასვლა მოუტანს," - განაცხადა ბეჟუაშვილმა სამინისტროში გამართული ბრიფინგის შემდეგ.

მინისტრის ინფორმაციით, მომავალი წლის თებერვალში "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის" მორიგი გადახედვა მოხდება, რომელსაც ახალი ვალდებულებები დაემატება. ეს ხელს შეუწყობს მაპ-ის რეჟიმში გადასვლას.

რობერტ სიმონსი "ინტენსიური დიალოგის" დასრულების თარიღის დაკონკრეტებისგან თავს იკავებს. მისი თქმით, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად შეასრულებს საქართველო მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან რობერტ სიმონსის შეხვედრები ქართულ-რუსულ ურთიერთობებსაც ეხებოდა. კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენმდივნის სპეციალური წარმომადგენელი შეშფოთებულია რუსეთსა და საქართველოს შორის ვითარების გამწვავებით. რობერტ სიმონსი დადებითად აფასებს ამ დაპირისპირების დროს საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთი თავის აგრესიულ პოლიტიკას შეწყვეტს.

დღეისათვის დაგეგმილია სიმონსის შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან. ნატო-ს გენმდივნის სპეციალური წარმომადგენლის ვიზიტი დღესვე დასრულდება.

# "მინიიმპერია" "პორტიანკების" გარეშე

პირველი გვერდიდან

**მსგავსი ვითარებაა აფხაზეთთან დაკავშირებითაც. მოსწონთ ეს თუ არა ჩვენს ქართველ კოლეგებს, საქართველო რეგიონში აღიქმება, როგორც მინიიმპერია"**.

კონფლიქტების თემას პუტინმა მცირე "ისტორიული ექსკურსიც" მოაყოლა: **"ოსეთი საბჭოთა კავშირის დროს გაიყო. ამჯერად ნაწილი რუსეთს ეკუთვნის, ნაწილი საქართველოს. ეს ხალხი ისევე არის გაყოფილი, როგორც ოდესღაც გერმანელები. გერმანელებისთვის ეს მეორე მსოფლიო ომის შედეგი იყო, ოსებისთვის - საბჭოთა კავშირის დაშლის"**.

**"ჩვენ მზად ვართ დავეხმაროთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. მაგრამ ეს მხოლოდ ოსი ხალხის ნების გამოხატვის შედეგად შეიძლება მოხდეს. ამისკენ იძულება არ შეიძლება. აუცილებელია დიპლომატიური და ჰუმანიტარული მეთოდები,"** - განაცხადა პუტინმა და იქვე საქართველოს ხელისუფლება ომის მზადებაში დაადანაშაულა.

**"საქართველოს ხელისუფლება ყველაფარს აკეთებს პრობლემის ომის გზით გადასაწყვეტად. ქართველები უზომოდ იარაღდებიან და ყველა შეთანხმებას არღვევენ. შიდაპოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა ანტირუსული რიტორიკით და სამხედრო ფსიქოზის გაღვივებით შეუძლებელია,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

### "ომს გიჟის გარდა ვერავინ წარმოიდგენს"

სანამ რუსეთის პრეზიდენტი "გახლეჩილი" ოსეთის გაერთიანებაზე გერმანიაში საუბრობს, რუსეთი თბილისში განლაგებული სამხედრო მოსამსახურეების ვადაზე ადრე გაყვანის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას. ამის შესახებ გუშინ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, მთავრობის ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა განაცხადა.

თბილისს მალე 387 სამხედრო და 484 სამოქალაქო პირი დატოვებს. **"ჩვენს სამხედროებს თბილისში ველარ გავაჩერებ, ეს საქართველოს "ჭკვიანური პოლიტიკის" შედეგია,"** - განაცხადა ივანოვმა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოში დარჩენილი სამხედრო ბაზები გაყვანილი იქნება დათქმულ ვადებში. **"იქ აღარაფერი დარჩება - არც ერთი "პორტიანკა", არც ლურსმანი, არც ტყვია. საქართველოს შეიარაღების განახლებისათვის საკუთარი წყაროები აქვს,"** - განაცხადა ივანოვმა. "პორტიანკები" ივანოვმა უკვე მეორედ ახსენა, თუმცა ეს ნივთი, რომელიც ივანოვს ქართველებისთვის არ ემეტება, საქართველოს შეირაღებულ ძალებში არასოდეს იხმარებოდა.

ახალქალაქიდან რუსული ბაზის გაყვანა 2007 წელს უნდა დასრულდეს, ბათუმიდან - 2008 წლის ბოლომდე. ივანოვმა ისიც განაცხადა, რომ სამშვიდობო ძალები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონას მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებენ, თუ ამას ოროვე მხარე - საქართველოც და სამხრეთ ოსეთიც - მოითხოვს.

ივანოვმა აღიარა, რომ რუსეთი საქართველოზე ეკონომიკურ ზეწოლას ახდენს, თუმცა განაცხადა, რომ ეს არც სანქციები და არც ბლოკადაა. **"ტვირთები როგორც მოძრაობდა, ისევე მოძრაობს, ფულიც გადაადგილდება"**, - თქვა ივანოვმა.

მისი თქმით, **"რუსეთ-საქართველოს ომს გიჟის გარდა ვერავინ წარმოიდგენს"**, ხოლო საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე ივანოვმა განაცხადა, რომ საქართველოს იქ შეუძლია გაწევრიანება,. სადაც სურს, **"თუნდაც ლუდის მოყვარულთა საზოგადოებაში"**.

ივანოვს ეჭვი ეპარება ომაში, რომ უახლოეს მომავალში ვლადიმირ პუტინის და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა შედგება.

ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა ანდრეი პოპოვმა კი გუშინ განაცხადა, რომ საქართველო-რუსეთს შორის არსებული ვითარების გაუარესებას ელოდება და ნებისმიერ მომენტში მზადაა საბრძოლო მზადყოფნა გააძლიეროს.

მისივე თქმით, ამ დროისთვის საქართველოში სამხედრო დაჯგუფების 3 ათასი სამხედრო მოსამსახურე და ამდენივე ოჯახის წევრი იმყოფება. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში რუსეთში ევაკუირებულია 44 ადამიანი და გამგზავრების მსურველია კიდევ რუსეთის ხუთი მოქალაქე.

რაც შეეხება რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწესებულ სატრანსპორტო ბლოკადას, პოპოვის თქმით, ეს სანქციები საქართველოში მყოფ რუს სამხედრო მოსამსახურეებს არავითარ პრობლემას არ უქმნის.

**"რუსეთის ბლოკადა საქართველოს წინააღმდეგ არ შეგვხებია, რადგან უკვე რამდენიმე წელია საჭირო სამხედრო ტვირთი სომხეთიდან შემოგვაქვს, დანარჩენს ადგილზე ვყიდულობთ. გარდა ამისა, მარაგი დაჯგუფებას ბაზების გაყვანის პროცესის დასრულებამდე, 2008 წლამდე საკმარისი აქვს. თუმცა უკვე მეორე კვირაა საქართველო რუს სამხედრო მოსამსახურეებს ვიზების გაცემის საკითხში პრობლემებს უქმნის"**, - განაცხადა პოპოვმა.

მისივე თქმით, სამხედრო დაჯგუფება მზადაა ქართულ მხარეს ხუთი გამოუყენებელი სამხედრო ობიექტი გადასცეს. **"საქართველოს მხრიდან მხოლოდ ნებართვას ველოდებით, თუმცა ამგვარი რამ მათგან ჯერ არ მიგვიღია,"** - აცხადებს პოპოვი.

*24 საათი*

# "ცუდი" რუსეთი და "კარგი" არჩევნები

## მთავარი საპარლამენტო თემები

*პარლამენტის საშემოდგომო სესიის პირველივე პლენარულ სხდომაზე ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ხელისუფლებამ რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულ აგრესიულ და არაკეთილმეზობლურ ქმედებებს უმკაცრესი შეფასებები მისცა. თუმცა, საკითხის სიმწვავის მიუხედავად, ქართველმა პარლამენტარებმა ნერვები მოთოკეს და მოსკოვის მისამართით ისტერიული, შეურაცხმყოფელი განცხადებები არ გაუკეთებიათ.*

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარის თითოეული სიტყვა და ფრაზა საკმაოდ მოზომილი იყო. ნინო ბურჯანაძე შეეცადა, ისე წარმოეჩინა რეალობა, რომ მხოლოდ ვიზუალური ეფექტის მოსახდენად არ გარჯილიყო და ამით თავის რუს კოლეგებს არ დამსგავსებოდა.

სპიკერის აზრით, ის, რაც დღეს რუსეთში ხდება, სამარცხვინოა ამ ქვეყნისთვის და მისი ხელისუფლებისთვის. **"საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდება მოსკოვს, რომ ეს სამარცხვინო ლაქა ჩამოირეცხოს,"** - მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

მისივე თქმით, რასაც ამჟამად რუსეთი აკეთებს, სულაც არ არის შემთხვევითობა ან გაუგებრობა.

**"რუსეთის მთავარი მიზანია საქართველოს დაშინება, საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობისთვის პრობლემების შექმნა. მოსკოვმა თავისი უარყოფითი სახე წარმოაჩინა და ეს სახე მთელმა მსოფლიომ დაინახა"**, - აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე, რომელსაც თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ მოჰყავს პრაღაში ვაცლავ ჰაველის მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთმა საქართველოსთან შანტაჟის ენით საუბარზე უარი უნდა თქვას.

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი განსაკუთრებით იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ის, რაც ახლა რუსეთის ქალაქებში ხდება, ევროპის კონტინენტზე ბოლო 60 წლის განმავლობაში აღარ მომხდარა.

**"ყველა დარწმუნდა, რომ საქმე გვაქვს ქსენოფობიასთან, ჩვეულებრივ ფაშიზმთან და სხვა არაფერთან,"** - დაასკვნის პარლამენტის სპიკერი, რომელიც იქვე იმ ფაქტსაც უსვამს ხაზს, რომ ბოლო 10-15 წელიწადში რუსეთის მიერ გატარებული ანტიქართული პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოში რუსოფობიის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

პლენარულ სხდომაზე ნინო ბურჯანაძის გამოსვლის ძირითადი მომენტები მთლიანად აისახა გუშინ პარლამენტის მიერ ერთხმად მოწონებულ განცხადებაში.

**"XXI საუკუნის ევროპაში არავის, თუნდაც ძალიან დიდ და მნიშვნელოვან სახელმწიფოს, არ უნდა მიეცეს უფლება, ფეხქვეშ გათელოს ძირითადი ღირებულებები, გადააქციოს ეთნიკური დისკრიმინაცია და რასიზმი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად და ამ გზით დააბრუნოს ევროპის ისტორია XX საუკუნის ავადსახსენებელ 30-იან წლებში,"** - ნათქვამია საქართველოს პარლამენტის განცხადებაში.

საკმაოდ ბუნებრივია, რომ საშემოდგომო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე დეპუტატები, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გარდა, გასულ კვირას გამართული მუნიციპალური არჩევნების საკითსაც შეეხნენ. შემაჯამებელი განცხადება ამ შემთხვევაშიც პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა.

**"ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა. საერთაშორისო თანამეგობრობაში არსებობდა დიდი მოლოდინი იმისა, თუ როგორ ჩატარდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები. ყველა საერთაშორისო დამკვირებელმა აღნიშნა, რომ არჩევნები დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარდა და ეს ტესტი საქართველომ წარმატებით ჩააბარა. ადგილობრივმა არამთავრობო ორგანიზაციებმაც იგივე პოზიცია დააფიქსირეს და განაცხადეს, რომ გაყალბებას ადგილი არ ჰქონია,"** - სიამაყით აღნიშნავს ბურჯანაძე.

თუმცა, ამ საკითხში რადიკალურად განსხვავებული შეხედულება აქვს ოპოზიციას, კერძოდ კი ფრაქცია "დემოკრატიულ ფრონტს", რომელმაც, დაპირების მიუხედავად, ბოიკოტი არ შეწყვიტა და გუშინდელ პლენარულ სხდომაზე არ გამოცხადდა.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის დავით ზურაბიშვილის თქმით, მისმა საარჩევნო ბლოკმა რეგიონებიდან მიიღო უამრავი ინფორმაცია, რომლებიც ადასტურებენ, რომ 5 ოქტომბრის არჩევნები სერიოზული დარღვევებით ჩატარდა. ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, მისთვის და მისი თანაგუნდელებისთვის ბოლო წვეთი გახდა ის, რომ თბილისის საკრებულოში ხელისუფლებამ ერთი მანდატი კანონდარღვევით ხელიდან გამოგლიჯა.

**"ნებისმიერი ადამიანი, ვინც არითმეტიკა იცის, ვერაფრით შეძლებს დაამტკიცოს, რომ ჩვენს ბლოკს თბილისში მხოლოდ ერთი მანდატი ეკუთვნის. რადგან ხელისუფლებამ ეს "მოახერხა", ნიშნავს, რომ ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა. როდესაც მოგაფურთხებენ და თავს ისე დაიჭერ, თითქოს არაფერი მომხდარა, ეს საკუთარი თავის გამასხარავება იქნება. ასეთ სიტუაციაში პარლამენტის პლენარულ სხდომებზე შესვლა შეუძლებელია. როდესაც მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებული სადავო საკითხები გაირკვევა, ბოიკოტს მაშინ შევწყვეტთ"**, - განუცხადა "24 საათს" დავით ზურაბიშვილმა.

# რუსეთის საპატრიარქოს პოზიცია

## რუსი ჩინოვნიკების პოზიციისგან არ განსხვავდება

პირველი გვერდიდან

**"საქართველოს საპატრიარქო რამდენიმე დღეა მდუმარედ აკვირდება იმას, რაც რუსეთში ხდება, საქართველოს მოქალაქეების მიმართ. ეს გაუმართლებელია, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც საქართველოს საპატრიარქოს არ დასჭირვებია დიდი დრო, გამოეხატა თავისი ორაზროვანი პოზიცია ემზარ კვიციანის ამბებისადმი. რუსეთში განვითარებული ამბები არის დასტური, რომ ჩვენ გვიპირისპირდება არა მხოლოდ სახელმწიფო აპარატი, არამედ საზოგადოებაც. განვმარტავ: რუსეთის საპატრიარქო არის რუსეთის საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი და ვინაიდან რუსეთის საპატრიარქო არ შეუერთდა რუსეთის საზოგადო მოღვაწეების მიერ მოწყობილ მცირერიცხოვან აქციას, არამედ დაფიქსირა მისგან განსხვავებული პოზიცია, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ასე ფიქრობს საზოგადოების დიდ ნაწილი რუსეთში,"** - განაცხადა ნოდარ ლადარიამ.

რატი ამაღლობელის თქმით, რუსეთის საპატრიარქოს განცხადება მოწმობს, რომ იგი ეგზარქოსების დროიდან დიდად არ შეცვლილა: **"საქართველოს საპატრიარქომ უნდა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია იმ ვანდალურ აქტებთან, შოკის მომგვრელ ეთნიკურ დევნასთან დაკავშირებით, რაც დღეს რუსეთში ხდება."** ჟურნალისტის შეკითხვაზე, უნდა ველოდოთ თუ არა ქართველთა "პოგრომებს" რუსეთში, ნოდარ ლადარიამ განაცხადა, რომ თუ იქ არ მოხდება ქართველთა "პოგრომები", ამის მიზეზი იქნება ის, რომ ქართველები არ ცხოვრობენ კომპაქტურად ერთ რაიონში, როგორც ებრაელები და ეს ტექნიკურად შეუძლებელია, ან მიზეზი იქნება რუსეთის იმიჯზე ზრუნვა. **"მერწმუნეთ, არშემდგარი "პოგრომების" მიზეზი სწორედ ტექნიკური დეტალები იქნება და არა შინაგანი მიუღებლობა ასეთი საქციელისა,"** - აღნიშნა ნოდარ ლადარიამ.

რატი ამაღლობელის აზრით, პუტინი არის "ფეესბეშნიკი" და ის პოლიტიკურ საკითხებს წყვეტს ადმინისტრაციული წესით. **"სრულიად შოკისმომგვრელია ფაქტი, რომ აკუნინი, მართლაც სერიოზული რუსი მწერალი, ამას ვამბობ გულწრფელად, იდევნება, როგორც წარმოშობით ქართველი და ის რუსეთში გარიყეს სწორედ საკუთარი წარმოშობის გამო,"** - აღშფოთებას ვერ მალავდა რატი ამაღლობელი. მისი აზრით ყველაფერი შესაძლებელია მოხდეს და "ერთმორწმუნე მართმადიდებლური, მოძმე რუსეთისგან არაფერია გამორიცხული".

პრესკონფერენციის დასასრულს ყველა მონაწილემ მადლობა გადაუხადა რუსეთის იმ მცირერიცხოვან საზოგადოებას, რომელმაც, მიუხედავად უდიდესი ზეწოლისა, გაბედა პროტესტის გამოხატვა რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკის მიმართ და მიტინგი მოაწყო მოსკოვის ცენტრში ქართული დროშებითა და გულზე გაკრული წარწერებით - "მე ქართველი ვარ".

"24 საათი" საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრს დაუკავშირდა იმის გასარკვევად, გეგმავს თუ არა საპატრიარქო რუსეთიდან ქართველების გამოძევების ან ვსევოლოდ ჩაპლინის განცხადებაზე გამოხმაურებას. საპატრიარქოს პრესცენტრში განაცხადეს, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე თბილისში არ იმყოფება. იგი დედაქალაქში დღეს ან ხვალ დაბრუნდება და საპატრიარქოს პოზიციაც მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

# თავისუფალი სიტყვა

**მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13.00 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას. სტუდიის სტუმარია ლევან ბერძენიშვილი.**

**ინგა გრიგოლია:** გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, - "მე ვარ მზად დღესვე შევხვდე პუტინს". თქვენ ჩამობრძანდით ევროსაბჭოდან, სადაც იყავით როგორც საქართველოს დეგელაციის წევრი. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ამისთვის მზად რუსეთი?

**ლევან ბერძენიშვილი:** პუტინი მზად არის შეხვდეს სააკაშვილს, თუკი ჩვენს პრეზიდენტს ჩანთაში ექნება რაიმე მისთვის. პოლიტიკაში ასეა, როდესაც კეთდება განცხადება, რომ მე მზად ვარ შესახვედრად, ე.ი იგულისხმება, რომ რაღაც მაქვს... საქართველოს რუსეთისთვის მე მგონი არაფერი აქვს. ქართველმა ხალხმა წინა ხელისუფლებასთან ერთად გადაწყვიტა, რომ ჩვენ ვიქნებით ევროპის ნაწილი. ძალიანაც რომ მოვინდომოთ, აზიის და რუსეთის ნაწილი ვერ გავხდებით. რუსეთი არ არის ის ქვეყანა, რომელთანაც შევძლებდით ინტეგრირებას. საქართველოსნაირი ქვეყანა მზად უნდა იყოს ნებისმიერ ქვეყანასთან შესახვედრად.

**ინგა გრიგოლია:** რას ნიშნავს საქართველოსნაირი ქვეყანა?

**ლევან ბერძენიშვილი:** იმას ნიშნავს, რომ საქართველო არის უმნიშვნელო ქვეყანა რუსეთთან შედარებით. რუსეთს აქვს გავლენა ევროპაზე. იგი მრავალ ქვეყანას აწვდის გაზს. სამწუხაროდ, დღეს რუსეთი ძალიან ცუდად იქცევა, მაგრამ ევროპას არ აქვს უნარი, მიუთითოს. ჩვენს გასაკეთებელ საქმეს ევროპა არ გააკეთებს. ამის მოწმე ვიყავი ევროსაბჭოში. ორი უაღრესად მნიშვნელოვანი რამ მოხდა. პირველი იყო დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს არ აქვს ევროკავშირის პერსპექტივა. ქართული დელეგაცია იბძოდა იმისთვის, რომ ჩაემატებინათ სიტყვა ჯერჯერობით. ჩაემატება თუ არა ეს სიტყვა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად საქართველოს არ აქვს ევროკავშირის პერსპექტივა. სიტყვა "არ აქვს" ნიშნავს იმას, რომ აქ რუსეთის ფაქტორია გათვალისწინებული. საქართველო რუსეთთან მიმართებაში კი არა, არამედ თავის მოქალაქეებთან მიმართებაშია მტყუანი.

**ინგა გრიგოლია:** საქართველოს რომ არა აქვს შანსი, გახდეს ევროკავშირის წევრი, ეს ინფორმაცია პირველად მოვისმინე თქვენგან. ეს ყველაფერი რას ნიშნავს ჩვენთვის?

**ლევან ბერძენიშვილი:** იმას ნიშანს, რომ არც ერთ მოლაპარაკების ფორმატში არ განიხილება საქართველოს ევროკავშირის წევრობის საკითხი. მაგალითად თურქეთთან მოლაპარაკება უნდა დაიწყოს, საქართველოსთან მოლაპარაკების დაწყება კი ახლო მომავალში არ არის ნავარაუდევი. მინდა იცოდეთ, რომ ევროკავშირის წევრობა ახლო მომავალში არ "გვემუქრება", სამაგიეროდ ძალიან მაღალია ნატო-ში ჩვენი გაწევრიანების შანსები. თუმცა, აქაც იქმნება გარკვეული პრობლემები. საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად უნდა ჰქონდეს მთელი პაკეტი. ეს არ არის მხოლოდ სამხედრო პაკეტი. ამას გარდა, ქვეყანას უნდა ქონდეს გარკვეული დონე დემოკრატიის. თვითმმართველობის არჩევნები, როგორიც ჩვენთან ჩატარდა და მერე იმის განცხადება, რომ ოპოზიცია გაფარჩაკდა... მე საერთოდ დაინტერესებული ვარ ჩვენი პრეზიდენტის ლექსიკით. ისე, პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ მას მხოლოდ იმ დარბაზში არ უსმენენ, სადაც ის გამოდის და სადაც აღფრთოვანებით უსმენს უმრავლესობა. მიხეილ სააკაშვილმა გააყალბა როგორც საპრეზიდენტო, ასევე თვითმმართველობის არჩევნები. ამ არჩევნებზე ჩვენი ბიუჯეტიდან დაიხარჯა იმდენი ფული, რამდენიც არ დახარჯულა არც ერთ პროექტზე. მაგალითად, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ათენებდა და აღამებდა ბათუმში და შეხვედრებს ატარებდა.

### მოკლედ

### საქართველო და ლიტვა სამხედრო თანამშრომლობის გეგმას განიხილავენ

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ლიტვის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას უმასპინძლა. ოთხკაციანი დელეგაცია საქართველოში 9 ოქტომბერს ჩამოვიდა. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ტომას ურბონასი, ამავე დეპარტამენტის II განყოფილების უფროსი გრაჟვიდას ჯასუტისი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-5 დეპარტამენტის ორმხრივი ურთიერთობების განყოფილების უფროსი, მაიორი ზილვინას ვაინორა და ჟ-4 დეპარტამენტის შეიარაღებისა და ტექნიკის გადაადგილების განყოფილების უფროსი, მაიორი ვიტაუტას პეტკუსი საქართველოში ორ დღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ. სტუმრები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი მუჩაიძემ მიიღო.

ვიზიტის მთავარი მიზანი ორ ქვეყანას შორის 2007 წლის ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გეგმის განხილვა და მისი ხელმოწერაა.

შეხვედრისას მხარეებმა ასევე საქართველო-ლიტვას შორის 2006 წელს გაფორმებული თანამშრომლობის გეგმის განხორციელების საკითხები განიხილეს და სამხედრო-პოლიტიკური მოლაპარაკებები გამართეს.

ვიზიტის ფარგლებში ლიტვის დელეგაციის წარმომადგენელი მაიორი ვიტაუტას პეტკუსი ჟ-4 ლოჯისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებს შეხვდება და სამხედრო ხასიათის ტვირთის ტრანზიტის თემაზე პრეზენტაციებს გამართავს. ლიტვის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია საქართველოდან გუშინ გაემგზავრა. **მედიანიუსი**

### ირაკლი ჩუბინიშვილი: რუსეთის სურვილია უარი ვთქვათ ნატო-ზე

საქართველო რუსეთის კონფლიქტი ამოიწურება მაშინ, როცა მოსკოვში საქართველოს პატივს სცემენ. განაცხადა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რუსეთში ირაკლი ჩუბინიშვილმა დღეს რადიო "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

"თუკი არ შეეგუებიან იმას, რომ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, რომელიც უნდა იყოს ერთიანი ალბათ კონფლიქტი გაგრძელდება", - განაცხადა ელჩმა.

საქართველოს ელჩის განცხადებით, კულუარებში საუბრობენ იმაზე, რომ უარი უნდა ვთქვათ ნატოში შესვლაზე. აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა და უარი ვთქვათ დასავლეთთან თანამშრომლობაზე.

მისივე თქმით, რუსეთმა გარკვევით უნდა ჩამოაყალიბოს თავისი რეალური პრეტენზიები საქართველოს მიმართ და გაარკვიოს რა სურს მას საქართველოსგან.

"უნდა შევთანხმდეთ რომ ორივე მხარემ შეწყვიტოს ურთიერთბრალდებები. ცალმხრივად ამას ჩვენ ვერ შევძლებთ", - განაცხადა ჩუბინიშვილმა.

"ჩვენ შეშფოთებულნი ვართ იმის გამო, რომ ზოგიერთი მრჩეველი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთს უბუძგებს პროვოკაციებისკენ. ვისურვებდით, რომ ასეთი ადამიანები გაგვეფრთხილებინა, არ გათვალონ ამ პროვოკაციებზე არაფერი, რადგან ეს არის გზა არსაითკენ. გამარჯვებულები ამ გზაზე არ იქნებიან",- დასძინა ჩუბინიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ზესტაფონში ფალსიფიცირებული სასმელების მწარმოებელი დააკავეს

იმერეთის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ზესტაფონის რაიონში ფალსიფიცირებული სასმელების მწარმოებელი საამქრო დალუქეს და მისი მფლობელი დათუნა ცხელიშვილი დააკავეს. ცხელიშვილს ჯანმრთელობისთვის საშიში, ფალსიფიცირებული პროდუქტის დამზადება ედება ბრალად, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია დიდი რაოდენობით ფალსიფიცირებული ლიმონათი, "კოკა-კოლა" და ნაწლავური ჩხირების შემცველი "ბორჯომი".

გუშინვე ზესტაფონში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა "07" მარკის ავტომანქანა დააკავეს, რომელშიც 2700 კოლოფი უაქციზო სიგარეტი იქნა აღმოჩენილი. შემთხვევის ადგილზე დააკავეს მამა-შვილი ტრისტან და გიგა კურცხალიები, რომლებსაც 3240 ლარის ღირებულების "იავას" ფირმის უაქციზო სიგარეტი გორიდან ქუთაისში გადაჰქონდათ. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, დაკავებულებს 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. **24 საათი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# კონსტრუქციული ოპონირება

## ერთადერთი გზა ოპოზიციისთვის

*არჩევნების შემდეგ რამდენიმე კითხვა გაჩნდა: რამ განაპირობა არჩევნებში მოსახლეობის დაბალი აქტივობა? რატომ დამარცხდა ასეთი დიდი განსხვავებით ოპოზიცია, არასწორად არჩეული საარჩევნო სტრატეგიის თუ კანონზომიერი გარემოებების გამო? რა შეიცვლებოდა ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაში და რა გავლენას მოახდენს ეს არჩევნები ოპოზიციისა და ხელისუფლების მომავალ პოლიტიკურ ქცევაზე.*

ეკა კვესიტაძე

"არ არსებობს იმაზე დიდი გაფარჩაკება ბუნებაში, რაც ოპოზიციას ამ არჩევნებზე დაემართა და მე ეს არ მიხარია," - ასე შეაფასა პრეზიდენტმა გუშინ, უმრავლესობასთან შეხვედრის დროს, ადგილობრივ არჩევნებში ოპოზიციის მარცხი. მანამდე ოპოზიციის დამარცხებაზე კომენტარი გიგი უგულავამ გააკეთა: "მე იმედი მაქვს, რომ ოპოზიცია თავის სტრატეგიას საგულდაგულოდ გადახედავს ამ არჩევნების შემდეგ"

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას თვითმმართველობის არჩევნები იდეალურად არ ჩაუტარებია, ლეიბორისტების გარდა, ოპოზიციის არც ერთ ლიდერს არ უთქვამს, რომ არჩევნების შედეგები ტოტალურად გაყალბდა და მათი სერიოზული მარცხის მიზეზი ეს არის.

კობა დავითაშვილმა თავის პირველ ვრცელ სატელევიზიო კომენტარში მთავარი აქცენტი არჩევნებზე მოსახლეობის დაბალ აქტივობაზე გაამახვილა და ამით ცდილობდა დაემტკიცებინა ხელისუფლების არაპოპულარობა მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

არჩევნებზე დაბალი აქტივობა დიდ უცნაურობას არ წარმოადგენს არც ერთი განვითარებული ქვეყნისთვის. ამიტომ თავისთავად ის აპრიორი სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ძალიან ცუდად არის, მოსახლეობა ხელისუფლებას არ ენდობა და ასე შემდეგ. ხოლო როდესაც წინა წლების არჩევნებში მოსახლეობის უფრო მაღალ აქტიურობაზეა საუბარი, ეს შედარება ზუსტი შეფასების საშუალებას არ იძლევა, რადგან გაყალბებულ არჩევნებში ამომრჩეველთა რიცხვიც გაყალბებულია.

თავისთავად, არასწორია ის თეზაც, რომ ის ამომრჩეველი, რომელიც არჩევნებზე არ მივიდა, ხელისუფლებას არ ენდობა, მისით გაწბილებულია და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, მოსახლეობის ამ ნაწილში ბევრი იქნება ისეთი, ვისაც ხელისუფლების მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება აქვს, მაგრამ ასეთი განწყობის აბსოლუტიზაცია დიდი შეცდომაა და ის ოპოზიციას თავის მოტყუებაში უფრო დაეხმარება, ვიდრე დამარცხების რეალური მიზეზების გააზრებაში.

არჩევნებამდე ხელისუფლების გამარჯვებაში თვით ოპოზიციაც ისე იყო დარწმუნებული, რომ უფასო რეკლამებს თუ არ ჩავთვლით, საარჩევნო კამპანიაში დიდი ფული არავის დაუხარჯავს. მაშინ, როცა უგულავა ყველგან იყო, ყველა საინფორმაციო გამოშვებაში, ყველა სარეკლამო ფირნიშზე, ავტობუსებიდან გვიღიმოდა და გადათხრილი ქუჩების გამო გვიბოდიშებდა და ამ ყველაფერში ადმინისტრაციული რესურსის უხვად გამოყენებაც აშკარად იკითხებოდა.

ხელისუფლების ინტენსიური, აქტიური და ყოვლისმომცველი საარჩევნო კამპანიის ფონზე, ოპოზიცია დიდად არ გარჯილა და წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ახალი და საინტერესო არავის არაფერი უთქვამს. სარეკლამო რგოლებიც კი, რომელიც თავისი ესთეტიური ღირებულებით სალხინოს რეკლამას ჩამოჰგავდა, ტყუპისცალივით ჰგავდნენ ერთმანეთს და, რაც მთავარია, ყველა ერთად საოცრად ჰგავდა "ნაციონალური მოძრაობის" აპრობირებულ სარეკლამო რგოლებს, რომელთაც ცვლილება რევოლუციის შემდეგაც არ დატყობიათ.

დღეს ბევრი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ოპოზიცია გაერთიანების შემთხვევაში გაცილებით მეტ ხმას მიიღებდა. მაგრამ ეს მოსაზრება ნაკლებად სარწმუნოა, რადგან მთვარი ის არ არის, რამდენი სუბიექტია საარჩევნო ბლოკში. მთავარი განსხვავებული სათქმელია, რომელიც ოპოზიციის არც ერთ ლიდერს არც ცალცალკე და არც გაერთიანების შემთხვევაში არ მოეძებნებოდა.

განსხვავებული სათქმელის ანუ შთამბეჭდავი მესიჯის პოვნა ამომრჩევლისადმი არც ისე ადვილია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს და - არა მარტო საქართველოში. ბრიტანეთში უკვე მეათე წელია ასეთ სათქმელს და ამ სათქმელის მთქმელ ლიდერს კონსერვატორული პარტია ვერ პოულობს, ან ძლივს იპოვა დევიდ კემრანის სახით. ჰელმუტ კოლმა და მისმა ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ 18 წელი არ მისცა შანსი ოპოზიციას და ასე შემდეგ. თუ ევროპელ ექსპერტებს ჰკითხავთ, რა არის ოპოზიციური პარტიების მთავარი პრობლემა, ისინი გეტყვიან, რომ ოპოზიციური პარტიები ვერ აჩვენებენ ამომრჩეველს, რომ მათი პროგრამები, მიდგომები და ზოგადად მათი საგარეო და საშინაო პოლიტიკა არსებითად განსხვავდება ხელისუფლების პოლიტიკისაგან (ასე რომ, თუ ძალზე განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ოპოზიცია მაშინ მოდის ქვეყნის სათავეში, როცა ხალხი ძველი ხელისუფლებისაგან იღლება და სიახლე სჭირდება, თუნდაც ახალი სახეების სახით).

იგივე დილემის წინაშე დგას ოპოზიცია საქართველოშიც. როგორც ამომრჩეველს, რესპუბლიკელებისა და კონსერვატორების კოალიციის განცხადებებიდან ყველაზე მეტად ერთი რამ დამამახსოვრდა: შადრევნების და ბარათაშვილის ხიდზე დადგმული გოგონების ძვირადღირებული ქანდაკებების მაგივრად სხვა რამეს გააკეთებდნენ, მაგალითად, თბილისელი პენსიონერები 4-5 ლარით მეტ პენსიას მიიღებდნენ. ძნელი სათქმელია, 4-5 ლარი ცვლის თუ არა პენსიონერის ცხოვრებას ისე, რომ ამის გამო ხმა ოპოზიციას მისცეს და არა ხელისუფლებას.

რაც შეეხება მეორე გზავნილს, რომ კონსერვატორები და რესპუბლიკელები იმ თაობაზე გააკეთებდნენ აქცენტს, რომელიც ხელისუფლებას დავიწყებული ჰყავდა, ვერავინ ახსნა, კონკრეტულად როგორ დაეხმარებოდნენ ამ ე.წ. "დაკარგულ თაობას". თეორიული განცხადებები, რომ ამ ხალხის კვალიფიკაცია გადამზადებას არ საჭიროებდა, საკმარისი არ იყო. გარდა ამისა, ის სიმართლეს არ შეესაბამებოდა. შესაბამისად, გულშემატკივრულ განცხადებებს ამ თაობის ამომრჩეველმა პრეზიდენტის ეკონომიკურ პროგრამაში მონაწილეობა ამჯობინა, რომელიც გადამზადებისა და სამსახურის შოვნის მცირე შანსს მაინც აძლევდა.

რაც შეეხება რეგიონებს, არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას არ უთქვამს ის, თუ რა და როგორ შეიცვლებოდა რეგიონის დონეზე. წინასაარჩევნოდ მხოლოდ ზოგადი პოლიტიკური განცხადებები გაკეთდა, რომელსაც კონკრეტულ პროგრამასთან საერთო არაფერი ჰქონია.

ასე რომ, ობიექტურ და კანონზომიერ ფაქტორებს ზედ დაერთო ოპოზიციის სუსტი საარჩევნო კამპანია და მანამდე დაშვებული სტრატეგიული შეცდომები და ეს გახდა იმის მიზეზი, რასაც პრეზიდენტმა გუშინ "დიდი გაფარჩაკება" უწოდა.

"გავაგრძელოთ დიალოგი, დაბრუნდით პარლამენტში, გაუწიეთ კონსტრუქციული ოპონირება კონკრეტულ კანონპროექტებს, შემოგვთავაზეთ თქვენი ვარიანტები და პირობას გაძლევთ, რომ ამ პროცესში მეც ჩავერთვები," - ასეთია რეკომენდაცია, რომელიც ოპოზიციას სააკაშვილმა გუშინ მისცა. ძნელი სათქმელია, არის თუ არა კონსტრუქციული დიალოგის დაწყების ხასიათზე არჩევნებში დამარცხებით გაღიზიანებული ოპოზიცია. თუმცა ცხადია, რომ კონსტრუქციული ოპონირება ის ერთადერთი გზაა, რომელიც ოპოზიციის ნაწილს გამარჯვების შანსს გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც მისცემს.

# თინა ხიდაშელი: "ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს ქვეყანა"

*"24 საათი" გთავაზობთ ინტერვიუს "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთ ლიდერთან თინა ხიდაშელთან, რომელთან საუბრის მთავარი თემა ადგილობრივი არჩევნების საბოლოო შედეგებია.*



ნათია მსხილაძე

**- რა პრეტენზიები გაქვთ კონკრეტულად ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან?**

- ცენტრალურ საარჩევნო კომისიიასთან, საერთოდ, არანაირი პრეტენზია არ მაქვს. პრეტენზიები ხელისუფლებასთან მაქვს. ცესკო მონურ რეჟიმში მუშაობს და, შესაბამისად, პრეტენზიები მონებთან კი არა, მონათმფლობელებთან მაქვს.

**- თქვენ გუშინ განაცხადეთ, რომ გადააყენებთ ხელისუფლებას. რა ფორმით აპირებთ ბრძოლას?**

- ქვეყანაში კიდევ იქნება არჩევნები. ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ვამბობ, რომ ჩვენ ვართ ის პარტია, რომელიც მთლიანად კონსტიტუციური პროცესის მომხრეა. ბრძოლას კონსტიტუციურ ჩარჩოებში ვაპირებთ. ამიტომ მივიღეთ ამ არჩევნებში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით, რაც გველოდა.

ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა სამი მიზეზის გამო მივიღეთ: პირველი იმიტომ, რომ ვყოფილიყავით მართლები ქვეყანასთან და საკუთარ თავთან - ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ პროცესი არ ამოვარდეს კონსტიტუციური ჩარჩოდან; მეორე მიზეზი ის იყო, რომ დაგვენახა, ქვეყანაში რამდენი გმირი ცხოვრობს, რომელიც იმ ზეწოლისა და საშინელებების მიუხედავად, ხელისუფლებამ წინასაარჩევნო კამპანიისას რომ აჩვენა, გაბედავდა, მოვიდოდა და შემოხაზავდა 22 ნომერს. ამ არჩევნებზე ასეთი 131 ათასი გმირი მოვიდა, რაც უდიდესი წარმატებაა. იმაზე დიდი, ვიდრე ოდესმე საქართველოში, რომელიმე ოპოზიციურ პარტიას ძლიერი, ან მეტ-ნაკლებად ძლიერი, ხელისუფლების პირობებში მიუღია; მესამე კი, ყველასთვის გვინდოდა დაგვენახებინა, რასთან გვაქვს საქმე. სანამ არჩევნები დაინიშნებოდა, ჩვენ ვსაუბრობდით იმაზე, რომ საარჩევნო კანონი იყო არადემოკრატიული და სრულიად კაბალური. ჩვენი ე.წ. ექსპერტები სულ გვეუბნებოდნენ, რომ კანონის დეტალები არავის აინტერესებს. ჩვენ ვიბრძოლეთ და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავის ციფრებში დაწერა, რომ ბლოკმა "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" ბათუმში აიღო ხმების 27 პროცენტი. ეს დოკუმენტში შავით თეთრზე წერია. ეს 27 პროცენტი, რომელიც ჩვენ ავიღეთ, ჩვენი ძვირფასი დემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, უდრის ორ მანდატს. ამის ჩვენება გვინდოდა ექსპერტებისთვის, რომლებიც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით, განზოგადოებულად გველაპარაკებიან; გვინდოდა გვეჩვენებინა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, რომელსაც ხანდახან ეზარება კანონების წაკითხვა, და ჩვენი ჟურნალისტებისთვის, რომლებიც არასოდეს კითხულობენ კანონებს და არასოდეს აინტერესებთ, სინამდვილეში რა ხდება. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც გაჩუმებულები არიან, გვერდზე დგანან და რაღაც ისეთი პოზიცია აქვთ, რომ ვინმემ რამე არ დააბრალოს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვინდოდა ცალსახად გვენახებინა, თუ რასთან გვაქვს საქმე, რა კანონები მიიღო ჩვენმა დემოკრატიულმა ხელისუფალმა და რა თამაშის წესები შესთავაზა ქვეყანას და მათ შორის ოპოზიციას. დღეს ყველაფერი შავით თეთრზე დაიწერა და ნათელი გახდა ყველასთვის. ამის მერე ველოდები რეაქციებს, რათა ყველაფერს თავის სახელი დაერქვას.

**- ანუ, თქვენ პრეტენზია კანონმდებლობის მიმართ გაქვთ და არ ამბობთ, რომ თვითმმართველობის არჩევნები გაყალბდა?**

- ვაცხადებ, რომ ეს არჩევნები იყო დიდი ფარსი, რომელშიც ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა აბსოლუტურად შეგნებულად, იმისთვის, რომ ვინც ჯერ კიდევ ყრუ და ბრმაა, დაგვენახებინა, რა ხდება ამ ქვეყანაში. თუ აქამდე ვერ ხედავდნენ, იმედია, გიგი უგულავას სახეს რომ დაინახავდნენ ყვითელ ავტობუსებზე, მაშინ მაინც დაებადებოდათ კითხვა: თუ ვინ იხდიდა ამის ფულს? ან ტელევიზიით, რეკლამებს რომ უყურებდნენ და ბოლოს არჩევნების შედეგებს რომ ნახავდნენ ერთ ქალაქში. პარტიას, რომელმაც ამომრჩევლის ხმების ერთი მესამედი მიიღო, თვითმმართველობაში ადგილების ერთი მეშვიდედი ერგო. ახლა მაინც დასვან კითხვები, რა ხდება ქვეყანაში და კონფორმიზმის რეჟიმიდან გადავიდნენ პასუხისმგებელი მოქალაქის რეჟიმზე.

**- გუშინ თქვენ შეხვდით ევროპული სახელმწიფოების ყველა ელჩს საქართველოში. როდესაც მათ ქვეყანაში არსებული ვითარება გააცანით, როგორი იყო მათი რეაქცია?**

- შეხვედრისას ელჩებს დოკუმენტურად დავულაგე, რა ხდებოდა არჩევნებამდე, არჩევნების დღეს და შემდეგ. მათი რეაქცია იყო ტრადიციული, აღშფოთებული, გაოგნებული. ამ ხელისუფლებას დიალოგის რეჟიმი არავისთან აქვს და მათ შორის არც უცხოურ ორგანიზაციებთან. ხელისუფლება ყველასთან მონოლოგის რეჟიმში ცხოვრობს. ამიტომ, მათ ბევრი არაფრის გაკეთება შეუძლიათ. შეგვიძლია ვთხოვოთ, რომ არ გააფუჭონ, თორემ, რომ არ გააკეთებენ, ვიცით. ეს ჩვენი საქმეა და ჩვენ გავაკეთებთ. ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს ქვეყანა, ეს ხელისუფლება და ამას არ ვითხოვთ უცხოელებისგან. უბრალოდ, უცხოელებმა უნდა იცოდნენ, რა ხდება ამ ქვეყანაში.

**- კვირის ბოლოს თქვენ ხვდებით საქართველოში მომუშავე უცხოურ ორგანიზაციებს. რა შედეგს ელით იმის ფონზე, როდესაც უკვე ყველა ორგანიზაციას დასკვნები დაწერილი აქვს?**

- კი, დასკვნები არასამთავრობოების მხრიდან დაწერილია, სადაც წერია, რომ ჩვენ ბლოკს "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" თბილისის საკრებულოში ორი მანდატი გვეკუთვნის. ეს, რატომღაც, არც ერთმა ჟურნალისტმა არ აღნიშნა და, რა თქმა უნდა, სახელისუფლებო პარტიასაც არ უთქვამს. ორივე სადამკვირვებლო ორგანიზაციამ, "სამართლიანმა არჩევნებმაც" და "ახალი თაობა ახალი ინიციატივამაც" დასკვნაში დაწერა, როგორ განაწილდა მანდატები თბილისის საკრებულოში.

# ბრძოლა ერთი მანდატისთვის

პირველი გვერდიდან

**უნდა გადანაწილებულიყო, რომელთაც უფრო მეტი ხმები აქვთ,"** - განაცხადა დავით უსუფაშვილმა და დასძინა, რომ **"ამ თავისუფალი მანდატებიდან ერთ-ერთი ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილს" უნდა დარჩენოდა, ხოლო მეორე - "ნაცმოძრაობას". თუმცა, საბოლოოდ, ორივე მანდატი "ნაცმოძრაობის" მფლობელობაში აღმოჩნდა".**

თავისთავად, არჩევნების შედეგების დათვლა და პროპორციული სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების დაჯამება ყოველთვის ხდებოდა პოლიტიკური დაპირისპირების საბაბი. ამასთან, საარჩევნო კოდექსი პროპორციული არჩევნების შედეგების დათვლის საკმაოდ რთულ სქემას გვთავაზობს, რომელსაც, სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა, სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია მიეცეს. ასე, მაგალითად, "მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების საკრებულოების არჩევნების" შესახებ კანონის მე-17 პრიმა თავის ("საქართველოს დედაქალაქის - თბილისის საკრებულოს არჩევნები") 126-ე მუხლი გვამცნობს პროპორციული მანდატების განაწილების წესს, რომლის თანახმადაც, "საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 12-ზე და გაიყოს ასეთი სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამი 12-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს".

ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ მათ მანდატები სწორედ ამ პრინციპით გადაანაწილეს და ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" პრეტენზია უსაფუძვლოა.

მოკლედ, ხელისუფლების ოფიციალური ვერსიით, პირველ დღეებში გაკეთებული განცხადებები მანდატების სავარაუდო განაწილების შესახებ მხოლოდ წინასწარ შედეგებს ეფუძნებოდა. ხოლო მას მერე, რაც მონაცემები დაზუსტდა, მანდატების გადანაწილების შედეგად ამ კონკრეტულ საარჩევნო ბლოკს მხოლოდ ერთი მანდატი ერგო.

სხვათა შორის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამ საარჩევნო ბლოკის "დაჩაგვრამ" პარლამენტის მუშაობასაც შეუშალა ხელი - ოპოზიციის, კერძოდ კი, ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბოიკოტის შეწყვეტის თაობაზე ფრაქციამ ორი დღის წინ, გვიან ღამით შეცვალა და პარლამენტის სხდომების ბოიკოტის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო.



ამ ფაქტს კი საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი: **"ოპოზიცია თავადვე დარწმუნდა, რომ საკუთარი არჩევანი არასწორი გამოდგა და მათ პოლიტიკური დივიდენდები ვერ დააგროვეს. მათ ურჩევნიათ, დაბრუნდნენ სხდომათა დარბაზში და საპარლამენტო მუშაობა განაგრძონ. უსაფუძვლოა ბლოკი "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ბრალდება საარჩევნო მანდატების არასწორად გადათვლასთან დაკავშირებით. თავის დროზე, როცა ეს კანონი პარლამენტში შედიოდა, მის წინააღმდეგ ხმა არავის მიუცია და მანდატების გადათვლის ფორმულასთან დაკავშირებით ალტერნატიული პროექტიც არ შეუთავაზებიათ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მანდატები სწორედ იმ ფორმულის მიხედვით გადათვალა, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული და თუ ოპოზიციას კანონიერი გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს, მე ვურჩევ მათ, სასამართლოში იჩივლონ და ასე მოაგვარონ საკუთარი პრობლემები".**

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე: **"დემოკრატიული ფრონტის გადაწყვეტილება ბოიკოტის გაგრძელების შესახებ ჭინჭყლი ბავშვის ქცევაა. მათ ხელისუფლება ფოჩიან კანფეტებს არ გადაუყრის, ამიტომ ოპოზიცია დარბაზში უნდა შემოვიდეს და გააგრძელოს მუშაობა".**

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ კი მედიას ყველა ის დოკუმენტი წარუდგინა, რომელიც მმართველი პარტიის გამარჯვებას ადასტურებს.

თუმცა, თინათინ ხიდაშელის საკრებულოში შესვლის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მაინც სასამართლომ უნდა მიიღოს. სწორედ მან უნდა დაადგინოს, კანონის დაცვით მოხდა თუ არა მანდატების განაწილება. თავად ოპოზიციონერებს სასამართლო პროცესის მოგების იმედი ნამდვილად არ აქვთ. ამის მიუხედავად, ისინი ბრძოლას პოლიტიკური მეთოდებით აგრძელებენ და სამართლებრივი ჩარჩოდან გამოსვლას არ აპირებენ. შესაბამისად, სასამართლოში სარჩელის შეტანა სწორედ ამ მოტივით არის განპირობებული.

# დაკარგული სამოთხის ძიებაში

## არჩევნების შედეგები წინასწარი მოლოდინის ფონზე

ია ანთაძე

თუკი ვინმე ხუთი ოქტომბრის არჩევნების შედეგმა გააოცა, სავარაუდოდ, ის ან პოლიტიკისგან შორს მდგომი ადამიანია, ან - მეტისმეტად ტენდენციური, ან - არაგულწრფელი.

ხუთი ოქტომბრის არჩევნების შედეგები სამი ასპექტით შეიძლებოდა ასცდენოდა საზოგადოების წინასწარ მოლოდინს: მონაწილეთა განსაკუთრებულად დიდი ან მცირე რაოდენობით, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცუდი შედეგით და რომელიმე ოპოზიციური პარტიის გამორჩეული წარმატებით.

იყო თუ არა მოსალოდნელი არჩევნებში მონაწილეობის 30-40-პროცენტიანი მაჩვენებელი? როდესაც ქვეყანაში ხელისუფლების ცვლა რევოლუციის გზით ხდება, ეს ბუნებრივად ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სათავეში ახალი ძალა მოდის, მანამდე არსებული პოლიტიკური სპექტრი ინგრევა და ოპოზიციას დიდი დრო სჭირდება ფეხზე დასადგომად. პოლიტიკური ლოგიკა გვკარნახობს, რომ რევოლუციის შემდგომ წლებში, როდესაც ხელისუფლების მიმართ გადაჭარბებული იმედები და მოლოდინები ნელ-ნელა იმსხვრევა; როდესაც ძველი ოპოზიცია უკვე სუსტია, ახალი ოპოზიცია კი ჯერ კიდევ სუსტია, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მკვეთრად ქვეითდება. 5 ოქტომბერს საქართველოს რეგიონებში თითქმის ყოველი ორი ამომრჩევლიდან ერთი წავიდა არჩევნებზე, თბილისში კი სამი ამომრჩევლიდან მხოლოდ ერთმა ისურვა თავისი აზრის გამოხატვა. ეს არის ის შედეგი, რისი მიღწევაც ერთად შეძლო მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა - ხელისუფლებამ და ოპოზიციამ. შეიძლება ითქვას, რომ არსებულ ვითარებაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონაწილეთა საერთო რაოდენობა მოსალოდნელ ზღვარს არ გასცდენია - არც მეტობის და არც ნაკლებობის ნიშნით.

იყო თუ არა მოულოდნელი ნაციონალური მოძრაობის დამაჯერებელი გამარჯვება? თუ ხელისუფლების მიერ გაკეთებულ და გაფუჭებულ საქმეებს ერთმანეთს გავანულებინებთ, არჩევნებში მიღწეულ გამარჯვებას ოთხი მყარი შემადგენელი მაინც დარჩება: ახალი საარჩევნო კოდექსი, რომელიც მხოლოდ ძლიერი პარტიებისთვის არის ხელსაყრელი; საარჩევნო კომისიები, რომლებიც, დიდწილად, "ნაციონალური მოძრაობის" მეგობრებით იყო დაკომპლექტებული; ოპოზიციური პარტიების სისუსტე, რაც საბოლოოდ მაშინ გაფორმდა, როდესაც მათი გაერთიანება ჩაიშალა, და "ნაციონალური მოძრაობის" ძლიერი, ეფექტური საარჩევნო კამპანია. ამ ფაქტორებიდან თითოეული საკმარისი იქნებოდა არჩევნების მოსაგებად, ოთხივე ერთად კი საკმარისი აღმოჩნდა თითქმის ყველა ადგილის მოსაპოვებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

იყო თუ არა მოულოდნელი ოპოზიციური სპექტრის შედეგი? ალბათ, ამ შემთხვევაშიც პასუხი უარყოფითია, რადგან ოპოზიცია ვერ გაერთიანდა, ვერ შეასრულა საზოგადოებრივი დაკვეთა და საარჩევნო კამპანიაც ფიზიკური და გონებრივი უნდილობის ატმოსფეროში ჩაატარა.

ისიც ბუნებრივია, რომ "ვარდების რევოლუციიდან" სამი წლის შემდეგ თბილისის მოსახლეობის მეტი ნდობა დაიმსახურა იმ ოპოზიციურმა ძალამ, რომელიც 2003 წელს რევოლუციურ ნგრევაში არ მოყოლილა - "რესპუბლიკელების" და "კონსერვატორების" ბლოკმა. ვიდრე "ნაციონალური მოძრაობა" მეტ-ნაკლებ პოპულარობას შეინარჩუნებს, დაწინაურების შანსი არ ექნება არც ერთ ოპოზიციურ პარტიას, რომელიც რევოლუციის დროს ან "მოქალაქეთა კავშირთან" იყო დაახლოებული, ან, სულაც, განზე იდგა. ხოლო რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბებული თუ გაძლიერებული პარტიების ფონზე, "ლეიბორისტებს", "მრეწველებს" და "ახალ მემარჯვენეებს", სავარაუდოდ, ამჟამინდელი ელექტორატის შენარჩუნებაც გაუჭირდებათ.

რაც შეეხება "რესპუბლიკელებისა" და "კონსერვატორების" ბლოკს, ესეც სუსტი პოლიტიკური ძალაა, განსაკუთრებით, არჩევნების კონტექსტში. მათი ოპოზიციონერობის პერიოდი არ აღმოჩნდა საკმარისი არც რეალური ალტერნატივების შესამუშავებლად, არც საჭირო რაოდენობისა და ხარისხის რესურსის მოსაძიებლად და არც მყარი პარტიული სტრუქტურების შესაქმნელად. თუმცა, ამ ბლოკმა მთავარს მიაღწია: საპარლამენტო არჩევნების წინ საკუთარი თავი წარმოაჩინა, როგორც ხელისუფლების უპირველესი ალტერნატივა სამომავლოდ.

თუ ერთიან კონტექსტში განვიხილავთ ხუთი ოქტომბრის არჩევნების წინა და შემდგომ ვითარებას, უნდა ვაღიაროთ, რომ მეორე პირველის სრულფასოვანი ანარეკლია და შედეგებიც სრულ შესაბამისობაშია მოლოდინებთან. სხვა საქმეა, მოსწონს თუ არა ვინმეს ეს შედეგი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართული საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს ხელისუფლების მმართველობას და დიდი ენთუზიაზმით გადასცემს მას თვითმმართველობის სადავეებს. კიდევ უფრო ცუდი იქნება, თუკი შუა გზაში ჩვენივე არჩევანი აღარ მოგვეწონება და სხვებზე გაბრაზებულები ვიცხოვრებთ მორიგ საარჩევნო კამპანიამდე, როდესაც ხელისუფლება კიდევ ერთხელ შეეცდება, დაკარგული სამოთხე დაგვიბრუნოს.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით.*


**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

ასოციაცია "ატუ" აცხადებს ტენდერს მდინარე ნატანებზე "შეკვეთილ ტერიტორიაზე" ნაპირსამაგრი ნაგებობის შესასრულებლად. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა შესაბამისი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ 20 ოქტომბრამდე. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ ასოციაცია "ატუს" შემდეგ მისამართზე: თბილისი ჭავჭავაძის 39 ა, მე-14 სართული, ოთახი 4.

**საკონტაქტო პირი ზურაბ თევზაძე.**
**ტელ.: 899 22 46 30**

## მოკლედ

### სახალინის უკანასკნელი "კანონიერი ქურდი" პატიმარია

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა სახალინის ოლქში ქართველი "კანონიერი ქურდი" ჩირო შონია დააკავეს. სააგენტო Интерфакс-ის ინფორმაციით, პირადი ჩხრეკისას ავტორიტეტულ კრიმინალს ჯიბეში აღმოაჩნდა 5 გრამი ოპიუმი, რომლის ღირებულებაც შავი ბაზარზე 7,5 ათასი რუბლია. რუსეთის შსს-ს განცხადებით, შონია რამდენჯერმე ნასამართლევია - ძარცვისთვის, იარაღის უკანონო შენახვა-ტარების, დროებითი დაკავების იზოლატორიდან გაქცევისა და მილიციელზე თავდასხმისთვის. ბოლოს მას 3 წლით პირობით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამჯერად შონიას წინააღმდეგ საქმე ნარკოტიკების უკანონო დამზადება-შენახვა-ტარებისთვის აღიძრა. დგინდება სხვა მძიმე დანაშაულებში მისი მონაწილეობის საკითხი. აფხაზეთიდან დევნილი ჩირო შონია სახალინელმა სამართალდამცველებმა გასულ წელსაც დააკავეს. მაშინ ის ფედერალურ ძებნაში იყო. შონიას ბრალი ედებოდა ხელისუფლების წარმომადგენლის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობაში და ბოროტ ხულიგნობაში, რითაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი. მაშინ შონიას პატიმრობა გაუსვლელობის ხელწერილით შეუცვალეს, მაგრამ მან დატოვა სახალინის ოლქი, რის გამოც, იგი ფედერალურ ძებნილად გამოცხადდა. რუსეთის შსს-ს მტკიცებით, შონიას დაპატიმრების შემდეგ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთ ნაწილში არც ერთი "კანონიერი ქურდი" აღარ დარჩა - ყველა ავტორიტეტული კრიმინალი პატიმარია. **24 საათი**

### სამშვილიანი ოჯახი გამოსახლებისგან მეზობლებმა გადაარჩინეს

ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე, 9-სართულიანი კორპუსის ერთ-ერთი ბინიდან სააღსრულებლო ბიუროს წარმომადგენლები ბარამიძეების ოჯახის გამოსახლებას ცდილობდნენ. თუმცა, მათ წინააღმდეგობა ოჯახთან ერთად მეზობლებმაც გაუწიეს და საბოლოოდ ბარამიძეების გამოსახლება ვერ მოხერხდა. როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, მათ ბინა 17 წლის წინ სამხედრო პირისგან შეიძინეს და მას შემდეგ იქ ცხოვრობენ. ორი წლის წინ კი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, როგორც გაუქმებული საბჭოთა სამხედრო უწყების სამართალმემკვიდრემ, ბინის დაბრუნება გადაწყვიტა. მას შემდეგ ბარამიძეებმა რამდენიმე სასამართლო პროცესი მოიგეს, თუმცა, დაახლოებით, ერთი თვის წინ უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც, ბინა თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. ბარამიძეებს სამი შვილი ჰყავთ, ერთ-ერთი - ინვალიდია. ოჯახის წევრების და მეზობლების დაპირისპირება სააღსრულებლო ბიუროს წარმომადგენლებთან ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, რის გამოც, გამოსახლების პროცესი დროებით შეწყდა. **ინტერპრესნიუსი**

### ბრალდება - ავარიის პროვოცირება

მოსკოვის ცენტრში, ზუბოვსკის მოედანზე ავტოავარია მოხდა. ავტომობილი "ოპელი", რომელსაც საქართველოს ელჩის მრჩეველი ზურაბ ყიფიანი მართავდა, სასწრაფო დახმარების მანქანას შეეჯახა. ინციდენტის შედეგად დაშავდა 4 წლის გოგონა, რომელიც სასწრაფო დახმარების მანქანაში იმყოფებოდა და თავად ყიფიანის თანამგზავრი ქალბატონი. მართალია, ზურაბ ყიფიანმა უარი განაცხადა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე, მაგრამ რუსული საინფორმაციო საშუალებები მაინც ირწმუნებიან, რომ იგი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, ქართველ დიპლომატს რუსი სამართალდამცველები მოსკოვის ცენტრში ავარიის პროვოცირებაში სდებენ ბრალს. **ინტერპრესნიუსი**

### პატიმრების რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე დონორი ორგანიზაციის - ამერიკის იურისტთა ასოციაციის, ევროკომისიის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც პენიტენციური სისტემის რეფორმის შედეგებზე და იუსტიციის სამინისტროს სხვა პრიორიტეტულ საკითხებზე ისაუბრეს. საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს სისტემაში გაწეული მუშაობის ანგარიში წარუდგინა. აღნიშნულ ანგარიშში დეტალურად არის მოცემული, თუ რა ძვრები განხორციელდა ახალი ხელისუფლების პერიოდში საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში. ანგარიშში ხაზგასმულია, აგერთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, სატუსაღოებში ძალის გამოყენების პირობები. ანგარიშის მიხედვით, დეპარტამენტი ძალას სტანდარტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში იყენებს. ამავე ანგარიშში მოცემულია 2001 წლიდან 2006 წლამდე პატიმართა სტატისტიკა. პატიმრების რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიმდინარე წელს მიაღწია. წლევანდელი მონაცემებით, საქართველოს ციხე-საპყრობილეებში 14 ათასამდე ადამიანია, მათ შორის - 12571 მამაკაცი, 550 ქალი, ხოლო 225 არასრულწლოვანი. როგორც იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ განაცხადა, დონორ ორგანიზაციებთან წელს მეოთხე შეხვედრა ჩატარდა, რაც აღნიშნულ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობას ისახავს მიზნად. **ინტერპრესნიუსი**

### არ ენდოთ შპს "ნიუვეის-ჯორჯიას" რეკლამას

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში შპს "ნიუვეის-ჯორჯიას" ხელმძღვანელ პირთა მიერ ყალბი რეკლამის გავრცელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, შპს "ნიუვეის-ჯორჯია" საქართველოში კორპორაცია "ნიუვეისის" საკვები დანამატების იმპორტსა და რეალიზაციას ახორციელებს. თუმცა, მათ მიერ დაბეჭდილ და დისტრიბუტორთა მიერ კარდაკარ გავრცელებულ ბროშურებში, ასევე, განთავსებულ რეკლამებში ისინი მიუთითებენ, რომ მათი 23 დასახელების პროდუქცია წამალს წარმოადგენს. როგორც ფინანსური პოლიციაში შეისწავლეს, სარეკლამო ინფორმაცია გაყალბებულია და იგი რადიკალურად განსხვავდება ოფიციალურად აღნუსხული გამოყენების რეკომენდაციებისგან. "პროდუქცია წარმოჩენილია როგორც წამალი. თუმცა, მისი ეფექტურობა არ არის შესწავლილი და დადასტურებული მეცნიერულად. მისმა გამოყენებამ განსაკუთრებით მძიმე დაავადებების დროს, შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას. თუკი ეს საკვები დანამატები წამალს ჩაენაცვლება, შესაძლოა, პაციენტი დაიღუპოს", - აღნიშნულია წამლის სააგენტოს დასკვნაში. "ნიუვეისი" კი თავისი საკვები დანამატებით ისეთი მძიმე და მრავალფეროვანი დავადებების მკურნალობას გვთავაზობს, როგორიცაა, მაგალითად - დიაბეტი, ტუბერკულიოზი, ონკოლოგიური დაავადებები, ღვიძლის დაავადებები, ასთმა, სტენოკარდია, გულის უკმარისობა და ა.შ. თავად საკვები დანამატები კი, როგორც "ნიუვეისი" მიუთითებს, შედგება "კატის ბრჭყალის ფესვის ექსტრაქტისგან", "ჭიანჭველას ხის ქერქისგან", "ირლანდიური ხავსისგან" და ა.შ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სახალხო დამცველი სკოლის დირექტორის წინააღმდეგ

სახალხო დამცველი 23-ე სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობას მოითხოვს. როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, მათ 23-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებმა განცხადებით მიმართეს. ისინი სკოლის დირექტორის მხრიდან მათი უფლებების დარღვევის ფაქტზე მიუთითებდნენ. მშობლების ინფორმაციით, 2006 წელს სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს მე-9 კლასელთათვის მეათე კლასში მისაღები გამოცდები ჩატარდა. როგორც განმცხადებლები აღნიშნავდნენ, სკოლის დირექტორი - ნატო გაბოშვილი იმ მოსწავლეთა მშობლებს, რომლებმაც გამოცდებზე დაბალი შეფასება მიიღეს, შვილების სხვა სკოლებში გადაყვანას აიძულებდა. შედეგად, 27-მა მოსწავლემ სკოლიდან საბუთები გაიტანა და მხოლოდ რამდენიმემ გამოთქვა პროტესტი სწავლის სხვა სკოლაში გაგრძელებაზე. მშიბლების მტკიცებით, დირექტორი კვლავ განაგრძობდა დარჩენილი მოსწავლეების მშობლებზე ზემოქმედებას.

აღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ სახალხო დამცველის აპარატმა 23-ე სკოლიდან გამოცდებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია გამოითხოვა. აღსანიშნავია, რომ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებში საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებები დაფიქსირებული არ ყოფილა, სკოლის დირექტორის ოფიციალური პასუხის თანახმად კი, მე-10 კლასში მისაღები გამოცდები სკოლის შინაგანაწესის მიხედვით ჩატარდა. გამოცდების შედეგად 13-მა მოსწავლემ ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი და მათ მშობლებს სხვა სკოლაში გადასვლის შესახებ სიტყვიერი რეკომენდაცია მიეცათ. სკოლის დირექტორმა კი განმარტა, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საბაზო განათლება სავალდებულოა, ხოლო შემდეგ მოსწავლეს უფლება აქვს, სწავლა სხვა სკოლაში ან პროფესიულ სასწავლებელში გააგრძელოს. აღნიშნული ფაქტის შესწავლის შემდეგ სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ნატო გაბოშვილმა დაარღვია "ზოგადი განათლების შესახებ" კანონი და მეცნიერებისა და განათლების მინისტრს რეკომენდაციით მიმართა, იმსჯელონ 23-ე სკოლის დირექტორის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხზე. **24 საათი**


ცესკო

## განცხადება

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნების საოლქო საარჩევნო და საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების შემაჯამებელი ოქმები გამოქვეყნებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ გვერდზე www.cec.gov. ge

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

**ტელ.: 98 70 16**


# ჟურნალისტის მკვლელობის ძირითადი ვერსიები

პირველი გვერდიდან

მეორე მიმართულებით, პოლიტიკური პროვოკაციის მოტივით, პრეზიდენტ პუტინისა და ჩეჩნეთის პრემიერის რამზან კადიროვის მოწინააღმდეგეებმა დაგეგმეს მკვლელობა, რათა უარყოფითი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეზონანსი გამოეწვიათ. საგამოძიებო ჯგუფის წევრები აცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევაში მკვლელობა, შესაძლოა, უცხოეთიდან დაიგეგმა, რათა რუსეთის ხელისუფლების იმიჯი დაცემულიყო. ამ მიმართულებასთან დაკავშირდა ბერეზოვსკისა და ზაკაევის, როგორც შემკვეთების, სახელები.

კიდევ ერთი მიმართულებით - ჟურნალისტზე შური იძიეს ყოფილმა "ბოევიკებმა", რომლებიც ფედერალური ძალების მხარეზე გადავიდნენ.

არსებობს კიდევ ერთი მიმართულება, რომლის მიხედვითაც, ჩრდილოეთ კავკასიელთა, კონკრეტულად, ჩეჩენთა უფლებების დამცველი ჟურნალისტი რუსმა ნაციონალისტებმა მოკლეს. როგორც ცნობილია, პოლიტკოვსკაიას გვარი ფიგურირებდა ფაშისტური მოძრაობის ლიდერთა მიერ შედგენილ და გამოქვეყნებულ დასახვრეტთა "შავ სიაში".

გარდა ამისა, პროკურატურის ახალი მონაცემებით, თავდამსხმელები ორ ჯგუფად მოქმედებდნენ. ერთი ჯგუფი მთელი დღის მანძილზე უთვალთვალებდა მსხვერპლს და რაციის მეშვეობით შეტყობინებას აწვდიდა სადარბაზოსთან ჩასაფრებულ კილერს. გამოძიების მონაცემებით, ჩატარებულმა სასამართლო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მკვლელმა ჟურნალისტი ლიფტში შეუშვა და მხოლოდ მას შემდეგ ესროლა ჯერ ზურგში, ხოლო შემდეგ გააკეთა საკონტროლო გასროლა თავში. გამოძიება, ასევე, ვარაუდობს, რომ კილერი არაპროფესიონალი იყო.



ანა პოლიტკოვსკაია გუშინ დაკრძალეს.

"ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ის, რომ კილერმა მკვლელობის იარაღად გამოიყენა გადაკეთებული გაზის პისტოლეტი, რომელიც შემთხვევის ადგილზე დატოვა; მსხვერპლს თავს დაესხა ლიფტში და, რაც მთავარია, მწყობრიდან არ გამოიყვანა ვიდეოთვალი, რომელმაც ის დააფიქსირა. ასეთ შეცდომებს პროფესიონალი მკვლელი არ დაუშვებდა. ამიტომაც, ფაქტობრივად, დადასტურებით შეიძლება თქმა, რომ მკვლელი შემთხვევითი პირი იყო", - აცხადებენ რუსეთის გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები, რომლებიც პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეს იძიებენ. სამართალდამცველები ეძებენ ხუთ პირს, რომლებიც ვიდეოთვალის ჩანაწერებში აღმოჩნდნენ. ოთხი დამნაშავე - ორი მამაკაცი და ორი ქალი პოლიტკოვსკაიას უთვალთვალებდა, მეხუთემ კი - ახალგაზრდა მამაკაცმა ჟურნალისტი მოკლა.

# მესაზღვრეთა საქმე

რამდენიმე დღის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელს, პოლიციის კაპიტანს, ავთანდილ ბაბუაძეს. სასაზღვრო პოლიციის საკადრო საკითხთა სამმართველოს პირადი შემადგენლობის დაკომპლექტებისა და აღრიცხვის განყოფილების უფროსს გამოძიება ქრთამის აღებაში ადანაშაულებს.

გამოძიების ინფორმაციით, კაპიტანი ავთანდილ ბაბუაძე ნაცნობს სიმონ აბაშიძეს დაჰპირდა, რომ მის ახლობელს დავით კერესელიძეს პოლიციაში მუშაობის დაწყებაში დაეხმარებოდა. დაპირებული სამსახურის სანაცვლოდ, პოლიციის კაპიტანმა ათასი დოლარი მოითხოვა. შეთანხმებისამებრ, აბაშიძემ სასაზღვრო პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე კერესელიძე ბაბუაძეს შეახვედრა. ბაბუაძემ შუამავალი სამუშაო კაბინეტში აიყვანა, გადასცა საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი და შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

შეხვედრისას აბაშიძემ ბაბუაძეს სპეციალური ქიმიური ნივთიერებით წინასწარ დამუშავებული 10 ცალი 100-დოლარიანი კუპიურა გადასცა. აქედან 100-დოლარიანი აბაშიძემ "საჩუქრის სახით" უკან დაუბრუნა. სასაზღვრო პოლიციის საკადრო საკითხთა სამმართველოს პირადი შემადგენლობის დაკომპლექტებისა და აღრიცხვის განყოფილების უფროსის დაკავება სწორედ ქრთამის აღების ფაქტზე მოხდა, რომლის ამსახველი ვიდეომასალაც მოსამართლის მიერ არის დაკანონებული და საქმეში დევს. გამოძიების დასრულებისთანავე საქმე განსახილველად სასამართლოში გადაიგზავნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების წინააღმდეგ აღძრულ კიდევ ერთ სისხლის სამართლის საქმეზე რამდენიმე დღის წინ სასამართლომ უკვე გამოიტანა განაჩენი. საქმე ეხება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N1 რეგიონული სამმართველოს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილების თანამშრომლების მიერ ქრთამის აღების ფაქტს.

გამოძიების ინფორმაციით, "სარფის" კონტროლიორებმა - როინ ქონდარიძემ და ირაკლი თავართქილაძემ თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსულ აზერბაიჯანელ მოქალაქეს, საზღვარზე უპრობლემოდ გატარების სანაცვლოდ, ქრთამი - 5-5 დოლარი გამოართვეს. ფული წინასწარ იყო დამუშავებული სპეციალური ქიმიური ნივთიერებით. პროკურატურის მტკიცებით, სასაზღვრო პუნქტში მომუშავე ასლან მიქელაძემ, თავართქილაძისთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, დაკავებისას წინააღმდეგობა გაუწია შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს და ჩხრეკის დაწყებამდე მოახერხა თავართქილაძისთვის ჯიბიდან ამოეღო აღებული ქრთამი - 5 დოლარი.

როინ ქონდარიძეს და ირაკლი თავართქილაძეს ქრთამის აღების მუხლით წარუდგინეს ბრალდება. თუმცა, როგორც ირკვევა, როინ ქონდარიძის ბრალდებას სხვა ბრალდებაც დაემატა. გამოძიება მას ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემაში ადანაშაულებს. როგორც პროკურატურაში განმარტავენ, ცოტა ხნის წინ ის შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ დაკითხეს. როინ ქონდარიძემ საბაჟო გამშვებ პუნქტ "სარფში" ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვასა და საქართველოში გადმოტანაში ბრალდებულის წინააღმდეგ მისცა ჩვენება. თუმცა, მოგვიანებით სასამართლოში დაკითხვისას საკუთარი ჩვენება არსებითად შეცვალა.

ერთი სიტყვით, სასამართლომ სამივე სახელმწიფო მოხელე დამნაშავედ ცნო და მათ განაჩენიც გამოუტანა - ირაკლი თავართქილაძეს - 5 წლით, როინ ქონდარიძეს - 5 წლითა და 6 თვით, ხოლო ასლან მიქელაძეს 1 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

*24 საათი*

# ორი დაჭრილი პოლიციელი და ერთი ნაღმზე აფეთქებული მოქალაქე

მორიგი ინციდენტი მოხდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სადაც გუშინ, გვიან ღამით ინტენსიური სროლის ხმა ისმოდა - დიდი ლიახვის ხეობის სოფელ კეხვში უცნობმა პირებმა კეხვის პოლიციის განყოფილებას ცეცხლი გაუხსნეს. თვითმხილველთა თქმით, თავდამსხმელები ისროდნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და ყუმბარმტყორცნიდან, რის შედეგადაც დაიჭრა კეხვის პოლიციის განყოფილების ორი თანამშრომელი. გოჩა გოგიძე ავტომატური იარაღიდან ნასროლი ტყვიით ფეხში დაიჭრა, ხოლო მეორე პოლიციელს შადიმან კაზარიანს ყუმბარმტყორცნის ნამსხვრევისგან მხარი დაუზიანდა. ორივე სამართალდამცველი სოფელ ქურთას მკვიდრია.

ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის პაატა ბედიანაშვილის განცხადებით, დაჭრილი პოლიციელების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ისინი გორის რაიონის საავადმყოფოში არიან გადაყვანილები. მისივე თქმით, უცნობი პირები კეხვის პოლიციის განყოფილებასთან "შეუმჩნევლად მივიდნენ და ცეცხლი გახსნეს". დაზიანებულია კეხვის პოლიციის შენობაც. არაოფიციალური ინფორმაციით, თავდამსხმელები, სავარაუდოდ, ოსები იყვნენ.

გუშინვე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა - ნაღმზე აფეთქდა ზურაბ ბლიაძე. აფეთქების შედეგად მან ქვედა კიდურები დაკარგა. ექიმების განცხადებით, ბლიაძე გორის საავადმყოფოშია გადაყვანილი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

ოსური მხარე კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დაძაბვას ქართულ მხარეს აბრალებს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ბეჭდვისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ინფორმაციით, სოფელ კეხვში დაპირისპირება ღრმავდება ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და თბილისიდან, საქართველოს თავდაცვისა და შს სამინისტროებიდან გამოგზავნილ სამხედროებს შორის.

"ამ დაპირისპირების მიზეზი ისაა, რომ ქართული მოსახლეობის დიდ პროცენტი, რომელიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეროვნული პასპორტის ან რუსეთის პასპორტის აღების სურვილს გამოთქვამს, ქართველი სამხედროების მხრიდან ზეწოლას განიცდის. სწორედ ამის გამოა, რომ კეხვის მცხოვრებნი სხვადასხვა ბრალდებით ხშირად ხვდებიან ბოლო პერიოდში ციხეებში, სადაც ქართული მხარის მიერ მათი დაშინება ხდება", - იუწყება ოსური მხარე.

გუშინვე სამხრეთ ოსეთის ე.წ. შს სამინისტროს პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმელების მიერ ქართველების დასახლებული პუნქტებიდან-ერგნეთიდან და თირძნიდან ცხინვალისკენ მიმავალი გზის გადაკეტვის შესახებ.

"ამჟამად ცხინვალისკენ არ უშვებენ არც ავტოტრანსპოტრს და არც ქვეითად მოსიარულეებს. მიზეზად კი ასახელებენ იმას, რომ ქართველი ეროვნების ადამიანებისთვის ცხინვალში შესვლა საშიშია", - აცხადებენ ოსები.

აღნიშნულ განცხადებებთან დაკავშირებით ქართულ მხარეს კომენტარები არ გაუკეთებია. თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, "კონფლიქტის ზონაში უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში მომხდარი ინციდენტების ქრონოლოგია ნათელყოფს, რომ აღნიშნული პროვოკაციების მიზანს წარმოადგენს ქართული მხარის შეიარაღებულ დაპირისპირებაში ჩათრევა და რეგიონში დაძაბულობის ესკალაცია".

*24 საათი*

# ყოფილმა დეპუტატმა რადიო "ჰერეთის" დამფუძნებელს სცემა

ზვიად რუაძე

კახეთიდან

*კახეთში ბოლო პერიოდში ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფა და პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს მათთვის ხელის შეშლა სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ტრადიციად იქცა. თუმცა, რეაგირება ჯერჯერობით არც ერთ ფაქტზე არ მომხდარა. ამჯერად ლაგოდეხის ყოფილმა დეპუტატმა რადიო "ჰერეთის" დამფუძნებელს სცემა.*

როგორც რადიო "ჰერეთის" დამფუძნებელი რამაზ სამხარაძე აცხადებს, 9 ოქტომბერს მას ყოფილი პარლამენტარი დავით კაპანაძე თავს დაესხა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. სამხარაძისვე თქმით, კაპანაძე მას ფიზიკური ანგარიშსწორებით და ლიკვიდაციით მას შემდეგ დაემუქრა, როცა აღნიშნული სამაუწყებლო კომპანიის ეთერით გადაცემა "მთელ კვირაში" ყოფილ დეპუტატზე მაკომპრომეტებელი სიუჟეტი გავიდა. სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასა და კაპანაძეს შორის გარიგება შედგა - ყოფილ დეპუტატს, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებში იყრიდა კენჭს, გამგებლობა შესთავაზეს და ამიტომ მან საკუთარი კანდიდატურა არჩევნების წინა დღეებში მოხსნა.

რადიო "ჰერეთის" დამფუძნებლის მტკიცებით, დავით კაპანაძე და "ნაციონალი" გურამ ყორღანაშვილი სამხარაძეს ფიზიკური, ოჯახის და რადიოს ლიკვიდაციით ჯერ კიდევ სიუჟეტის გასვლამდე ემუქრებოდნენ. ყოფილი დეპუტატი დავით კაპანაძე რადიოს დამფუძნებლის ცემის ფაქტს და, ასევე, მუქარას უარყოფს და მას ავანტიურისტს უწოდებს. მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თელავის ოფისის ხელმძღვანელმა ლელა ტალიურმა.

**"ჩვენი შეფასება, რა თქმა უნდა, უარყოფითია. რაც მოხდა ლაგოდეხში, დასაგმობია. მოვუწოდებთ სამართალდამცველ სტრუქტურებს, რომ ადეკვატური რეაგირება მოახდინონ - შექმნან პრეცედენტი და ერთხელ მაინც ჩაატარონ ობიექტური გამოძიება,"** - აცხადებს ლელა ტალიური.

მომხდართან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრმა".

**"მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტთა უფლებების უხეშად დარღვევა, მათზე განხორციელებული მუქარები და პროფესიული მოვალეობის დროს ხელის შეშლა გამოწვეულია ხელისუფლების ცინიკური დამოკიდებულებით, სამართალდამცველების უყურადღებობით და კანონის დამრღვევთა დაუსჯელობით,"** - ნათქვამია განცხადებაში.

ამ დროისთვის აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიებას ლაგოდეხის რაიონის პოლიციის საგამოძიებო ჯგუფი აწარმოებს.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# ზემო აფხაზეთი და აფხაზეთი

ზაზა ფარუაშვილი

*"ზემო აფხაზეთის" დაბადებას ქართველთა იმედი და აფხაზთა შეშფოთება მოჰყვა, მაგრამ მოჰყვება თუ არა მას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია და ამის შესახებ მსჯელობს ქართული საზოგადოება. "სტუდია რე"-სა და მისი ხელმძღვანელის მამუკა ყუფარაძის მიერ ორგანიზებული დიალოგების მორიგი სერიაც ამ საკითხს მიეძღვნა. სტუდიის სტუმრები იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზური საკითხების ექსპერტი ივლიანე ხაინდრავა, საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის ექსპერტი გიორგი გოგია, ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე და ჟურნალისტი ლაშა ტუღუში.*



*დიალოგი "სტუდია რე"-ში.*

სანამ დიალოგის მონაწილენი იმაზე იმსჯელებდნენ, "ზემო აფხაზეთის" დაბადება გვაახლოებს თუ გვაშორებს აფხაზეთს, ივლიანე ხაინდრავამ და გიორგი გოგიამ ისაუბრეს აფხაზური მხარის ორგანიზაციით გამართულ ბიჭვინთის კონფერენციაზე, რომელშიც თავად მონაწილეობდნენ. კონფერენციის ძირითადი თემა იყო აფხაზეთის უსაფრთხოების საკითხი რეგიონში შექმნილი ვითარების ფონზე.

**ივლიანე ხაინდრავა:** "აფხაზეთის დელეგაცია წარმოდგენილი იყო დე ფაქტო ხელისუფლების პირველი პირებით: შამბა, ლაკობა, კოპალბა და სხვები. საქართველოს დელეგაციაში, ჩვენს გარდა, იყვნენ არჩილ გეგეშიძე და გია ანჩაბაძე. აფხაზებს თურქეთიდან ჩამოყვანილი ჰყავდათ აფხაზურ-ადიღეურ-ჩეჩნური დიასპორის 6 წარმომადგენელი. მათი მხრიდან ეს იყო ორმაგი მესიჯი ქართველებისა და რუსების გასაგონადაც, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს - თუ ქართველები ძალის გამოყენებას შეეცდებიან, ხოლო რუსები მიგვატოვებენ, ჩვენი დიასპორა დაგვეხმარებაო.

კონფერენციის პირველი დღე აფხაზებმა მიუძღვნეს საპრეზენტაციო ნაწილს, რომლის დროსაც ისაუბრეს აფხაზეთის სახელმწიფოს მშენებლობაზე, მიღწევებზე და ა.შ.

მეორე დღე დაეთმო ძირითად საკითხს - აფხაზეთის უსაფრთხოებას და ამ კონტექსტში ერთგვარი მინიშნება გაკეთდა თურქული დიასპორის შესაძლებლობებზე.

ამ კონფერენციაზე ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, თუ როგორ იქცეოდნენ აფხაზები სახლში, იქ, სადაც ძლიერები არიან. შთაბეჭდილებები ძალიან ბევრია და მე ჯერ კიდევ ამ შთაბეჭდილებების გადახარშვის მომენტში ვარ. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს - ურთიერთობები ადამიანურ დონეზე ხაზგასმულად თბილი იყო".

**გიორგი გოგია:** "ბიჭვინთაში აფხაზები ძალიან გახსნილები იყვნენ. გაისმა მტკივნეული კითხვები. კოდორი მათთვის ძალიან მტკივნეული მოვლენაა. ჩვენ ზუსტად გათვლილი ნაბიჯები უნდა გადავდგათ, ყველაფერი გავითვალისწინოთ, რომ არ მოხდეს კონფლიქტის პროვოცირება.

ჩვენთვის ძალიან მტკივნეული იყო იმის მოსმენა, თუ როგორ ქმნიან იქ გარკვეულ ინსტიტუტებს და რამდენად გვშორდება აფხაზეთი. თუმცა მნიშვნელოვანია აფხაზების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ დევნილების დაბრუნების გარეშე კონფლიქტის მოგვარებაზე საუბარი რთულია."

**ლაშა ბაქრაძე:** "რაც შეეხება ზემო აფხაზეთს, ყოველი ნაბიჯი, რომელიც მიმართული იქნება გაყინული კონფლიქტის გალღობაზე, კარგია. ქართულ მხარეს უნდა ვითარების შეცვლა და ეს ადრეც უნდა გაეკეთებინა..."

**ივლიანე ხაინდრავა:** "ლაშა, თქვენ გწამთ, რომ ეს მშვიდობაზე გათვლილი ნაბიჯია?"

**ლაშა ბაქრაძე:** "ამის სრული რწმენა არ მაქვს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი. გაყინული კონფლიქტები საქართველოსთვის წამგებიანია და კოდორის მოვლენები წინ გადადგმული ნაბიჯია. ამდენი წლის მოლაპარაკებების შემდეგ არავითარი შედეგი არ ყოფილა. რაც დრო გადის, აფხაზეთი სულ უფრო და უფრო გვშორდება. ადამიანური ურთიერთობები საინტერესოა, მაგრამ, მინდა გკითხოთ: რას გვაძლევს ეს შეხვედრები? იყო რამე განსაკუთრებული ამ შეხვედრაზე?"

**გიორგი გოგია:** "მხარეებს შორის ნდობა არ არსებობს და ნდობის აღდგენის ერთ-ერთი მექანიზმი სწორედ ასეთი შეხვედრებია."

**ივლიანე ხაინდრავა:** "ყოველ შემთხვევაში, კარგია, როცა კაციჭამიას იმიჯი ირღვევა, რომ ქართველები არ ყოფილან გენეტიკური სისხლისმსმელები და რომ მათ სურთ აფხაზებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. თუ ასეთი შეხვედრები არ იქნება, შეიძლება ის ურთიერთობებიც დაიკარგოს, რაც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა."

**ლაშა ტუღუში:** "კოდორის მოვლენებში ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ რაღაც ნაბიჯი გადაიდგა. იქ ხორციელდება მნიშვნელოვანი სოციალური პროექტები. ქართველებმა დაინახეს, რომ მათ ხელისუფლებას შეუძლია იურისდიქციის აღსადგენად გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. გაჩნდა რწმენა ხელისუფლებისადმი. თუმცა, ერთი ხეობის მოწყობით პრობლემა არ მოგვარდება. მე მინდა დავინახო კონკრეტული გეგმა, ვინაიდან ერთსვლიანი კომბინაციით პრობლემას ვერ გადავწყვეტთ იმის მიუხედავად, რომ დადებითი საგარეო ფაქტორი გაგვაჩნია. ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვინდა, რა გეგმა გვაქვს, - ამას ვერ ვხედავ."

**ივლიანე ხაინდრავა:** "რა თქმა უნდა, კოდორის მოვლენებმა აფხაზეთში შეშფოთება გამოიწვია და ისეთებიც არიან, რომლებიც სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლებისგან სამხედრო რეაქციას მოითხოვენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა მარტივი პასუხი, რომ არც ერთი ქვეყანა არ მოითმენდა იმას, რაც კოდორში ხდებოდა. მაგრამ ფაქტია, კოდორმა წარმოშვა დაძაბულობა და, რუსეთთან გართულებული ურთიერთობების ფონზე, სრულიად მოსალოდნელია პროვოკაციები.

მე საერთოდ არ მომწონს ტერმინი – "გაყინული კონფლიქტი". ამ კონფლიქტში გაყინულია მხოლოდ რუსი სამშვიდობო კონტინგენტი და მისი მანდატი. დანარჩენი ყველაფერი მოძრავია. აფხაზეთი ვითარდება და, სამწუხაროდ, გვშორდება."

**ლაშა ბაქრაძე:** "ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აფხაზები კოდორში გადასულ ლეგიტიმურ მთავრობას მიეჩვიონ და მიხვდნენ, რომ მათთან უნდა ისაუბრონ."

**გიორგი გოგია:** "მე ვფიქრობ, რომ ასეთი ფორმით მოლაპარაკებები არ შედგება."

**ლაშა ბაქრაძე:** " მე ვფიქრობ, რომ მიეჩვევიან და მოლაპარაკებებიც შედგება."

**ლაშა ტუღუში:** "სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ელოდება ომს, ვინაიდან სხვა გზას აფხაზეთში დასაბრუნებლად ვერ ხედავენ და ეს ჩვენი ელიტის ბრალია. მეც მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტა შეეცდება, პრობლემა ძალისმიერი გზით გადაწყვიტოს. არ ვგულისხმობ ომს. იქნება რაღაც სპეცოპერაცია. სამწუხაროდ, მგონია, რომ სხვა რამისთვის ინტელექტი არ გვყოფნის არც საზოგადოებას და არც პოლიტიკურ ელიტას."

**გიორგი გოგია:** "უსაფრთხოების პრობლემა აფხაზეთში ძალიან მწვავედ დგას. კოდორის მოვლენებიც აღიქმება, როგორც პირდაპირი ფიზიკური საფრთხე."

**ლაშა ბაქრაძე:** "ეს იყო სისხლიანი კონფლიქტი და ასეთი კონფლიქტების ადვილად მოგვარება არ ხდება. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, დავარწმუნოთ ისინი, რომ ჩვენგან ფიზიკური საფრთხე არ ემუქრებათ. თუმცა, სამწუხაროდ, მე არ ვიცი, ეს როგორ უნდა მოხერხდეს."

**ივლიანე ხაინდრავა:** "დღეს აფხაზები ორ ბოროტებას შორის არიან - საქართველო (ქართული სამხედრო რევანში, დემოგრაფიული რევანში) და რუსეთი. ქვეცნობიერად ასეთი ვითარებაა - ამ ეტაპზე მთავარია, რუსეთის დახმარებით თავი დავაღწიოთ საქართველოს და მერე შეიძლება, რუსეთსაც დავუსხლტეთ. მაგრამ ასეთი წარმოდგენა ფუჭია.

ერთ-ერთმა უცხოელმა ექსპერტმა პირდაპირ უთხრა მათ: ისე, როგორც თქვენ აშენებთ სახელმწიფოს, ვერასოდეს მიაღწევთ აღიარებას; ქართველები გალში რეზერვაციაში გყავთ, დევნილებს არ უშვებთ და აშენებთ ეთნოკრატიულ სახელმწიფოს; მსოფლიო ამას აღარასოდეს დაუშვებს."

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ირაკლი ალასანიას განცხადება ნიუ იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე

2006 წლის 30 სექტემბერს რუსეთის ფედერაციამ წამოიწყო ფართომასშტაბიანი საზღვაო-სამხედრო წვრთნები უშუალოდ საქართველოს ტერიტორიული ზღვის მახლობლად, ტერიტორიული წყლებიდან მხოლოდ 0,7 საზღვაო მილის დაშორებით.

საქართველოს სპეციალური ეკონომიკური ზონების სიახლოვეს დაწყებული სამხედრო წვრთნები საქართველოს ხელისუფლებისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე სერიოზულ ზიანს აყენებს არა მხოლოდ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებსა და საზღვაო გარემოს, არამედ ზღუდავს საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების ნორმალურ და რეგულარულ ფუნქციონირებას, რაც მათი სუვერენული უფლებაა.

ამგვარი ქმედებები განხილულ უნდა იქნას როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევა, რომელიც ცალსახად აცხადებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ძალის მუქარის ან გამოყენებისაგან ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან შეუსაბამო ნებისმიერი სხვა ქმედებისაგან.

საქართველო მოუწოდებს რუსეთის მხარეს, შეწყვიტოს წვრთნები, რომლებიც მიმართულია საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ და საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას მთელს რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია, როგორც უშიშროების საბჭოსა და მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრი და აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოგვარების პროცესის მთავარი ხელშემწყობი, იღებს გადაწყვეტილებას, ჩაატაროს წვრთნები ისეთი წესით, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო პრაქტიკას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს.

უცნაურია, რომ ეს სამხედრო წვრთნები დაემთხვა საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოში გამართულ განხილვებსა და რუსეთის სამხედრო დაზვერვის თანამშრომელთა დაპატიმრებას.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კანონიერ სწრაფვას, დაიცვას ეროვნული უშიშროების ინტერესები და დააკავოს რუსეთის აგენტურის წარმომადგენლები, აბსოლუტურად არაადეკვატური გამოხმაურება მოჰყვა მოსკოვში და იგი შეფასდა როგორც "სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტერორი და მძევლების აყვანა". ძნელია კომენტარის გაკეთება ამგვარ ქმედებებზე, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ აგენტურულ საქმიანობაში კანონიერად ბრალდებული სამხედრო დაზვერვის ოფიცრები ეუთოს გადაეცა რუსეთის ფედერაციისთვის მათი შემდგომი გადაცემის მიზნით.

ამგვარი კეთილი ნების მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლებამ ყოველგვარი სატრანსპორტო და საფოსტო კავშირი გაწყვიტა საქართველოსთან, ხოლო რუსი კანონმდებლები იმუქრებიან, რომ ისინი შეწყვეტენ საბანკო ტრანსფერებსაც. ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60 სესიამ მიიღო 60/206 რეზოლუცია მიგრანტთა ფულადი გადარიცხვების ხელშეწყობის მიზნით და ამ საკითხის მნიშვნელობა დაადასტურა საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების სფეროში გამართული მაღალი დონის დიალოგმაც.

წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაციის ქმედებები ემსახურებოდა მხოლოდ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში სიტუაციის შემდგომ დესტაბილიზაციას. იმ დროს, როდესაც საქართველო კონფლიქტების მშვიდობიანი დიპლომატიური გადაწყვეტისა და შეთანხმებული სამშვიდობო გეგმების განხორციელების ერთგული რჩება, ამგვარი ქმედებები მიუთითებს, რომ რუსეთს ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება, იქცეს თუ არა პრობლემის მოგვარების და არა თავად პრობლემის ნაწილად. რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ულოგიკო და დაუფიქრებელი განცხადებები საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და საბოლოო ჯამში აკნინებს რუსეთის, როგორც სამშვიდობო პროცესის მიუკერძოებელი მონაწილის, როლს.

აბსოლუტურად ნათელია, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალა არ არის მიუკერძოებელი. მან ვერ შეძლო მანდატით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების შესრულება - ვერ შექმნა ხელსაყრელი და უსაფრთხო პირობები ასი ათასობით იმ ქართველი მოქალაქის დაბრუნებისთვის, რომლებმაც ეთნიკური წმენდა საკუთარ თავზე გამოსცადეს. ის იქცა იმ ძალად, რომელიც ცდილობს, ხელოვნურად გათიშოს მხარეები ერთმანეთისაგან.

რუსეთის პოლიტიკური ლიდერის განცხადებები და ქმედებები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ კონფლიქტი, რომელთანაც ჩვენ გვაქვს საქმე, არა იმდენად ეთნიკურია, რამდენადაც ჩემი ქვეყნის მიმართ რუსეთის ტერიტორიული ამბიციების შედეგი. ორმხრივ ურთიერთობებში შექმნილი დაძაბულობის კიდევ ერთი მიზეზია საქართველოს სწრაფვა, გახდეს ევროატლანტიკური სტრუქტურების ნამდვილი წევრი. შესაბამისად, ჩვენ გავაგრძელებთ აუცილებელი ზომების მიღებას ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის, პროვოკაციების თავიდან აცილებისა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის ყველა მიმდინარე საკითხის ტრანსპარანტულად წარდგენის მიზნით.

ჩემი მთავრობის ძირითადი მიზანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სრული კონტროლის აღდგენა და, იმის მიუხედავად, თუ რამდენი დრო დასჭირდება ამას მშვიდობიანი დიალოგის გზით, ჩვენ ვაპირებთ, თავიანთ სახლებში დავაბრუნოთ საქართველოს 300 ათასზე მეტი მოქალაქე, რომლებმაც ეთნიკური წმენდა განიცადეს. ამასთან, ჩვენ მზად ვართ, საქართველოს აფხაზეთისა და ოსეთის მოსახლეობა უზრუნველვყოთ უსაფრთხოებისა და სოციალური გარანტიებით. მეორეს მხრივ, ეჭვგარეშეა, რომ თუ რომელიმე სახელმწიფო მფარველობს ტერორისტებსა და კრიმინალებს, რომლებსაც ეძებს და რომელთა გადაცემასაც ითხოვს მეზობელი სახელმწიფო, ერევა მის შიდა პოლიტიკაში, ხელს უშლის კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართულ მოლაპარაკებებს სეპარატისტული რეჟიმების როგორც ფინანსური, ისე სამხედრო მხარდაჭერის გზით, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ეს სახელმწიფო არ ჩაითვლება მიუკერძოებელ შუამავლად, დაკარგავს ნდობას და ბოლოს მისი წასვლის საკითხიც დადგება. სწორედ ეს გახდა საფუძველი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა კონფლიქტის ზონებში რუსი სამშვიდობოების ყოფნა და თხოვნით მიმართა მთავრობას, მოემზადებინა პირობები მათ გასაყვანად.

საერთაშორისო თანამეგობრობასთან მჭიდრო და ღია თანამშრომლობის გზით ჩვენ უნდა ვიპოვოთ არსებული არაეფექტური მექანიზმების ეფექტური სამშვიდობო პროცესის ფორმატში ტრანსფორმირების გზები, რამაც კონფლიქტის სრულმასშტაბიან პოლიტიკურ და მშვიდობიანი გზით გადაწყვეტამდე უნდა მიგვიყვანოს.

ამ კონტექსტში შეუძლებელია, სათანადოდ არ შეაფასო რუსეთის ფედერაციის როლი. ვესწრაფვით რა ამ ანაქრონისტული მექანიზმების შეცვლასა და ტრანსფორმირებას, ჩვენ კვლავაც მზად ვართ, გავაგრძელოთ თანამშრომლობა ჩვენს მეზობელთან, რადგან გვინდა, რომ რუსეთი პრობლემის მოგვარების ნაწილად იქცეს.

ეს არის კონფლიქტის ყველა მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილების პოვნისა და, ასევე, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დაძაბულობის ყველა წყაროს აღმოფხვრის გზა.

ეს არის საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელი გამოსვლის მთავარი გზავნილიც: "ჩვენ გვინდა კარგი ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, ჩვენ გვინდა ვიყოთ კონსტრუქციულნი, ჩვენ გვინდა დიალოგი, მაგრამ ჩვენ ვერ ავიტანთ, რომ მოგვექცნენ როგორც მეორეხარისხოვან ქვეყანას."

თუ რუსეთის მთავრობას, როგორც კონფლიქტის მოგვარების პროცესის ხელშემწყობს, სურს დაიბრუნოს დაკარგული ნდობა, მაშინ მან უნდა იმოქმედოს როგორც ხელშემწყობმა და აიღოს პასუხისმგებლობა. წავიდა სტატუს კვოს შენარჩუნების დრო, რომელსაც მუდმივად თან ახლდა დესტაბილიზაციის საფრთხე. მოვიდა კონფლიქტის მოგვარების გზაზე გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმის დრო. ჩვენ სრულ თანამშრომლობას ვთავაზობთ ყველა მონაწილე საერთაშორისო მხარეს და გვინდა, რომ რუსეთმა პოზიტიური როლი შეასრულოს ამ პროცესში.

*2006 წლის 3 ოქტომბერი*

პროექტის მხარდამჭერი Conciliation Resources

# ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში

გაგრძელება

ზურაბ პაპასქირი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის სრული პროფესორი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე

## საომარი მოქმედებების ესკალაცია გაგრის მოვლენების შემდეგ

გაგრის მოვლენებმა ერთბაშად შეცვალა სამხედრო დაპირისპირების ხასიათი. გაგრაში დატრიალებულმა ტრაგედიამ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მოთმინების ფიალა აავსო. ქ. სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების ქართველობამ, რომელიც აქამდე ცდილობდა, უშუალოდ არ ჩარეულიყო საომარ მოქმედებებში და, პირიქით, ყველაფერს აკეთებდა კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებისათვის, ამჯერად იარაღი აისხა და უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. ჩამოყალიბდა ორი (23-ე და 24-ე) ბრიგადა, რომელიც მოგვიანებით გაერთიანდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახლადშექმნილ II საარმიო კორპუსში. ეს ბრიგადები, ძირითადად, დაკოპლექტდა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებით. 23-ე ბრიგადის მეთაურად დაინიშნა არა კადრის ოფიცერი, არამედ ადგილობრივი სახალხო ლაშქრის ხელმძღვანელი, ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრი გენო ადამია. 24-ე ბრიგადას სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი ზაურ უჩაძე, საარმიო კორპუსის სარდლად კი დაინიშნა გენერალ-მაიორი პაატა დათუაშვილი.

მოხდა ცვლილებები აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებშიც. ვითარების სტაბილიზაციის "დროებითმა საკოორდინაციო საბჭო"-მ, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა ერთ-ერთ წინა პუბლიკაციაში, აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციას ასრულებდა ქართული მხარის კონტროლირებად რაიონებში, ამოწურა თავისი უფლებამოსილება. საქართველოს მთავრობაში შემოღებულ იქნა სახელმწიფო მინისტრის პოსტი აფხაზეთის საქმეებში. ამ თანამდებობაზე დაინიშნა გიორგი ხაინდრავა. სახელმწიფო მინისტრი, ფაქტობრივად, გახდა ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ნაწილის გავლენა მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. მიუხედავად ვ. არძინბასა და მისი გარემოცვის, აგრეთვე, დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე ძალების დიდი მონდომებისა, აფხაზეთში არჩევნების ჩაშლა მაინც ვერ მოხერხდა. ყველა ქალაქსა და რაიონში (ქ. სოხუმი, სოხუმის რაიონი, გულრიფშის რაიონი, ქ. ოჩამჩირე და ოჩამჩირის რაიონი), სადაც კი ჩატარდა არჩევნები, ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის, აფხაზებმა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა. ასე მაგალითად, გულრიფშის რაიონის 1500-მდე აფხაზი ამომრჩევლიდან, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 800-მდე ამომრჩეველმა, ხოლო ამავე რაიონის 12 ათასამდე სომეხი ამომრჩევლიდან - 10 ათასმა ამომრჩეველმა.

არჩევნებში გაიმარჯვეს და აფხაზეთიდან საქართველოს პარლამენტში (პროპორციული სიებით) მოხვდნენ: **ადა მარშანია** (საარჩევნო ბლოკი - "11 ოქტომბერი"), **კონსტანტინე სალია** (საარჩევნო ბლოკი "ერთობა"), **ოთარ ზუხბაია** და **ვახტანგ ყოლბაია** (საარჩევნო ბლოკი - "მშვიდობა"), **გივი ლომინაძე** ("ქარტია - 91"), **ალექსანდრე ჯიქია** ("ეროვნულ-დემოკრატიული პარტია"), **მალხაზ ბარამიძე** ("საქართველოს დემოკრატიული პარტია"), **ბორის კაკუბავა** ("ილია ჭავჭავაძის საზოგადოება"), **ელგუჯა (გია) გვაზავა** ("საქართველოს მწვანეთა პარტია"), **გერმანე ფაცაცია** ("ტრადიციონალისტების პარტია"). მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში გაიმარჯვეს: **თამაზ ნადარეიშვილმა** (ქ. სოხუმი), **ჯემალ საჯაიამ** (სოხუმის რაიონი), **ანზორ წოწონავამ** (გულრიფშის რაიონი), **არნოლდ ფენდერავამ** (ოჩამჩირის რაიონი). ამრიგად, საპარლამენტო არჩევნების შედეგად აფხაზეთი საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იყო 14 დეპუტატით, რომელთა შორის ორი - ადა მარშანია და კონსტანტინე სალია - აფხაზი იყო. მას მერე, რაც საქართველოს ახალ მთავრობაში მოხვდა კ. სალია (ის დაინიშნა საქართველოს ტურიზმის მინისტრად), მისი ადგილი პარლამენტში დაიკავა **გენო კალანდიამ.**

აღსანიშნავია, რომ, როგორც მაშინ, ისე მოგვიანებითაც (შეიძლება ითქვას, რომ დღემდეც კი) სეპარატისტები და ზოგიერთი ჩვენი "ექსპერტ-ანალიტიკოსი" ეჭვქვეშ აყენებენ 1992 წელს აფხაზეთში ჩატარებული, საქართველოს პარლამენტის არჩევნების ლეგიტიმურობას, იმის გამო, თითქოს ეს არჩევნები არ ჩატარებულა ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. რასაკვირველია, ამ უცილობელი ფაქტის უარყოფა ნამდვილად არ შეიძლება და არც არავინ აპირებს ამის გაკეთებას. მართლაც, ცნობილი მიზეზების გამო, აფხაზების მიერ კონტროლირებად რაიონებში - გაგრაში, გუდაუთასა და ტყვარჩელში - საქართველოს პარლამენტის არჩევნები არ ჩატარებულა. უფრო მეტიც, დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა გალის რაიონშიც ჩაშალეს ხმის მიცემა. მიუხედავად ამისა, ქ. სოხუმისა და სოხუმის რაიონის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონების მოსახლეობამ, გაგრის ზონიდან და გუდაუთის რაიონიდან გამოხიზნულმა მოქალაქეებმა, რომლებმაც თავი შეაფარეს ქართველების მიერ კონტროლირებად რაიონებს, აგრეთვე, გალის რაიონის ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა, რომელმაც ხმის მიცემა შეძლო ოჩამჩირის რაიონში განთავსებულ საარჩევნო უბნებში, შეადგინეს აფხაზეთის ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა სულ ცოტა 50%.

აი, რატომ უნდა ჩაითვალოს 1992 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები აფხაზეთში ლეგიტიმურად. ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისით, ეს არჩევნები არაფრით განსხვავდებოდა 1990 წლის 28 ოქტომბერში ჩატარებული, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისაგან, როდესაც აფხაზური მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ სეპარატისტული წრეების ზეწოლით ბოიკოტი გამოუცხადა საპარლამენტო არჩევნებს. შედეგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ ერთ-ერთ წინა პუბლიკაციაში, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოში უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში პირველად არ მოხვდა აფხაზი ხალხის წარმომადგენელი. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ აფხაზებმა ბოიკოტი გამოუცხადეს 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებსაც, თუმცა ამის გამო არავის შეუტანია ეჭვი აღნიშნული არჩევნების ლეგიტიმურობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ არჩევნებისაგან განსხვავებით, ქ. სოხუმისა და სოხუმის რაიონის, აგრეთვე, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების აფხაზური მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არათუ მიიღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში, არამედ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აფხაზი ეროვნების 2 დეპუტატის გაყვანაც კი შეძლო.

გაგრის მოვლენების შემდეგ, როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, სამხედრო დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა, ვითარება აფხაზეთში უკიდურესად გამწვავდა. საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული შეიარაღებული ნაწილების კოორდინირებული ხელმძღვანელობის მიზნით შექმნა მთავარი შტაბი, რომელსაც სათავეში გენერალ-მაიორი ავთანდილ ცქიტიშვილი ჩაუდგა. შტაბის წევრები გახდნენ: გია ყარყარაშვილი, გიორგი ხაინდრავა, თამაზ ნადარეიშვილი, გივი ლომინაძე, ავთანდილ იოსელიანი. მაგრამ აღნიშნულმა ღონისძიებამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ვითარება აფხაზეთში როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ფაქტობრივად, უმართავი რჩებოდა.

ამასობაში, სეპარატისტები და მათი მოკავშირეები სულ უფრო აქტიურებდნენ სამხედრო მოქმედებებს. დაიწყო ქ. სოხუმის დაბომბვა. ყოველდღე იღუპებოდნენ მშვიდობიანი მოქალაქეები, მათ შორის, აფხაზებიც. ერთ-ერთი დაბომბვისას, საარტილერიო ჭურვმა იმსხვერპლა ცნობილი აფხაზი მსახიობი, აფხაზური ეროვნული თეატრალური ხელოვნების ნამდვილი მშვენება, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტი ეთერ კოლონია. 1992 წლის ნოემბრის დასაწყისში აფხაზმა "ბოევიკებმა" ოჩამჩირის რაიონში მწყობრიდან გამოიყვანეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რის გამოც ელექტროენერგიით მომარაგება შეუწყდა ქ. სოხუმსა და გულრიფშის რაიონს. მოსახლეობას შეუწყდა, აგრეთვ, გაზისა და წყლის მიწოდებაც. საქართველოს ხელისუფლებამ თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს სპეციალური დადგენილებით კონფლიქტის ზონაში ვითარების გამოსასწორებლად დასახა მთელი რიგი გადაუდებელი სამუშაოებისა. უფრო მეტიც, 1992 წლის 16 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თბილისსა და სოხუმს შორის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების გასანთავისუფლებლად საგანგებო სამხედრო ოპერაციის ჩატარების თაობაზე, რომლის საკოდო სახელწოდება იყო "მაგისტრალი".

მიუხედავად ასეთი ზომებისა, ვითარება ქართული მხარის კონტროლირებად რაიონებში უაღრესად რთული იყო. იგრძნობოდა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებებს შორის შეუთანხმებლობა. სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საქმეებში მეტად მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. სახეზე იყო აღმასრულებელი ხელისუფლების კრიზისი. ასეთ პირობებში, ეროვნული ერთიანობის საბჭოს ინიციატივით დაიწყო მოძრაობა აფხაზეთის დროებითი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად. სოხუმში მოწვეულ იქნა საზოგადოებრიობის კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტის შექმნის შესახებ. მთავრობის მეთაურად წამოყენებულ იქნა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამაზ ნადარეიშვილის კანდიდატურა. სოხუმში მიღებული გადაწყვეტილება 1992 წლის 26 ნოემბერს კანონიერად გააფორმა საქართველოს პარლამენტმა. იმავე დღეს პარლამენტმა შექმნა აფხაზეთის საქმეთა კომისია დეპუტატ ნიკო ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. პარალელურად შეიქმნა კიდევ ერთი (დროებითი) კომისია, რომელსაც დაევალა გაგრის მოვლენების გამოძიება. ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი რაულ კუპრავა.

1992 წლის ნოემბრის ბოლოს ფრონტისპირა რაიონებში შექმნილმა ვითარებამ აიძულა საქართველოს ხელისუფლება 30 ნოემბერს, გამოეცხადებინა სამხედრო მდგომარეობა ქ. სოხუმსა და ოჩამჩირის რაიონში. დეკემბრის განმავლობაში მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები როგორც გუმისთის ფრონტზე, ისე ოჩამჩირე-ტყვარჩელის მიმართულებით. აფხაზურ მხარეს აქტიურად ეხმარებოდნენ გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის რეგულარული ნაწილები. საქართველოს ხელისუფლება უშედეგოდ ცდილობდა დიპლომატიური არხებით მიეღწია რუსეთის ნეიტრალიზებისათვის. 1992 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საგანგებო განცხადება, რომელშიც ერთნიშნად დაადანაშაულა რუსეთის ფედერაცია საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაში. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ რუსი სამხედროები იღებდნენ უშუალო მონაწილეობას ქ. სოხუმისა და მისი შემოგარენის დაბომბვაში 2 და 9 დეკემბერს. მათვე ჩამოაგდეს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენი 5 ოქტომბერს და მოიერიშე თვითმფრინავი სუ-25 - 13 ოქტომბერს.

განცხადებაში მოყვანილი იყო, აგრეთვე, კონფლიქტში რუსული მხარის მონაწილეობის სხვა ფაქტებიც. ამ ფაქტებზე დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტმა პირველად დააფიქსირა ღიად, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთში დისლოცირებული ნაწილები იქცნენ კონფლიქტის მონაწილე მხარედ და რომ ისინი რუსეთის რეაქციულ პოლიტიკურ წრეებთან ერთად ატარებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის იმპერიულ პოლიტიკას (აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999წწ. ნაწილი I. 1989-1995წწ. თბ., 2000, გვ. 109).

რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ უპასუხოდ არ დატოვა ქართველ პარლამენტართა განცხადება და 1992 წლის 25 დეკემბერს მიიღო დადგენილება: "О ходе выполнения постановления Верховного Совета Российской Федерации от 25 сентября "Об обстановке на Северном Кавказе в связи с событиями в Абхазии". დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ "Грузинская сторона грубо нарушила достигнутые договорённости о правовом статусе пребывания войнских формирований Российской Федерации на территории Республики Грузия". საპასუხო ღონისძიებათა შორის, რომელთაც სთავაზობდა უმაღლესი საბჭო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტსა და მთავრობას იყო საქართველოს მიმართ სანქციების დაწესება "в случае неприятия грузинской стороной мер, обеспечивающих безопасность граждан и имущества Российской Федерации на территории Республики Грузия " (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ /1989-2001/. პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი **თ. დიასამიძე.** თბ., 2002, გვ. 289).

# იტალია ტილოსა და გონებაში

## შთაბეჭდილებები და გადახვევა ისევ რეალიზმში

სოფო კილასონია



ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი "მუზა" გუშინდელი საღამოდან საქართველო-იტალიის მეგობრობისა და თანამშრომლობის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ, ერთობ საინტერესო გამოფენას გვთავაზობს - "იტალია ქართულ ფერწერაში". მართალია, გამოფენა ეძღვნება იტალიის საფეხბურთო ნაკრების თბილისში ჩამოსვლას, მაგრამ ამით ექსპოზიცია სულაც არ ხდება მეორეხარისხოვანი. კოკი მახარაძის, სერგო ქობულაძის, მამუკა და ნიკო ცეცხლაძეების, ზურაბ ნიჟარაძის, გივი თოიძისა და მამა-შვილ ჯოვანი და ბრუნო ვეფხვაძეების ნამუშევრები ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში იტალიის პეიზაჟებს, იტალიაზე მოგონებებსა და იტალიით ასოცირებულ მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ.

გამოფენა გახსნეს საქართველო-იტალიის მეგობრობის ასოციაციის ხელმძღვანელებმა გია ჯანბერიძემ და სანდრო ნონეშვილმა. ბატონმა გია ჯანბერიძემ საქართველოში მსოფლიო ჩემპიონების ჩამოსვლა განსაკუთრებულ მოვლენად დასახა და აღნიშნა, რომ იტალიის საფეხბურთო ნაკრებისა და მისი თანმხლები საზოგადოებისთვის, ათეულობით ჟურნალისტისთვის გამოფენა უდავოდ საინტერესო სანახავი გამოდგება: "თუ ფახბურთში არ გაგვიმართლა, სხვა სფეროში მაინც გვაქვს სათქმელი. ქართული ხელოვნება ამ შემთხვევაში გამოსავალიცაა, თუმცა, იმედი გვაქვს, რომ ქართულ ფეხბურთშიც ყველაფერი კარგად იქნება."

სანდრო ნონეშვილი: "ორი თვის წინ ჩვენი ასოციაცია მასპინძლობდა იტალიელ ჟურნალისტებს. სულ მალე იტალია იხილავს ოთხნაწილიან დოკუმენტურ ფილმს საქართველოს შესახებ. ამაში ჩვენც მიგვიძღვის გარკვეული წვლილი. უახლოეს მომავალში რამდენიმე ღონისძიებას განვახორციელებთ როგორც იტალიაში, ისე საქართველოში. ურთიერთობა, რომელიც რომის დაარსებიდან დაიწყო იტალიასა და საქართველოს შორის, დღემდე გრძელდება და გაგრძელდება კიდეც."

ექსპოზიცია საინტერესოა ქართველებისთვისაც. გამოფენაზე, რომელიც XX საუკუნის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებსა და მათთან ერთად ჩვენს თანამედროვეებსაც წარმოაჩენს, განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი კოკი მახარაძისა და მამუკა ცეცხლაძის მხატვრობა.

შთამბეჭდავია მახარაძის მაღალი ოსტატობითა და არაერთგვაროვანი მანერით შესრულებული ვენეციურ-რომაული პეიზაჟები. ეს ნამუშევრები საინტერესოა იმიტომაც, რომ დიდი ხანია მახარაძის მხატვრობა ქართველ დამთვალიერებელს გამოფენაზე რიგიანად წარმოდგენილი არ უნახავს. "მუზაში" ამ მხატვრის შემოქმედებისთვის დათმობილი ერთი დიდი კედელი ახალგაზრდებისთვის ერთ დიდ აღმოჩენად იქცევა. იმედი გვაქვს, რომ დიდ ინტერესს კოკი მახარაძის მხატვრობისადმი, რაც გამოფენის გახსნაზევე აშკარა იყო, უახლოეს ხანებში რომელიმე გალერისტი, რომელიმე საგამოფენო სივრცე უეჭველად გაითვალისწინებს.

თუ მახარაძე იტალიური ქალაქების პეიზაჟებს უშუალოდ აღიქვამდა, მამუკა ცეცხლაძე იტალიაში საერთოდ არ ყოფილა. გასაგებია, რომ ნამუშევრები, რომელთა ნათელი და ამავე დროს მსუყე, სინათლის სავსე ფერთა გამა იმპრესიებია მხატვრის გონებაში არსებული იტალიის შესახებ. მოგონებები უნახავ ქალაქზე, მაგრამ მაინც ოქროსა და ლაჟვარდში მოციმციმე სამყაროს შესახებ, რომელიც მითიცაა და რეალობაც ნებისმიერი მხატვრისთვის. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ექსპოზიცია სრულად წარმოაჩენს მამუკა ცეცხლაძის მხატვრობის მომხიბვლელობასა და განსაკუთრებულ ხედვას - მხატვრობით, რომელიც აშკარად დომინანტურ პოზიციას იკავებს "მუზის" საგამოფენო დარბაზში და მისგან წამოსულ შთაბეჭდილებაში. ექსპოზიციაში გვხვდება კიდევ რამდენიმე მხატვრის ტილო. მათგან ყველაზე ადვილად საცნობი გახლავთ ზურაბ ნიჟარაძის რამდენიმე "ნუ". აქ ნამდვილად არავინ დასვამს კითხვას: "რა შუაშია აქ იტალია?" მართალია, გამოფენა სრულიად გამორჩეულ მხატვრულ ინდივიდებს წარმოაჩენს (რაც საერთოდ დამახასიათებელია ქართული მხატვრობისთვის), მაგრამ ექსპოზიციაში მკვეთრად გამოირჩევა ჯოვანი და ბრუნო ვეფხვაძეების ნამუშევრები. განსაკუთრებული ყურადღებით გუშინ საღამოს მაინც ვაჟი - ბრუნო იყო განებივრებული. მან ერთი ნატურმორტის, მუსოლინისა და "ტრიუმფატორის" პორტრეტებით ზოგად "იმპრესიონისტულ" განწყობაში მძლავრი რეალისტურ-ნატურალისტული სუბსტრაქტი შეიტანა. რა არის ეს? უბრალოდ ეტაპი მხატვრული ძიებისა თუ ახალგაზრდული პროტესტი ულტრათანამედროვე მხატვრობისადმი, როცა ფორმაცა და რეალობის შეგრძნებაც მისთვის საეჭვოა. შესაძლოა, ერთიც და მეორეც, ანდა არც ერთი. ამას დრო და სამომავლოდ დაგეგმილი მისი გამოფენები გვაუწყებენ.

იტალია-საქართველოს მეგობრობის ასოციაცია სულ ცოტა ხნის დაფუძნებულია. მას შემდეგ ერთი გამოფენა მოეწყო ვატიკანში, რომელიც თანამედროვე ქართულ ხატწერას წარმოადგენდა. მას დიდი წარმატება ჰქონია რომში. ბატონი გია ჯანბერიძე, როგორც ამ ასოციაციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, პირად საუბარში ვენეციის ბიენალესაც შეეხო, რომელიც მხატვრებს მომავალი წლისთვის ელით. თუმცა, რესპონდენტი ისევ გამოფენას უბრუნდება: "ეს ექსპოზიცია ნაუცბათევად მომზადდა. ამიტომ სრულად არ ასახავს ქართველი მხატვრების იტალიის თემით გატაცებას. ნებისმიერი ქვეყნის ხელოვანისთვის, ნებისმიერი ეროვნების მხატვრისთვის იტალიის თემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მათ შემოქმედებაში. ჩვენი მიზანია გავაფართოოთ კულტურული დიალოგი ორ ქვეყანას შორის და ხელი შევუწყოთ კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და განათლების სფეროში ჩვენი ხალხების დაახლოებას, გაცვლითი ღონისძიებების განხორციელებას."

**დაბოლოს, ისე როგორც ყოველთვის**: გამოფენა რამდენიმე დღეს გასტანს. ის ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ კუს ტბისკენ მიმავალ გზას ავუყვეთ და ქართული მხატვრობის რამდენიმე ძალზე საინტერესო წარმომადგენლის ხელოვნება ვიხილოთ. მხატვრობა იტალიაზე, იტალიით შთაგონებული ფერადოვანი ემოციები ტილოზე.




# ჩაი და ღვინო

## "შეხვედრა ფიროსმანთან" გერმანელი და ქართველი ხელოვანების მონაწილეობით

ია ვეკუა



მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმში, პატარა მაგიდაზე სამოვარი დგას. ეს სწორედ ის სამოვარია, რომლის გარშემო შეკრებასა და ხელოვნებაზე საუბარს მხატვარი ასე გვთხოვდა. ნიკალას ეს ერთადერთი თხოვნა არასოდეს ასრულებულა. არც ამ სამოვარიდან ჩამოსხმული ჩაი უგემია ვინმეს. თუმცა ოქტომბრის მიწურულს დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიება ფიროსმანის ანდერძის შესრულების წინაპირობაა.

18-დან 27 ოქტომბრის ჩათვლით თბილისსა და კახეთის თითქმის ყველა რაიონში გაიმართება ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ფესტივალი "შეხვედრა ფიროსმანთან". ფესტივალის გეოგრაფია ისეთივე ვრცელია, როგორც მისი მონაწილეების ნუსხა. ამიტომ მხოლოდ მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ მოგახსენებთ.

პროექტში ქართველი ხელოვანების გარდა გერმანიიდან ჩამოსული 40 მხატვარი, მოქანდაკე, რეჟისორი და მწერალი მიიღებს მონაწილეობას. იმის გამო, რომ იდეის ერთ-ერთი ავტორი და სულისჩამდგმელი საქართველო-გერმანიის საზოგადოებაა, არჩევანი გერმანელ ხელოვანებზე შეჩერდა. თუმცა მათ შორის არიან ამ ქვეყანაში მოღვაწე იტალიელი რუსი მხატვრებიც.

სტუმრები თბილისში პროექტის კოორდინატორთა მოწვევითა და საკუთარი ხარჯით ჩამოდიან. საქართველო-გერმანიის საზოგადოების გარდა, მასპინძლობას გაუწევენ პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი გოჩა ღულელაური, პროექტის კოორდინატორები თენგიზ მირზაშვილი, ელდარ შენგელაია, ლიკა მამაცაშვილი, ქეთი კორძახია და სხვა ხელოვნებათმცოდნეები. თუმცა მთავარი მასპინძლები მაინც კახელები იქნებიან: თელაველები, ყვარლელები, დედოფლისწყაროელები, ახმეტელები და სიღნაღელები.

გერმანიიდან სტუმრები პროექტის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ჩამოვლენ და პირველ რიგში თბილისში არსებულ ფიროსმანის სახლ-მუზეუმს მოინახულებენ. ფიროსმანის ქუჩაზე, ერთ-ერთი სადარბაზოს კიბის ქვეშ განთავსებული მუზეუმიდან ღვინის ლაბორატორიისკენ გაემართებიან, რათა წინასწარვე გაიცნონ ის, რის გარეშეც მომდევნო კვირის არც ერთი დღე არ ჩაივლის - ქართული ღვინო!

19 ოქტომბერს მთელი დელეგაცია კახეთისკენ დაიძვრება. პირველად ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს მოინახულებენ. იქიდან ღვინის მარან "გვირაბში" გადაინაცვლებენ. შემდეგ სამონასტრო კომპლექს ნეკრესისა და კახეთის ძველი სატახტო ქალაქის - გრემის დასათვალიერებლად გაემართებიან. პროექტის მეორე დღეც ასეთივე დატვირთულია: წინანდლის რეზიდენცია, თელავის ეთნოგრაფიული მუზეუმი, ღვინის მარანი, იყალთო, ალავერდი და ტრადიციული ქართული სუფრა.

საერთოდ, ეს უკანასკნელი მთელი პროგრამის მნიშვნელოვანი დეტალია, რადგან ღონისძიება ფიროსმანისა და მისი შემოქმედების გარდა, ქართული ტრადიციებისა და ღვინის პოპულარიზაციასაც ითვალისწინებს. ყველაზე მასშტაბური სუფრა კი, ცხადია, 21 ოქტომბერს გაიშლება, როდესაც მირზაანში ტრადიციულად ფიროსმანობას აღნიშნავენ. დილიდან სიღნაღის დათვალიერებით დაწყებული დღე სწორედ მხატვრის მშობლიურ სოფელში დასრულდება.

თუმცა პროექტი მხოლოდ მოლხენას არ ითვალისწინებს. დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებათა ნუსხა ასე გამოიყურება: გოეთეს ინსტიტუტში გაიმართება გერმანელი ლუკას ბიოთხერის ვიდეოინსტალაცია "ქართველი ხელოვანი". იმავე ადგილას "თითების თეატრი" წარმოადგენს მარიონეტულ სპექტაკლს "ფიროსმანის ზმანება". თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა" უმასპინძლებს გამოფენას "ფიროსმანი + თანამედროვე ხელოვნება", რომელშიც გერმანიიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად ქართველი მხატვრებიც მიღებენ მონაწილეობას. ქართულ დესანტს მხატვრები თენგიზ მირზაშვილი, მამუკა ცეცხლაძე, უშანგი ხუმარაშვილი, გოჩა ღულელაური, თემო ჯავახიშვილი, კოტე ჯაფარიძე, მიხეილ გოგრიჭიანი, მოქანდაკეები გენო ზაქარაია და ლევან ვარდოსანიძე წარმოადგენენ. აქვეა ფოტოგრაფი გურამ წიბახაშვილიც.

გარდა ამისა, მირზაანში, სამოვარის გარშემო დაგეგმილ დისკუსია-საუბრებში ჩარეთვებიან მწერლები ანა კორძაია-სამადაშვილი, ლაშა ბაქრაძე, აკა მორჩილაძე, გაგა ნახუცრიშვილი, ამირან სვიმონიშვილი და ზვიად რატიანი. რეჟისორები ელდარ შენგელაია, ლევან წულაძე, გიორგი ოვაშვილი და ბესო კუპრეიშვილი.

ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი: ჰამბურგის დოკუმენტური ფილმების სააგენტო "ჰაიდემედია" ფიროსმანისა და ჩვენი ქვეყნის შესახებ გადაიღებს 60-წუთიან დოკუმენტურ ფილმს. ამ ფილმის რეჟისორი უკვე იმყოფებოდა საქართველოში და კარგად გაეცნო გადასაღებ მასალას. "ჰაიდემედია" ფილმის ტრანსლირების თაობაზე უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას ტელეკომპანიებთან BBC, DW და National Geografic.

**ლიკა მამაცაშვილი**, ხელოვნებათმცოდნე: "დაახლოებით 20 წლის წინ ფრანგების დელეგაცია ხელოვნების მუზეუმში მესტუმრა. როდესაც ფიროსმანის ნახატები ნახეს, მითხრეს, საქართველოს გაცნობა უცხოელმა სწორედ აქედან უნდა დაიწყოსო. ძალიან მიხარია, რომ ამდენი წლის შემდეგ ეს სიტყვები პრაქტიკულად ხორციელდება."

**თენგიზ მირზაშვილი**, მხატვარი: "ჩვენ, ქართველებიც კი ძალიან შორს ვართ ფიროსმანის პიროვნებისა და მისი შემოქმედებისგან. მიმაჩნია, რომ ჯერ ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ ფიროსმანი და მერე გავუზიაროთ უცხოელებს. ეს პროექტი ამისთვის საუკეთესო საშუალებაა."



## მოკლედ

### ინგლისელთა მორიგი დანაკლისი

ინგლისის ნაკრების მცველი ლედლი კინგი ევროპის 2008 წლის შესარჩევ ტურნირში გუნდს ხორვატებთან მატჩში ვერ დაეხმარება. ინგლისელმა ფეხბურთელმა მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც ნაკრებთან ერთად ზაგრებს ვერ გაემგზავრა.

შეგახსენებთ, რომ კინგი მაკედონიასთან მატჩის (0:0) საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. "ტოტენჰემის" კაპიტნის ტრავმა ინგლისელთა თავკაცს სტივ მაკლარენს ახალ თავსატეხს გაუჩენს. გუნდს ხორვატებთან შეხვედრაში სამი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება: სტივენ ჯერარდი (ყვითელი ბარათების გამო) და ტრავმირებულები - ჯო კოული და ოუენ ჰარგრივზი. თუმცა, მაკლარენს სიმშვიდის საბაბს აძლევს რიო ფერდინანდის გამოჯანმრთელება. ის ტრავმის შემდეგ პირველად ხორვატებთან ითამაშებს.

### ტრიქსი და ფლიქსი

სწორედ ასე ერქმევა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის თილისმას. ავსტრიელი და შვეიცარიელი გულშემატკივრების 36,9%-მა ტრიქსსა და ფლიქსს მისცეს ხმა.

ვარიანტებს შორის იყო სხვა სახელებიც - ფრიცი და ბიცი, რომელმაც გამოკითხვაში ხმების 33,7% მიიღო, და ზაგი და ზიგი (30%).

"გამოკითხვაში სულ 67 406 ქომაგმა მიიღო მონაწილეობა. ეს კი შეთავაზებული ვარიანტების პოპულარობაზე მეტყველებს", - განაცხადა ტურნირის შვეიცარიული მხარის დირექტორმა კრისტიან მუტშლერმა.

### ლიპის ესპანეთში იწვევენ

ესპანეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ლუის არაგონესს სამშობლოში კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. არაგონესი ევრო 2008-ის შესარჩევ ტურნირში განცდილი ზედიზედ ორი მარცხისთვის მოყვა "გაუგებრობაში". ესპანური წყაროების ინფორმაციით, პირენეებზე არაგონესის შემცვლელად "სკუადრა აძურას" ექსდამრიგებელს მარჩელო ლიპის განიხილავენ. მსოფლიო ჩემპიონმა მწვრთნელმა ცოტა ხნის წინ ესპანეთში მუშაობის სურვილი გამოთქვა.

### სამბოს მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ დევიდ რუდმანს

ბატონო პრეზიდენტო,

უპირველეს ყოვლისა, ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს პირადად ჩემი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სახელით დავადასტურო ღრმა პატივისცემა სამბოს საერთაშორისო ფედერაციისა და თქვენს მიმართ.

როგორც მოგეხსენებათ, 2006 წლის 12-16 ოქტომბერს ქ.მოსკოვში ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის. სხვა გუნდებთან ერთად ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულია საქართველოს გუნდიც.

ჩემდა სამწუხაროდ, საქართველოსა და რუსეთს შორის შექმნილი ვითარების გამო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტმა უარი განაცხადა ქართველი სპორტსმენებისთვის რუსეთში შესასვლელი ვიზის გაცემაზე. პრაქტიკაში დანერგილი პრინციპების საფუძველზე ტურნირის ორგანიზატორებს სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მაქსიმალური დახმარება გაუწიონ ყველა აკრედიტებული ქვეყნის დელეგაციას ამ რანგის ტურნირებში მონაწილეობის მიღებაში. ამჟამად ეს საყოველთაოდ დანერგილი გამოცდილება უხეშად ირღვევა.

შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე, ქართველი სპორტსმენებისთვის ამგვარი ხელის შეშლა მიმაჩნია სპორტსმენთა ინტერესების დისკრიმინაციად, მით უმეტეს, რომ სამბო საქართველოში სპორტის ერთ-ერთი ტრადიციულ სახეობად ითვლება, ხოლო ჩვენი ეროვნული გუნდი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო, ძლიერი და წარმატებული გუნდია. მას მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე სამივე ხარისხის არაერთი მედალი აქვს მოგებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია სამბოს საერთაშორისო ფედერაციის წინაშე შემოვიდე წინადადებით: იმ შემთხვევაში, თუ სამბოს მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაცია ვერ უზრუნველყოფს ქართველ სპორტსმენთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას, მოხარული ვიქნები პასუხისმგებლობა ვიკისრო ამ ღონისძიების თბილისში ჩასატარებლად. გამოვთქვამ მზადყოფნას ორგანიზება გავუკეთო საქართველოში ყველა სპორტსმენისა და დელეგაციის მოწვევას, მათ შორის, რუსეთის ათლეტებისა და თანმხლები პირებისაც. გარანტიას ვიძლევი, რომ შევქმნი ყველა აუცილებელ პირობას მოწვეული სტუმრების ღირსეული მასპინძლობისა და ამ ღონისძიების მაღალ საორგანიზაციო დონეზე ჩატარებისთვის.

იმედი მაქვს თქვენი გულისხმიერების და ველი თქვენს პასუხს.

*პატივისცემით,*
*საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი*
*ბადრი პატარკაციშვილი*

# მძიმე დღე დიდი მატჩის წინ

მიხეილ აბაიშვილი

10 ოქტომბერი მართლაც მძიმე დღე გამოდგა ქართული სპორტული მედიისთვის. პროგრამა საღამოს 6 საათზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის პრესკონფერენციით გაიხსნა, რასაც იტალიის ნაკრების ვარჯიში მოჰყვა. სანამ "სკუადრა აძურა" ეროვნული სტადიონის გაზონის გათელვა-მოთელვას დაასრულებდა, საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გვეწვია და ბრიფინგი გამართა, რომელიც მალე "საკონფერენციო სავარძელზე" იტალიელთა დამრიგებელმა რობერტო დონადონიმ შეცვალა. პარალელურ რეჟიმში იტალიის ნაკრებმა ვარჯიში დაასრულა და მოედანზე ქართველი ფეხბურთელები გამოვიდნენ. შესაბამისად, მე და "24 საათის" კიდევ ერთმა სპორტულმა ჟურნალისტმა ვასილ უდუმაშვილმა ფუნქციები გავინაწილეთ - მე გუშინდელი დღის "ქართულ ნაწილს" გაგაცნობთ, ვასიკოს რეპორტაჟში კი იტალიელებთან დაკავშირებულ მოვლენებს შეიტყობთ.

ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცისა და უეფას მიერ დღევანდელი მატჩის სპორტულ დირექტორად მოვლენილი ჩვენი თანამემამულის დავით პეტრიაშვილის პრესკონფერენცია საორგანიზაციო საკითხებს დაეთმო. მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონის არა მხოლოდ ოფიციალური შესარჩევი მატჩი, არამედ რიგითი ვარჯიშიც კი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ამდენად, საორგანიზაციო თვალსაზრისით მცირე ლაფსუსიც კი დაუშვებელია, რაზეც ისაუბრეს კიდეც პრესკონფერენციის მასპინძლებმა.

"ხვალინდელი მატჩი მთელი საქართველოს მასშტაბით უმთავრესი მოვლენაა. ვმასპინძლობთ მსოფლიო ჩემპიონს და ასეთი შეხვედრის საორგანიზაციო მხარე უდიდეს ყურადღებას და დაკვირვებას მოითხოვს. საქართველო-საფრანგეთის მატჩის ორგანიზაციის დროს გარკვეული შეცდომები დავუშვით, რაც ახლა გავითვალისწინეთ. ეს ეხება ბილეთების რეალიზაციის პროცესს, რაც ამჯერად გაცილებით ცივილიზებულ ფარგლებში ჩატარდა. ამ დროისთვის მხოლოდ 5-7 ათასი ბილეთია დარჩენილი. დარწმუნებული ვარ, ესეც ძალიან მალე გაიყიდება და ხვალ სტადიონზე სრული ანშლაგი იქნება. მატჩი საღამოს 10 საათზე დაიწყება, თუმცა ეროვნული სტადიონი ბილეთიანი გულშემატკივრებისთვის თამაშის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე გაიღება. ამ ხნის განმავლობაში ქომაგებს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცლებათ. შეგახსენებთ, რომ გრძელდება თანამშრომლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ნაციონალურ ბალეტს შორის. "სუხიშვილებმა" დადგეს ახალი ცეკვა სახელწოდებით "ჩვენ ერთი გუნდი ვართ", რაც მატჩის დაწყებამდე 15 წუთით ადრე შესრულდება. იმედი მაქვს, გულშემატკივრები ამჯერადაც გაითვალისწინებენ ჩვენს თხოვნას და ეროვნული ნაკრების საქომაგოდ თეთრ-წითელ ფერებში გამოეწყობიან. ეს კიდევ უფრო ხაზს გაუსვამს ჩვენს ერთიანობას და დამატებითი შტრიხი იქნება იმ ლამაზი სპექტაკლისთვის, რომელსაც, იმედია, ორივე გუნდი შემოგვთავაზებს", - აღნიშნა ნოდარ ახალკაცმა.



*კალაძე ითამაშებს, სამაგიეროდ ექვსი კაცი გვაკლია.*

ბესო გულაშვილის ფოტო

დავით პეტრიაშვილისთვის ასეთი დონის თამაშების სპორტული დირექტორობა უცხო ხილი ნამდვილად არ არის. ამ რანგში ის უკვე რამდენიმე წელია ემსახურება ისეთი რანგის ტურნირის მატჩებს, როგორიცაა უეფას ჩემპიონთა ლიგა. ასე რომ, საორგანიზაციო თვალსაზრისით მისთვის რაიმე რებუსი ან თეთრი ლაქა არ არსებობს. მან მედიისთვის ერთგვარი ინსტრუქტაჟიც ჩაატარა, რაც მკითხველისთვის ნაკლებად საინტერესოა. ამიტომ ამ თემაზე თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებ.

სპორტული თვალსაზრისით გაცილებით საინტერესო გამოდგა კლაუს ტოპმიოლერის პრესკონფერენცია. გერმანელი სპეციალისტი დღევანდელი მატჩის უდავო ფავორიტად იტალიის ნაკრებს მიიჩნევს, თუმცა არ მალავს, რომ გარკვეული კოზირები მის გუნდსაც აქვს.

"იტალია მსოფლიო ჩემპიონის სტატუსით გვესტუმრა. ამ გუნდის ძალაზე საუბარი ზედმეტია. "სკუადრა აძურა" უდიდესი ტრადიციების გუნდია, რეგალიებით მხოლოდ ბრაზილიის ნაკრებს ჩამორჩება და ნებისმიერ შეხვედრაში მხოლოდ მოსაგებად თამაშობს. ამდენად, ყველასთვის ნათელია, რომ ხვალინდელ შეხვედრაში ფავორიტი იტალიაა. თუმცა, სწორედ ეს ფაქტორი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჩვენზე მუშაობს. ასეთ შემთხვევებში ფსიქოლოგიური ტვირთისგან თავისუფალი აუტსაიდერად მიჩნეული გუნდები საკმაოდ ხშირად ამარცხებენ ფავორიტებს. მეც ამის იმედი მაქვს. თუ ჩვენ ისევე ვითამაშებთ, როგორც ეს გერმანიასთან მატჩის პირველ ტაიმში გავაკეთეთ, წარმატებას მივაღწევთ", - განაცხადა გერმანელმა სპეციალისტმა.

ძნელი სათქმელია, საკადრო პრობლემებს როგორ გადაწყვეტს კლაუს ტოპმიოლერი. ცნობილი იყო, რომ ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო დღეს ვერ ითამაშებდნენ კობიაშვილი, ასათიანი, მუჯირი, გოგუა, დემეტრაძე და არველაძე. ტოპმიოლერის ჰოსპიტალი გუშინ კიდევ ერთი ფეხბურთელით შეივსო - ვარჯიშზე ფეხი იტკინა "მიუნხენ 1860"-ის მცველმა მათე ღვინიანიძემ. სავარაუდოდ, დღეს ვერც ის ითამაშებს. თუმცა, ეს პრობლემა პრესკონფერენციის დროს ტოპმიოლერმა ჯერ არ იცოდა.

"ძნელია, ისეთი პატარა ქვეყნის ნაკრებში, როგორიც საქართველოა და რომელშიც მაღალკვალიფიციური ფეხბურთელების სიმრავლე არ არის, ერთბაშად ექვსი წამყვანი ფეხბურთელი სრულფასოვნად შეცვალო. თუმცა, წუწუნი არაფერს მოგვიტანს და ამას არც ვაპირებ. ხვალ შანსი მიეცემათ ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც ხშირად ვერ ხვდებოდნენ ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში. ეს მათთვის დამატებითი სტიმულია და იმედი მაქვს, მაქსიმუმს გააკეთებენ სასურველი შედეგის მისაღწევად", - იმედიანადაა ტოპმიოლერი.

მთავარი მწვრთნელის ოპტიმიზმს ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეც იზიარებს.

"მსოფლიო ჩემპიონის წინააღმდეგ თამაში დიდი პატივია. მართალია, სერიოზული საკადრო პრობლემები გვაქვს, მაგრამ ის ფეხბურთელები, რომლებიც მწყობრში ვართ, მერწმუნეთ, ყველაფერს გავიღებთ წარმატებისთვის. დიდი იმედი გვაქვს ქართველი გულშემატკივრების, რომლებმაც თავიანთი ქომაგობით უდიდესი მხარდაჭერა აღმოგვიჩინეს საფრანგეთთან წაგებულ შეხვედრაშიც კი. დარწმუნებული ვარ, ხვალინდელ მატჩში ქომაგობა არ მოგვაკლდება", - განაცხადა "მილანის" ქართველმა მცველმა, რომელსაც დღეს რამდენიმე თანაკლუბელის წინააღმდეგ მოუწევს თამაში.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩისწინა ვარჯიში ძალზე უიღბლო გამოდგა ჩვენთვის იმ ფაქტის გამო, რაზეც უკვე გესაუბრეთ. მათე ღვინიანიძე, რომელმაც გერმანიის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, იტალიის წინააღმდეგ ალბათ ვერ ითამაშებს. ტოპმიოლერმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და ვარჯიში დახურა, რის გამოც ჟურნალისტებმა ეროვნული ნაკრების საწვრთნელი პროცესისთვის თვალყურის დევნება ვერ მოვახერხეთ.

დღეს კი მართლაც დიდი მატჩი გვაქვს. საქართველოს ეროვნული ნაკრები თავისი არსებობის ისტორიაში მეხუთედ შეეცდება "სკუადრა აძურას" დამარცხებას. იქნებ ახლა მაინც გაგვიმართლოს...

# დონადონი შემადგენლობას მალავს

პირველი გვერდიდან

**- რას იტყვით საქართველო-იტალიის მომავალ მატჩზე?**

- ვფიქრობ, საკმაოდ რთული იქნება. იტალიელებმა პირველ რიგში საქართველოსთან თამაშზე უნდა იფიქრონ და არა სხვა მატჩებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სამაგალითოდ დავისჯებით. ვნახე საქართველოს ნაკრების რამდენიმე მატჩი. საკმაოდ სოლიდური გუნდია. ასე რომ, ჩვენს ნაკრებს დიდი ჯაფა დაადგება თბილისიდან სამი ქულის წასაღებად.

**- იტალიის ნაკრები ფრანჩესკო ტოტის გარეშე თამაშობს. აპირებს თუ არა ტოტი ნაკრებში დაბრუნებას?**

- ალბათ იცით, რომ ფრანჩესკომ შესვენება ითხოვა. თან მცირე ტრავმაც აქვს. შემიძლია ზუსტად გითხრათ, რომ 2007 წელს ნაკრებში აუცილებლად დაბრუნდება.

**- შეძლებს თუ არა დელ პიერო ტოტის შეცვლას?**

- ეს საკმაოდ ძნელი იქნება. პირველ რიგში იმიტომ, რომ მაინც განსხვავებულ ფეხბურთელებად მივიჩნევ. თანაც, ალექსი უკვე ასაკშია და იმ დონის სამუშაოს ვერ ასრულებს მინდორზე, რამდენსაც ტოტი.

**- თქვენი აზრით, რატომ დაიწყო ასე სუსტად იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი?**

- ეს მხოლოდ იტალიური ხასიათის ბრალია. გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ ბიჭები აშკარად მოეშვნენ. ზოგი ისვენებდა, ზოგს ვარჯიში ეზარებოდა. მოკლედ, ეს ჩვენი ხასიათის ბრალია. ასეთი რამ ადრეც მომხდარა. 1982 წელი გაიხსენეთ. როდესაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოვიგეთ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი საშინლად ვითამაშეთ. ახლა მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. უკრაინასთან მატჩმა დაგვანახა, რომ გუნდი გონს მოეგო. თუ იტალიის ნაკრების ფეხბურთელები მინდორზე ისე გამოვლენ, რომ მეტოქეს ჯეროვნად არ შეაფასებენ და იფიქრებენ, თბილისიდან იოლ სამ ქულას წავიღებთო, ეს ჩვენთვის დამღუპველი იქნება.

ამის შემდეგ უკვე იტალიელთა ვარჯიშს ვადევნებდით თვალყურს. მთავარი, რაც უნდა აღინიშნოს, ის არის, რომ გუნდთან ერთად ივარჯიშა ანდრეა პირლომ. მას შეუძლოდ ყოფნის არაფერი ეტყობოდა. "მილანის" ნახევარმცველი ალბათ დღეს მინდორზეც გამოვა, რაც პრესკონფერენციაზე რობერტო დონადონიმაც დაადასტურა.



*პირლომ გუშინ ივარჯიშა.*

ბესო გულაშვილის ფოტო

იტალიელებმა გუშინაც ისევე ივარჯიშეს, როგორც გუშინწინ. ვარჯიშმა საათნახევარს გასტანა. შემდეგ საკონფერენციო დარბაზისკენ გავემართეთ, სადაც იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ველოდით.

პრესკონფერენციის დაწყება ოდნავ გაჭიანურდა. იტალიელთა მოთხოვნით, ჟურნალისტების გარდა დარბაზი ყველას უნდა დაეტოვებინა. არადა, დონადონის მოსმენა რამდენიმე გულშემატკივარსაც ძალიან უნდოდა.

მცირეოდინი ლოდინის შემდეგ დარბაზში "სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელიც გამოჩნდა. იტალიის ნაკრების რომელიმე ფეხბურთელის თანხლების გარეშე მხოლოდ დონადონის დანახვა მთლად სასიამოვნო არ იყო, მაგრამ რას იზამ, ასე გადაწყვიტეს მსოფლიო ჩემპიონებმა.

**- როგორ შეაფასებთ მომავალ მატჩს?**

- ვნახე საქართველოს ნაკრების მატჩების ვიდეოჩანაწერი. ფიზიკურად ძლიერი გუნდია და ვფიქრობ, ძალიან გაგვიჭირდება. შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე რომში უკრაინასთან მატჩში.

**- რა შემადგენლობით აპირებთ თამაშს, იქნება თუ არა საკადრო ან ტაქტიკური ცვლილებები უკრაინასთან გამართულ მატჩთან შედარებით (ეს კითხვა იტალიელმა ჟურნალისტმა დასვა)?**

- ძალიან მინდა, რომ შემადგენლობა გაგიმხილოთ, მაგრამ ამას ვერ ვიზამ. ჯერ ერთი, არ მინდა მეტოქეს უპირატესობა მივცე. და მეორეც, ნამდვილად არა მაქვს გადაწყვეტილი ვის ვათამაშებ ძირითადში. ხვალ კიდევ ვიფიქრებ.

**- როგორ არის პირლო?**

- თბილისში რომ ჩამოვედით, სიცხე უკვე აღარ ჰქონდა, მაგრამ პირველ დღეს მაინც არ გავრისკეთ და დავასვენეთ. ახლა მხოლოდ ახველებს და ვარჯიში შეძლო. ვნახოთ, როგორ იქნება ხვალ.

**- თქვენ თქვით, რომ არ გაქვთ გადაწყვეტილი ვინ ითამაშებს. ნუთუ ჯერაც ფიქრობთ და არ იცით, როგორი იქნება ძირითადი შემადგენლობა?**

- ბოლომდე უნდა გავაანალიზო ყველაფერი და შემადგენლობას მხოლოდ შემდეგ დავასახელებ.

ამის შემდეგ იტალიელი ჟურნალისტები ჯიუტად ეკითხებოდნენ დონადონის, თუ ვის დააყენებდა იგი ძირითადში, რაზეც იტალიის ნაკრების თავკაცი ტაქტიანად არიდებდა თავს პასუხის გაცემას. ასეთი კითხვა-პასუხი დონადონისა და იტალიელ ჟურნალისტებს შორის რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენმა კოლეგამ მიშა აბაიშვილმაც მოიპოვა სიტყვის უფლება და ცოტა ხალისიც შეიტანა მოსაწყენად მიმდინარე პრესკრნფერენციაში.

**- თუ რა ვცდები, უკრაინასთან მატჩის წინ თქვით, რომ თუ ვერ მოიგებდით, თანამდებობას დატოვებდით. ძალაში რჩება თუ არა თქვენი სიტყვები საქართველოს ნაკრებთან მატჩის წინ?**

- (დონადონი ცოტა კი შეიშმუშნა, როცა შეკითხვა გადაუთარგმნეს, მაგრამ მაინც გვიპასუხა) მთლად ასე არ მითქვამს....

დონადონის უკვე იტალიელმა ჟურნალისტებმა არ დაასრულებინეს სიტყვა, შეკითხვის ავტორისკენ შემობრუნდნენ და "გრაციას, გრაციას" გაიძახოდნენ. ისე, ნეტა მართლა ასე გაუხარდებათ დონადონის წასვლა?..

მოკლედ, იტალიელთა სტუმრობის მეორე დღეც გაილია. დღეს დიდი მატჩია.

# CIAO ITALIA

დიანა ჩაჩუა

- აუ, ნახე, მგონი იტალიელების ავტობუსებია! - აღფრთოვანებას ვერ მალავდა ჩემი თანამშრომელი.

- ეს აძურას ავტობუსი არ არის. ნახე, მედია აწერია. აზრზე ხარ, ორი ავტობუსი ჟურნალისტები ჩამოიყვანეს. ჩვენც ასე არ დავყავართ ფედერაციას გასვლით მატჩებზე?! - იხუმრა მეორემ.

- აუ ჩემი, რა წინ და უკან დაგვატარებენ, ვინმემ იცის, საიდან გამოდიან აძურელები? - აღშფოთებული ტიფოზი ადგილს ვერ პოულობს...

- ამბობენ, ავტობუსი შიგნით შეიყვანეს და პირდაპირ იქიდან გააქანებენ სასტუმროშიო, - არ მომწონს ეს ვერსია. ნერვიულობა მემატება. თან არ მინდა აძურელების უნახავი წავიდე...

- თვითმფრინავი ჩამოფრენილა! - ყურში ჩამყვირა მთლად იტალიის დროშაში გახვეულმა ყმაწვილმა.

მოკლედ, ჩავთვალეთ, რომ აეროპორტში იტალიელების ნახვა შეუძლებელი იქნებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ კომენტარების ჩაწერაზე და პირდაპირ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასისკენ" გავქანდით.

- თქვენ ვისთან ხართ? - სასტუმროს ჭიშკართან მისულს მეკითხება დაცვის წევრი.

- იცით, მე ალესანდრო ნესტასთან ვარ დაბარებული, - მოკრძალებით ვუპასუხე. მიხვდა, რომ ჟურნალისტი ვიყავი და სასტუმროს ტერიტორიის დატოვებისკენ მომიწოდა. ადვილი სათქმელია: "დატოვეთ აქაურობა". ნუთუ იტალიელების ნახვის უკანასკნელ შანსს ვკარგავ? - საკუთარ თავს ვეკითხები. მაგრამ არა!

ამასობაში სასტუმროში მოხვედრას ჩემი თანამშრომელი ცდილობს, თუმცა ამაოდ. ჟურნალისტთა და გულშემატკივართა ამალა უკვე სასტუმრო "მეტეხთან" იწყებს შეკრებას.

- ტრაპიდან პირდაპირ ავტობუსში ჩასვეს და გააქანეს!

- გგონია, აქ მაგათი ნახვის შანსი მოგეცემა? მიდი აბა, სცადე, - ნიშნისმოგებით პასუხობს ჩემი თანამშრომელი.

- აუ, რა პონტია, ტო, რა გახადეს ასეთი. ბუშზე არ ყოფილა ასეთი ამბავი! - უკმაყოფილების ტალღა მატულობს.

- თითქოს გაეროს გენერალური მდივანი ჩამოსულიყოს, რა! - ყური მოვკარი ჩემს უკან გამართულ საუბარს. ეტყობა, კოფი ანანი მაგარი ტიპი ჰგონია, რა...

- ეს რა ხალხია, ლილოს ბაზრობა და უბნები არ დაუტოვებიათ, ისეთი გზებით წამოიყვანეს აძურელები, - სიცილს ვერ იკავებს ჩემს გვერდით მდგარი ტიპი.

- სადმე ხომ არ გადაგვეპატიჟებინა ბიჭები, ჰა?

- ნესტას, პირლოს და პიპოს ნაღდად კალაძე გადაიპატიჟებს სამტრედიაში, - დაასკვნეს იქვე, ლობესთან ჩასაფრებულმა გოგოებმა.

- აზრზე ხარ, ჩვენები რო ჩავლენ იტალიაში, იტალიელი ჟურნალისტები რა დღეში იქნებიან. ნეტავი გოგუა მანახა, გოგუაო...

- მგონი გვეშველა!..

- ნახე, ნახე, დელ-პიეროოოოოოოოოოოოოო!..

- აუ, ნესტა ნახე, რა კაცია!..

ორ წუთში სასტუმრო "მეტეხის" ირგვლივ აღმართული ლობე ტიფოზებით ივსება. იტალიელების ავტობუსიდან აძუროები იწყებენ ჩამოსვლას.

- პიპო, გენაცვალე ჯიგარში, რა მაგარი კაცი ხარ. ფორცა მილან, პიპო, შემოგვხედე ერთი, ბიჭო, - სიმაღლეებს იპყრობს ლობეზე ერთი ყმაწვილი...

- ეს კამორანეზი ნახე, რა მურთხია ტო. ჯუჯა კაცი ყოფილა. ჩაო მაურო, ჩაო!

- პირლო რა უგუნებოდაა. ნეტა რამე ხომ არ მოხდა?

- რა უნდა მომხდარიყო! ახალი გაღვიძებულია ალბათ, - უსწორებს ჩემს თავზე ამძვრალი ბავშვი.

- ნახეთ, დელ-პიეროს რა საყვარლად ეძინა?

- ეს დელ-პიერო რას ბლატაობს, ტო. ავოე, სერია ბეში ჩარჩენილოოოოოოოოოოოო!..

- მაგარი გამიტყდა, გატუზო რომ არ ჩამოვიდა. ეგ მაგარი მაფიოზი კლიენტია. ეს მატერაცი არაა? გამოიხედე, ბიჭო, აქეთ!

- ჯიჯი, კაცი ხარ კაცური, ერთი შემოგვხედე, აბა! - ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, მართლა აპირებდა ჩვენკენ წამოსვლას, მაგრამ... ეტყობა, გადაიფიქრა.

- ნესტას ნახე, რა გამოხედვა აქვს. ალესანდრო, კომე სტაი ალესანდროოოოო? ნახეთ, თმას რა ლამაზად ისწორებს, - ნამდვილად ვერ გაიგო სანდრომ, თორემ ლამის ღობის თავზე შემომსხდარ გოგონებს როგორ აწყენინებდა.

ამასობაში მე ღობესთან პოზიციებს ვიმაგრებ, თუმცა ამაოდ. ავტობუსი უმალ დაცარიელდა, აძურელები კი "მეტეხის" სიღრმეში მიიმალნენ.

- ამისთვის გგულშემატკივრობდით? ერთი არ გამოიხედეს...

- შენ რომ ესენი 2001-ში გენახა, ცოცხალი ვერ გადარჩებოდი. ახლა რა მოსატანია, სპორტულად არიან გამოწყობილი. მაშინ კი კლასიკურად ეცვათ. ამათ რომ ვუყურებ, მინდა წამოვიძახო Ciao Bella! - მეგობარი ჩემს მოსულიერებას ცდილობს.

- Ciao Bella! ნაღდად რა! - ძლივს ამოვთქვი ეს სიტყვები.

წინ ორი საათი გვაქვს. დრო მალე გადის. უკვე "ლოკომოტივის" სტადიონზე ვართ. აძურელები ჯერ არ მოსულან. მოედნის შესასვლელთან პოზიციებს ვიმაგრებთ. კომენტარის ჩაწერის იმედი საბოლოოდ დავკარგეთ, რადგან, სავარაუდოდ, აძურელთაგან ინგლისურად არავინ მეტყველებს.

- აუ, ძოლა გახსოვს? მთელი საათი გვებაზრა. მეტი არავინ იცოდა ინგლისური. ბაჯომ რომ დაახეთქა, არც იტალიური ვიციო, დაგლიჯა რა! - ჩემი თანამშრომელი იხსენებს.

მოედანზე, როგორც ყოველთვის, მრავლად მოგროვდა ხალხი, ამიტომ ოპერატორებისა და ფოტოგრაფების გარდა ყველას ტრიბუნებზე გადანაცვლება გვთხოვეს. თავს ვიყრუებ და აძურელების ამოსვლას ველოდები. ნესტა, ძამბროტა, ჯიჯი - არც ერთი არ ჩერდება, მოედანზე შერბიან. არის კიდევ ერთი შანსი - დაცვას გავექცე და მოედანზე... თუმცა მოულოდნელად მხრებზე ვიღაცის ძლიერ ხელებს ვგრძნობ. უმორჩილესად მთხოვენ დავტოვო მოედანი. ესღა მაკლდა. გამოსავალი აღარ მრჩება. გასასვლელისკენ გავრბივარ და ამ დროს... გვირაბში ლუკა ტონის შევეფეთე. დავიბენი. ჩემი მეგობარი რომ არა, ალბათ მთელი ცხოვრება ვინანებდი, რომ არ გამოველაპარაკე. დაბნეულმა გავუწოდე ფურცელი და კალამი. ამ დროს სასოწარკვეთილი თვალებით ჩემს ფოტოგრაფს ვეძებ: გოგიტ, მიშველე, ლუკა დავიჭირე-მეთქი! ამ დროს ისეთი ჩაიშხუილა, მეგონა, წითელ ხალიჩაზე ვიდექი - მე და ლუკა ფოტოობიექტივების ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდით. მოკლედ, ლუკამ მალე დამტოვა. ახლა დანარჩენი სკუადრა მელოდა. დაიწყო ლოდინი...

- ეს ვინ არის? - ყვირის სასოწარკვეთამდე მისული გოგო.

- ეს ოდოა, არ იცი?

- ა, ხო. როგორ შეცვლილა, კაცო... როგორ გალამაზებულა, - არ იმჩნევს.

პიპო, კამორანეზი... ორივემ გამკრა მხარი, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებდი. ფოტოგრაფის ძებნა აღარ დამჭირვებია, თავად მიპოვა ობიექტივმა. ამ დროს აშკარად არაადეკვატური შეძახლები გაისმა: ზიდანე, ზიდანე!!! დავიბენი... თუმცა ალბათ უნდა მივმხვდარიყავი, რომ ასეთი აჟიოტაჟი მატერაცის გამოჩენამ გამოიწვია. მარკოს არ მიგვაკარეს, დაცვამ სასწრაფოდ გაიყვანა. რა საწყენია.

არადა, პირლო არ ჩანდა.

- პირლო არ ჩანს. მომეჩვენა, რომ აეროპორტში იყო, - ძალიან განიცადა ანდრეას არყოფნა ერთმა ტიფოზმა.

- არა, ეგ თბილისშია. უბრალოდ, ანგინა ჰქონია და სასტუმროში დარჩა, - საქმე უმალ გაიხსნა.

მართალი აღმოჩნდა "მეტეხის" ღობეზე ამძვრალი ბავშვი, როცა პირლოს უგუნებობა შენიშნა...

- სასტუმროში ხომ არ აგვეკითხებინა ანდრეასთვის. სახლში გადავიპატიჟებდი, დედაჩემმა ანგინის საწინააღმდეგო მაგარი მეთოდი იცის, უცებ მორჩება, - იდეები მოუზღვავდა ერთ ყმაწვილს.

- გადაირიე? არ ითამაშებს და ჩვენთვის უკეთესი, - იტალიელების დამარცხების ტაქტიკას ადგენს იქვე ვიღაც.

- შეხედე, რა ბავშვებივით იქცევიან, გოლების გატანა ისე უხარიათ, თითქოს ნამდვილი მატჩი იყოს, - ერთი აღნიშნავს.

- ოე, ოე ჯიჯიიიიიი! ნახე, რა გოლი გაუტანეს. მაგას ჭანტურიას თამაშში ექნება ნანახი, - თამაშს უწუნებს ჯანლუიჯის ის გოგონა, პირლოს რომ ეპატიჟებოდა სახლში.

უცებ ლუიჯი რივას ვხედავ.

- რივა, რივა, რივა! - ავტოგრაფებზე მონადირეთა გუნდი დონ ლუიჯისკენ გაემართა.

- ეგ ვინღაა? - ერთი მეკითხება.

- რივა იტალიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია, - ამაყად ვპასუხობ. თან იმედი მაქვს, ფოტოსთან ერთად ლუიჯის კომენტარსაც მივიღებ. ამაოდ... I don't speak English! - იყო პასუხი.

თავი რომ არ შეგაწყინოთ, გეტყვით, რომ, როგორც ყველაფერი ამქვეყნად, იმ დღეს იტალიელების ვარჯიშიც დასრულდა. ფეხბურთელები ისევ კოხტად ააცუნცულეს ავტობუსებში და სასტუმროს მიმართულებით გააქანეს. თვალი მოვკარი, ნესტა მიღიმოდა და ხელს მიქნევდა. ისღა მივაძახე - Ciao, Ciao Sandroooooooo!!!




**11 ოქტომბერი**

**კინო**

**"ამირანი"**
**თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი**
ნიკოლაი ხომერიკის "977 რუსეთი"- 16.00
ალექსანდრ შაპინის "მეგზური" - 18.00
ახალი გერმანული ფილმები - 20.00; 22.00

**დიდი დარბაზი**

**"რუსთაველი"**
"გორფილდი 2"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 18.00
"პატარა კაცი"
დასაწყისი: 16.00; 20.00; 22.00

**გალერეა**

**"ქარვასლა"**
"ქართველი ემიგრანტები"
ფოტოგამოფენა
"ჩინური ფაიფური

**"ჰობი"**
შერეული გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
თენგიზ და გიორგი მირზაშვილების გამოფენა

*მოკლედ*

### ახალი დოკუმენტური ფილმი

მერაბ კოკოჩაშვილმა მუშაობა დაასრულა ახალ ქართულ დოკუმენტურ ფილმზე "თუ დაგივიწყო, იერუსალიმ". ფილმის პრემიერას კინოთეატრ "ამირანში", სავარაუდოდ, 15-20 ოქტომბრისთვის იხილავს მაყურებელი. სცენარისა და იდეის ავტორია გურამ ბათიაშვილი, ოპერატორი - დავით გუჯაბიძე.

როგორც მერაბ კოკოჩაშვილმა განაცხადა, სურათი ასახავს ისტორიულ სინამდვილეს და მოგვითხრობს იმ ქართველი ებრაელების შესახებ, რომელთაც 1969 წელს წერილი მისწერეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საკუთარ მიწაზე დაბრუნების მოთხოვნით. 1970 წელს კი ქართველმა ებრაელობამ შიმშილობა მოაწყო, რითაც გზა გაუხსნა ებრაელთა დაბრუნებას სამშობლოში. ქართველ ებრაელთა ეს გაბედული ნაბიჯი ისრაელის პრემიერ-მინისტრმა გოლდა მეირმა ასე შეაფასა: "რომ არ ყოფილიყო 18 ქართველი ებრაელის წერილი, ებრაელთა რეპატრიაცია არ მოხდებოდა".

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის რეჟისორის პირველი ფილმი ებრაელების თემაზე. მასვე ეკუთვნის "დაგვიანებული კადიში", რომელშიც ასახულია არიელ შარონის საქართველოსთან ურთიერთობა. შარონის მშობლები თბილისში ცხოვრობდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "პენ-მარათონი" შატილში

ლიტერატურული კონკურსი "პენ-მარათონი" წელს შატილში ჩატარდება. "პენ-მარათონის" მონაწილეთა შერჩევა ოქტომბრიდან დაიწყება. გამომცემლობა "დიოგენეს" მიერ უკვე ტრადიციად დამკვიდრებული კონკურსი 2002 წლიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტარდება. წელს "პენ-მარათონი" ტაო-კლარჯეთში იგეგმებოდა, თუმცა "დიოგენეს" ხელმძღვანელობამ არჩევანი საქართველოს მთიანეთზე, კერძოდ, შატილზე შეაჩერა.

"უნიკალური ფორმატის ლიტერატურული კონკურსი კონკრეტულ ადგილზე და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ორიგინალური პროზაული ნაწარმოების შექმნას გულისხმობს. საზოგადოებას პენ-მარათონის საკონკურსო პირობები უახლოეს მომავალში ეცნობება. ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ კონკურსში მონაწილეობისთვის მწერლური ნიჭი და მარათონელის გამძლეობაა საჭირო. და, რა თქმა უნდა, აუცილებელია დაუოკებელი სწრაფვა გამარჯვებისკენ", - განაცხადეს გამომცემლობა "დიოგენეს" პრესსამსახურში.

გასულ წელს "პენ-მარათონი" ქართლში, ისტორიულ სოფელ უფლისციხეში ჩატარდა. უფრო ადრე ლიტერატურულ კონკურსს გონიოს ციხემ, ფოთის საზღვაო ნავსადგურმა და თბილისის ერთ-ერთმა კლუბმა უმასპინძლეს.

პენ-მარათონის მთავარ თემასა და ჟიურის დავალებას კონკურსანტები კონკურსის დაწყების წინ მიიღებენ. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი გამარჯვებული ეყოლება "პენ-მარათონს" 2006 წელს. საუკეთესო კონკურსანტები, ტრადიციულად, ფულადი პრემიითა და პრიზებით დასაჩუქრდებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ნობელი - 2006




2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის სახელს ლიტერატურის დარგში მალე, 12 ოქტომბერს გამოავლენენ. აღნიშნული მოვლენის თარიღი უცნობი რჩებოდა დღევანდელ დღემდე.

შვედეთის სამეფო აკადემია, ტრადიციისამებრ არც ამჯერად აცხადებს ფინალისტების საბოლოო სიას. ნობელის სახელობის კომიტეტის წევრებს აკრძალული აქვთ პირად საუბრებშიც კი ახსენონ ჯილდოს ყველაზე რეალური პრეტენდენტების გვარები. ამიტომაც მსჯელობა და ვარაუდი მომავალი ნობელიანტის შესახებ 12 ოქტომბრამდე მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი მითქმა-მოთქმად რჩება. თუმცა ამ ეტაპზე ეს მითქმა-მოთქმაც საინტერესო და აქტუალურია. პრედენტებს შორის, როგორც ჩანს არიან: ამოს ოზი ისრაელიდან, პარიზში მცხოვრები სირიელი ადონისი, ამერიკელი ფილიპ როტი, პერუელი მარია ვარგას ლიოსა. ყველა ეს ავტორი ჯერ კიდევ 2005 წლის ნობელის პრემიის კანდიდატები იყვნენ.

რაც შეეხება 2005 წლის პრემიას. გასულ წელს დაჯილდოების ცერემონია სულ ბოლო წუთში ერთი კვირით გადაიდო. ლაურეატი გახდა ბრიტანელი დრამატურგი ჰაროლდ პინტერი.

6 ოქტომბერს შვედეთის სამეფო აკადემიამ უკვე დაარიგა პრემიები მედიცინის, ფიზიკისა და ქიმიის დარგებში მიღწევებისთვის. 9 ოქტომბერს ცნობილი გახდა ეკონომიკის დარგში დაჯილდოვებული, 13 ოქტომბერს კი წლევანდელი პრემიის დამაგვირგვინებელი ეტაპი დადგება, კომისია მშვიდობის პრემიის მფლობელის ვინაობას გაგვიმხელს.

# პიტერ პენის დაბრუნება

ახალი წიგნი Peter Pan in Scarlet, პიტერ პენის თავგადასავლების შესახებ, 5 ოქტომბერს ერთდროულად 34 ენაზე, 30 ქვეყანაში დაიბეჭდა. ჯეიმს ბარის კლასიკადქცეული ზღაპრის გაგრძელების ავტორი ბრიტანელი საბავშვო მწერალი ჯერალდინა მაკორკლანი გახლავთ. ახალი წიგნის სიუჟეტი საიდუმლოდ ინახებოდა, მაგრამ აგვისტოში "ნიუ იორკ ტაიმსში" გამოქვეყნდა მოთხრობის მოკლე შინაარსი. გამომცემლებმა ამ საგაზეთო ნარკვევის ავტორის ვინაობის დადგენა ვერ მოახერხეს. წიგნის გამოსვლის პირველსავე დღეს მისი მოკლე ანოტაცია გამოქვეყნდა ლონდონის ბავშვთა საავადმყოფოს (Great Ormond Street Children Hospital) ინტერნეტ-საიტზე. ეს უკანასკნელი სრულ უფლებას ფლობს ჯერალდ ბარის "პიტერ პენის" გამოცემასთან დაკავშირებით. სანახევრო უფლებები გააჩნია ასევე მის გაგრძელებაზეც.




ახალ მოთხრობაში მოქმედება 1926 წელს მიმდინარეობს, ანუ პირველადი თავგადასავალიდან 20 წლის შემდეგ. მთავარი გმირი - ვენდი დირლინგი, მისი ძმა ჯონი და "დაკარგული ბიჭუნები" დიდი ხანია გაიზარდნენ და საკუთარი ოჯახები შექმნეს. განსხვავებული პირადი ცხოვრების მიუხედავად, მათ მაინც აქვთ კიდევ საერთო. ყველას მსგავსი სიზმარი ესიზმრება, რომელშიც ისევ ცოცხალია ჯადოსნური ქალაქი ნევერლენდი. გმირები საბოლოოდ იქ ბრუნდებიან, რათა აღმოაჩინონ, როგორ შეიცვალა მათი ბავშვობის დროინდელი ზღაპრული სამყარო. სამყარო, სადაც მათ ისევ ელით მეკობრეებთან, ფერიებთან და სხვა ძველ ნაცნობებთან შეხვედრა. ჯერალდინა მაკორკრანი ლონდონის ბავშვთა საავადმყოფოს რჩეულია. მან 2004 წელს "პიტერ პენის" კიდევ ერთი ახალი ზღაპრის შესაქმნელად კონკურსი გამოაცხადა. ახალი ზღაპრის ავტორი ორას მწერალს შორის შეარჩიეს. დიდ ბრიტანეთში ჯერალდინას, როგორც საბავშვო მწერალს, კარგად იცნობენ. მას დაწერილი აქვს 139 წიგნი და მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, მათ შორის პრესტიჟული უიტბრედის პრემია.

# ისევ ერთად

იტალიელ რეჟისორ გაბრიელ მაჩინოს სურს, რომ გადასაღებ მოედანზე კვლავ ერთად გამოაჩინოს ჯიმ კერი და კამერონ დიასი, რომლებიც 12 წლის წინ შესანიშნავად ეწყობოდნენ ფილმში "ნიღაბი". მაჩინომ წყვილი მიიწვია ინგლისურენოვან რიმეიკ ფრანგულ კომედიაში A Little Game Without Consequence. ფილმის სცენარის მიხედვით, იდეალური წყვილი ბრედი (კერი) და კლერი (დიასი) განასახიერებენ გაყრას 5 წლის ერთობლივი ცხოვრების შემდეგ და აღმოაჩენენ, რომ თითქმის ყველა ნათესავი და მეგობარი წინააღმდეგი იყო მათი ერთად ყოფნის, მათ ქორწინებას თვლიდნენ ხელოვნურად და ხანმოკლედ. გადაღებები დაიწყება 23 ოქტომბერს ნიუ იორკში. გადაღებებს წარუძღვება სტუდია Focus Features.





**ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".**

**ს ი ა ხ ლ ე !**

**ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!**

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

**მის. ი. ჭავჭავაძის 78**

**დავით ტატიშვილის აღდგენითი**

**მედიცინის კომპლექსი**

**ტელ: 293 -292**
**(899) 222 - 912**
**(893) 65 38 39**


## ვაკანსია ტექნიკური მენეჯერის თანამდებობის დასაკავებლად

კომპანია "ლომისი" და "ლუდსახარში ნატახტარი" აცხადებს ვაკანსიას ტექნიკური მენეჯერის პოზიციის დასაკავებლად "ლუდსახარშ ნატახტარში" (მცხეთის რაიონი სოფ. ნატახტარი). მოთხოვნა: განათლება შესაბამის სფეროში, გამოცდილება მინიმუმ 2 წელი. ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 45 წელს. გთხოვთ თქვენი CV გამოაგზავნოთ აღნიშნულ მისამართზე: ფაქ: +995 26 22 77 ან ელ-ფოსტა: irma@lomisi.com

## ჯანმრთელობის სერვისების მენეჯერების ტრენინგის განცხადება

**1. შესავალი**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, მოქალაქეების ფინანსურ დაცვას და ჯანმრთელობის სერვისების მაქსიმალურ მისადაგებას მოსახლეობის მოთხოვნებზე. ამის მიღწევა შესაძლებელია ხელმისაწვდომობის და სერვისების უტილიზაციის გაზრდით მთელი მოსახლეობისათვის (და განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობისათვის), მომსახურების ხარისხის, სერვისების წარმოების ეფექტურობის და ასევე მომხმარებლის და მიმწოდებლის კმაყოფილების მიღწევით.

საჭირო ადამიანური რესურსების გადამზადების ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ჯანმრთელობის სერვისის მენეჯერების კონტინგენტის შექმნა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისა და საავადმყოფოების მართვაზე თანამედროვე მენეჯერული კრიტერიუმების შესაბამისად.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პროექტი, რომელსაც დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის დაფინანსებით ახორციელებს ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფი დახმარებას უწევს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტროს ამ მიმართულებით. რეფორმის პროცესის ტექნიკური დახმარების სხვა ელემენტებთან ერთად ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფი ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის სერვისის მენეჯმენტის ტრენინგის პროგრამას.

ტრენინგს კოორდინაციას გაუწევს ქართველი და უცხოელი ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფი. ეს ტრენინგის უნარ-ჩვევების თანმიმდევრული გადაცემის საშუალებას მოგვცემს და უზრუნველყოფს პროგრამის საქართველოს რეალობასთან უკეთ ადაპტაციას.

**2. მიზანი**

კურსი მიზნად ისახავს აღჭურვოს კურსდამთავრებულები ჯანმრთელობის სერვისებში მენეჯმენტის თეორიების, მცნებების, მიდგომების და ტექნიკის გამოყენების უნარით საქართველოს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის კონტექსტში.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სერტიფიკატი.

**3. შინაარსი**

მენეჯმენტის კურსი შედგება 600 საათისაგან (20 კვირა). პირველი სეგმენტი დაფარავს ზოგადი მენეჯმენტის საკითხებს. ეს სეგმენტი საერთო იქნება ყველა მონაწილესათვის. მეორე და მესამე სეგმენტები მიზნად ისახავს პირველ სეგმენტში განხილული საკითხების შემდგომ განვითარებას და დახვეწას. მეორე და მესამე სეგმენტის პროგრამა განსხვავებული იქნება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების, საავადმყოფოების და სამთავრობო დაწესებულებების მენეჯერებისათვის. პირველად ჩატარდება 1 სეგმენტი (6 კვირა) და პროგრამის დანარჩენი ნაწილი მიწოდებული იქნება მოგვიანებით.

**4. ტრენინგის თარიღი და ადგილი**

ტრენინგის პირველი ფაზა (სეგმენტი 1) დაიწყება ნოემბრის შუა რიცხვებში და გასტანს დეკემბრის ბოლომდე.

ადგილი: ტრენინგი ჩატარდება თბილისში

სამიზნე რეგიონები: ტრენინგის პირველი ფაზა გამიზნული იქნება აჭარის, იმერეთის და კახეთის რეგიონებისათვის. სხვა რეგიონების მოცვა მოხდება შემდეგ ტრენინგებში.

**5. განაცხადის შემოტანა**

დაინტერესებულ კანდიდატებს მოეთხოვებათ აპლიკაციის გამოგზავნა (გთხოვთ შეავსოთ თანდართული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შეგიძლიათ აიღოთ ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან იხილოთ ვებ-გვერდები: www.opm.ge; www.jobs.ge; www.humanresource.ge):

მენეჯმენტის ტრენინგის პროგრამა, OPM
ოთახი 209, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტრო
30, გამსახურდიას (პეკინის) გამზირი,
0160, თბილისი
ფაქსი: 995 32 387904
ელ-ფოსტა: mtraining@opm.ge

განაცხადების შემოტანა ასევე შეიძლება პირადად ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადაა **2006 წლის 29 ოქტომბერი**

აპლიკაციები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

***ა. განათლება***

ა.1 დიპლომი მენეჯმენტში, ეკონომიკაში ან მედიცინაში
ა.2 სასურველია დიპლომის შემდგომი სპეციალიზაცია
ა.3 სასურველია ინგლისური ენის ცოდნა

***ბ. გამოცდილება***

ბ.1 საქართველოში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება

ბ.2 სასურველია კახეთის, იმერეთის ან აჭარის რეგიონის ჯანმრთელობის სისტემაში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება

**გ. არაპროფესიული მოთხოვნები**

გ.1 ასაკობრივი შეზღუდვა 55 წელი

გ.2 კახეთის, იმერეთის ან აჭარის მცხოვრები (სურვილი გაქვთ მოთხოვნის შესაბამისად ტრენინგის დასრულების შემდგომ იმუშავოთ ამ რეგიონებში)

გ.3 ცვლილებებისადმი დადებითი დამოკიდებულება, მოქნილობა, ადაპტაციის უნარი, და ინიციატივის და ინტერესის დემონსტრირება

გ.4 გუნდში მუშაობის სურვილი

გთხოვთ თან დაურთოთ აპლიკაციაში მოთხოვნილი დიპლომების ასლები.

**6. შერჩევის პროცესი**

აპლიკაციების გადარჩევა მოხდება შემდეგი პროცესის შესაბამისად

■ დოკუმენტაციის მიმოხილვა და კანდიდატების გამოცდილება განსაზღვრავს მათ შესაძლო დაშვებას შემდგომ ეტაპზე

■ ინტერვიუზე და ტესტირებაზე მოსაწვევად შეირჩევა 40 კანდიდატი. (ინტერვიუს ადგილი და თარიღი ეცნობებათ კანდიდატებს აპლიკაციაში მითითებულ ტელეფონზე ან ელ-ფოსტაზე)

■ 20 შერჩეული კანდიდატის სია გამოქვეყნდება OPM-ის ვებ-გვერდზე

აპლიკანტებს, რომლებიც არ იქნებიან შერჩეული, მიეცემათ 1 კვირიანი ვადა დასაბუთებული საჩივრის შემოსატანად.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 995 32 387904

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არასრული განცხადებები არ იქნება განხილული.

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19



### Airbus-ში კვლავ ცვლილებებია

უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში უმსხვილესი ევროპული თვითმფრინავმშენებელი კომპანია Airbus-ის ხელმძღვანელობა უკვე მეორედ შეიცვალა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის ივლისში კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე გუსტავ ჰუმბერტის ნაცვლად კრისტიან შეფერი დაინიშნა, ახლა კი იგი ლუი გალუამ შეცვალა. ორივე შემთხვევაში ცვლილების მიზეზი ახალი გიგანტური ავიალაინერის A380-ის წარმებაში ჩაშვების დაგვიანების გამო შექმნილი პრობლემები გახლდათ.

ლუი გალუა აქამდე აეროკოსმოსური კონცერნის EADS-ის, რომელიც Airbus-ს აკონტროლებს, თანაალმასრულებელ დირექტორად მუშაობდა. იგი საქმიანობას ენერგიულად შეუდგა და უპირველეს მიზნად დანახარჯების შემცირება დაისახა, რასაც სამუშაო ადგილების შემცირებით აპირებს. გალუას თქმით, ეს მტკივნეული პროცესი კომპანიის როგორც ფრანგულ, ასევე გერმანულ განყოფილებებს შეეხება, მაგრამ რას ვიზამთ, Airbus-მა ხომ A380-ის წარმოების დაგვიანებით 5 მილიარდ ევრომდე შემოსავალი დაკარგა და საკმაოდ დიდი თანხა ავიაკომპანიებისათვის კომპენსაციის სახით აქვს გადასახდელი.

## "შაჰდენიზიდან" გაზის მიღების დრო ახლოვდება

B2



# გამოცდა ქართული სახელმწიფოსთვის



რევაზ საყევარიშვილი

*რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის ბლოკადის გამოცხადების პირველივე დღიდან აქტუალობას არ კარგავს კითხვა, ვის უფრო მეტად ავნებს ეს ბლოკადა - რუსეთს თუ საქართველოს. მრავალი და საკმაოდ სერიოზული არგუმენტის არსებობის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ "ცხელ კვალზე" ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში ძალიან რთულია ლაპარაკი სიმეტრიულ ზარალებზე. თუ რუსეთისთვის მიმდინარე მოვლენების ნეგატიური შედეგი უფრო მეტად პოლიტიკურ სიბრტყეზე ძევს, საქართველოსთვის ეს, უპირატესად, ეკონომიკური შინაარსის პრობლემატიკის გამწვავებაში გამოიხატება.*

პროცესის პოლიტიკური შემადგენელი დიდი დავა-კამათის საგანი არც გამხდარა. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო, პრაქტიკულად, პირველი სრულფასოვანი პოლიტიკური და საინფორმაციო ომი, რომელიც საქართველომ რუსეთს პირწმინდად მოუგო. საქართველოს პატარა სახელმწიფომ მსოფლიოს კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ დაანახა, თუ რა ტიპის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი მდებარეობს მისი ჩრდილოეთით. ცხადია, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ეს ვინმესთვის აღმოჩენა იყო. თუმცა, იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რომ "განმეორება ცოდნის დედაა", ჩვენმა ქვეყანამ თავის მაგალითზე კიდევ ერთხელ მოახდინა დემონსტრირება, რომ რუსეთის მხრიდან აგრესია მთელი პოსტსაბჭოთა ისტორიის მანძილზე წუთითაც არ განელებულა. და თუ პრეზიდენტ ელცინის დროს ის საქართველოსთან (და არა მხოლოდ მასთან) მიმართებაში უპირატესად სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, პუტინის დროს სამხედრო ასპექტმა პირველობა ნელ-ნელა სოციალურ-ეკონომიკურ ინსტრუმენტარიუმს დაუთმო.

ამ მხრივ პუტინის რუსეთი მარტო საქართველოსთვის არ არის თავსატეხი. ის ენერგეტიკული შანტაჟი, რომელსაც რუსეთი მთელ ევროპას უწევს, მიუთითებს, რომ ეს ზოგადად რუსული თამაშის წესია და ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინ არის ამ შემთხვევაში მეორე მხარეს - გაერთიანებული ევროპა, მოძმედ გამოცხადებული ბელარუსი თუ მტრად შერაცხული საქართველო.

გაგრძელება B4 გვერდზე

B4

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2926 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9865 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4732 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7380 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8116 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1198 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2937 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3032 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1895 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4002 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3342 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1587 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1458 |
| 1 | ინგლისური გირვანქას | GBP | 3,2457 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1901 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2542 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4091 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5450 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1372 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3813 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3157 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2612 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5586 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6244 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0646 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0930 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4554 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5135 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4139 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4587 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8042 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0105 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1362 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4438 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2365 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3794 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0778 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2200 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2231 |




# ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს მაგისტრალის ბედი ამ კვირაში გადაწყდება

მარიამ ჭაჭვაძე

*13-14 ოქტომბერს ბაქოში, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ტრანსპორტის მინისტრები იკრიბებიან. მათი შეხვედრისა და საუბრის ძირითადი თემა ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაა. ვინ დააფინანსებს საქართველოს მონაკვეთის მშენებლობას? ეს არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზედაც პასუხს აზერბაიჯანული და თურქული მხარეები სწორედ ამ შეხვედრიდან ელიან.*

სწორედ ამ მიზინით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე თბილისს ხვალ დილით დატოვებს. ცნობილი ხდება, რომ ჩოგოვაძე ოფიციალური შეხვედრების წინ ექსპერტებს ბაქოში შეხვდება.

ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ მუსა პანახოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სარკინიგზო მაგისტრალის სხვა დეტალებთან ერთად, პროექტის მმართველი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და სარკინიგზო მაგისტრალის საქართველოს მონაკვეთის დაფინანსების საკითხები განიხილება.

წინასწარი ინფორმაციით, ამ მონაკვეთის მშენებლობას საქართველო იმ კრედიტით დააფინანსებს, რომელსაც აზერბაიჯანული მხარე გამოყოფს.

გაგრძელება B2 გვერდზე

B2

# „ჯენერალ მოტორსისა" და „რენო/ნისანის" ალიანსი არ შედგა

მერაბ ლორთქიფანიძე

*ალიანსი, რომლის შედეგადაც მსოფლიოს ავტოინდუსტრიას ახალი კოლოსი უნდა მოვლენოდა, არ შედგება. "ჯენერალ მოტორსმა" ცალკე დარჩენა ამჯობინა და მისი ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ახალი პარტნიორებისა და მათი ყოვლისშემძლე შეფ კარლოს გოსნის გარეშეც გაუმკლავდება უმძიმეს კრიზისს. "რენო" და "ნისანი" კი კვლავაც აგრძელებენ ჩრდილოეთამერიკელი პარტნიორის ძიებას, ოღონდ ამჯერად მათი მზერა "ფორდისკენაა" მიპყრობილი.*



B3

# ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს მაგისტრალის ბედი ამ კვირაში გადაწყდება

პირველი გვერდიდან



შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის ირაკლი ეზუგბაიას განცხადებით, ქართული მხარე ამჟამად საკრედიტო შეთანხმების ტექსტზე მუშაობს. მისივე ინფორმაციით, აზერბაჯანი საქართველოს დაახლოებით 220 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის უპროცენტო სესხს გამოუყოფს. თუმცა, კრედიტის ზუსტი ოდენობა საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ - 10 თვეში გახდება ცნობილი. ჯერჯერობით უცნობია კრედიტის ვადა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აზერბაიჯანული კრედიტი უვადო ან გრძელვადიანი იქნება.

ირაკლი ეზუგბაია ამბობს, რომ ამ თანხიდან ერთი ნაწილი რკინიგზის ხაზების (საერთო სიგრძე 192 კილომეტრი), რეაბილიტაციას მოხმარდება, ნაწილით კი მარაბდა-კარწახის 29 კილომეტრიანი მონაკვეთი აშენდება. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში მოხდება მარაბდა-ახალქალაქის მონაკვეთის რეაბილიტაცია და თურქეთის ტერიტორიაზე 70 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა. თურქული კომპანია "იუქჩე დომინაჩის" დასკვნის მიხედვით, აღნიშნულ მონაკვეთზე წელიწადში 3.5 მილიონი ტონა ტვირთის გატარებაა შესაძლებელი.

რაც შეეხება დანარჩენი ორი ქვეყნის მიერ გასაწევ ხარჯებს; აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილის განცხადებით, თურქული მხარე მზად არის ყარსიდან საქართველოს საზღვრამდე სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ხარჯები საკუთარ თავზე აიღოს. **"ჩვენ ამ შეხვედრაზე 3 დოკუმენტის განხილვის ინიციატივით გამოვდივართ - პროექტთან დაკავშირებით ჩარჩო ხელშეკრულება; აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის მთავრობებს შორის შეთანხმება საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის და ტვირთების უსაფრთხო გადაადგილებისათვის გარანტიების მიღების შესახებ და მესამე დოკუმენტი, რომელიც პროექტის დაკრედიტების პირობების შეთანხმებას შეეხება"** - განაცხადა პანახოვმა.

ის ამბობს, რომ პროექტის მონაწილე სახელმწიფოებმა დაფინანსებისთვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს არ უნდა მიმართონ. პანახოვის აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუკი სარკინიგზო მაგიტრალის ექსპლუატაციიდან მიღებულ დივიდენდებს ამ პროექტის მონაწილე ქვეყნები, საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი თავად გაინაწილებენ.

არადა, ხსენებული სარკინიგზო მარშრუტი, პროექტში მონაწილე სახელმწიფოების გარდა, რამდენიმე ქვეყნის ინტერესის საგანი გახდა. ზოგიერთმა მათგანმა, მომავალში გარკვეული მოგების მიღების სანაცვლოდ, მასში ინვესტიციების ჩადების სურვილიც გამოთქვა.

ერთ-ერთი ასეთი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იყო, რომელმაც საკუთარი სურვილი ამ ცოტა ხნის წინათ ყაზახეთში, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის და თურქეთის ტრანსპორტის მინისტრების შეხვედრაზე გამოთქვა. **"ამ შეხვედრაზე დაფიქსირდა, რომ ჩინეთი სერიოზულად არის დაინტერესებული ამ მარშრუტის ათვისებით,"** - აღნიშნა თამარ კოვზირიძემ "24 საათთან" საუბრის დროს.

ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო დერეფნის მშენებლობის 2 ვარიანტი არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან საქართველოს ტერიტორიაზე სამუშაოების მოცულობით რადიკალურად განსხვავდება. პირველი ვარიანტის მიხედვით, პროექტი 365 მილიონი აშშ დოლარი ჯდება, ხოლო მეორე პროექტით - 420 მილიონი.

წინასწარ არსებული გეგმით, სამშენებლო სამუშაოების დაწყება მომავალ წელს იგეგმება, რომლის დასრულება 2008 წლის ბოლოს არის ნავარაუდევი. 2009 წლიდან კი მარშრუტით უკვე ტვირთების გადაზიდვა უნდა დაიწყოს. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მშენებლობის დაწყების, დასრულებისა და სარკინიგზო მაგისტრალის ექსპლუატაციის თარიღები, მშენებლობის პროცესში დაზუსტდება.

ცნობისათვის, საქართველოს მთავრობა მაგისტრალის ამოქმედების შემდეგ წელიწადში დაახლოებით 150 მილიონი დოლარის შემოსავალს ელის.

# "შაჰდენიზიდან" გაზის მიღების დრო ახლოვდება

## წაადგება თუ არა საქართველოს ანკარის ჭირვეულობა

ნიკა მარიამიძე

*სამხრეთ კავკასიის გაზსადენის ამოქმედების ვადა ახლოვდება. თუმცა, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზის მაგისტრალის საკვანძო ქვეყანა ჭირვეულობს. როგორც კომპანია "ბი-პის" წარმომადგენლები აცხადებენ, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება "შაჰდენიზის" გაზსადენით ჯერ კიდევ ერთი თვის წინ უნდა დაწყებულიყო. თუმცა, არ არის გამორიცხული, ანკარამ ევროპაში გაზის ტრანსპორტირება შეაფერხოს, რადგან მილსადენში გაზის გატარებას თურქეთი უახლოეს მომავალში არ გეგმავს.*



შეგახსენებთ, რომ შაჰდენიზის საბადოდან გაზის პირველი ნაკადის ჩატვირთვის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ აგვისტოში გავრცელდა. ამავე პერიოდში უნდა ყოფილიყო მზად კომპანია, რომელიც აირს აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით, თურქეთის ქალაქ ერზრუმამდე, შემდეგ კი ევროპამდე ჩაიტანდა.

თუმცა დღეს ერთ-ერთი უმსხვილესი, რამდენიმე მილიარდი დოლარის ღირებულების საუკუნის ენერგოპროექტის შეფერხების მიზეზად თურქული მხარე ტექნიკურ პრობლემებს ასახელებს, თუმცა "ბი-პი-აზერბაიჯანში" ვარაუდობენ, რომ თურქულ მხარეს, ნედლეულის გადასაზიდად, სიმძლავრეები არ ჰყოფნის. "ბი-პი აზერბაიჯანის პრეზიდენტი დევიდ ვუდვორდი განმარტავს, რომ ფინანსური პრობლემების გარდა, არ გამორიცხება არც პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა, რადგან **"თურქეთი მსგავსი პროექტებიდან მოულოდნელად არაერთხელ გასულა"**.

არადა, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მეშვეობით თურქეთში გაზის ტრანზიტიდან, "საქნავთობისა" და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთოლივი პროგნოზის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2012 წლისთვის 44,2 მილიონი აშშ დოლარი მობილიზება იგეგმება. ამ პროგნოზის თანახმად, თურქეთში გაზის გაყიდვა 2007 წელს უნდა დაიწყოს, ხოლო გაყიდული აირის მოცულობამ საწყის ეტაპზე წელიწადში 2 მილიარდ კუბურ მეტრს უნდა მიაღწიოს. ეს მაჩვენებლი 5 წლის შემდეგ 4-ჯერ - 8 მილიარდ კუბურ მეტრამდე უნდა გაიზარდოს, რის შედეგადაც 4-ჯერ - 0,1 დან 0,4 მილიარდ კუბურ მეტრამდე უნდა მოიმატოს ტრანზიტის საფასურად საქართველოს კუთვნილი აირის მოცულობამაც, ხოლო ტრანზიტის საფასური 10 მილიონი დოლარიდან 44,2 მილიონ დოლარამდე უნდა გაიზარდოს.

"ბი-პი აზერბაიჯანის" პრეზიდენტის განცხადებით, "შაჰდენიზის" პროექტის მსგავსი დიდი მასშტაბის პროექტებს სრულყოფილი ტექნიკური შემოწმება სჭირდება, რის გამოც გაზსადენის ამოქმედების კონკრეტული ვადების დასახელება ჯერ ნაადრევია. თუმცა დანამდვილებით აცხადებს, რომ თურქეთის საკითხის მოგვარების შემდეგ, პროექტის განხორციელება სულ რაღაც რამოდენიმე დღეში იქნება შესაძლებელი. მით უმეტეს, რომ თავად აზერბაიჯანის გაზსადენების სისტემა ბუნებრივი აირის მისაღებად მზადაა, საქართველოში კი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

**"თუკი თურქეთი ვერ მოახერხებს გაზის გატარებას საკუთარ ტერიტორიაზე, მაშინ, მოლაპარაკებების თანახმად, ეს სიმძლავრეები აზერბაიჯანს გადაეცემა. აზერბაიჯანი გაზს სურვილისამებრ თავად გამოიყენებს, ან საქართველოს მიყიდის,"** - განმარტავს დევიდ ვუდვორდი.

ნებისმიერ შემთხვევაში, ბუნებრივის გაზის ნებისმიერი არარუსული რეზერვის გამოჩენა ქართული მხარისთვის მომგებიანია. ამიტომ ანკარის ჭირვეულობამ შესაძლოა საქართველოსთვის გაზის დამატებითი რეზერვები გამოათავისუფლოს. თუმცა, ცალკე საკითხია, რა ფასად შეძლებს ქართული მხარე ამ დამატებითი მოცულობის გაზის შეძენას.

არ არის გამორიცხული, ეს საკითხი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა აზერბაიჯანში ვიზიტისას საგანგებოდ განიხილოს. გილაური აზერბაიჯანში გუშინ დილიდან გამგზავრა და შეხვედრა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტ ნატიკ ალიევთანაც დაგეგმა. წინასწარი ინფორმაციით, მინისტრი "შაჰდენიზიდან" მისაღები გაზის მოცულობაზე შესაბამის ხელშეკრულებასაც გააფორმებს. აზერბაიჯანიდან საქართველოში 300 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის იმპორტი ნოემბრის პირველ რიცხვებში უნდა დაიწყოს.

ვინაიდან მინისტრის ვიზიტის მიზანი მომავალ ზამთარში საქართველოს ენერგოუზრუნველყოფაა - გაზთან დაკავშირებული საკითხების გარდა აზერბაიჯანულ მხარესთან მოლაპარაკება საქართველოსთვის ელექტროენერგიის მოწოდების თაობაზეც შედგება. წინასწარი ინფორმაციით, ქართულ მხარეს ზამთრის პერიოდში აზერბაიჯანიდან დაახლოებით 100 მეგავატი ელექტროენერგიის მიღების იმედი აქვს.

# საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ბაქოში გაემგზავრა

საქართველოს დელეგაცია ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის ხელმძღვანელობით სამშაბათს ბაქოში გაემგზავრა, სადაც აზერბაიჯანულ მხარესთან ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ. პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან აცნობეს, რომ ნიკა გილაური აზერბაიჯანულ მხარესთან საქართველოს გაზმომარაგების, რეგიონის ქვეყნებს შორის ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის და სხვა აქტუალურ საკითხებს განიხილავს. განხილვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი "შაჰ-დენიზის" საბადოდან ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მეშვეობით საქართველოსთვის მისაღები გაზის მოცულობა და მისი ფასი იქნება. წლის ბოლომდე, სავარაუდოდ, საქართველო ქვოტით გათვალისწინებული 60 მლნ მ3 გაზის ნაცვლად (რომლის ფასი 1000 მ3-ზე 55 აშშ დოლარია), 300 მლნ მ3-ს მიიღებს. ამის მიზეზი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ტექნიკური პრობლემებია. ბაქოში უნდა გაირკვეს საქართველოსთვის განკუთვნილი დამატებითი გაზის საფასური და, ასევე, 2007 წლიდან მისაღები გაზის მოცულობა. საქართველოს დელეგაცია თბილისში ხუთშაბათს დაბრუნდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თიბისი ბანკი ზემო აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებიდან საუკეთესო სტუდენტების სწავლას აფინანსებს

გამოვლინდა იმ 10 სტუდენტის ვინაობა, რომელთა სწავლას თიბისი ბანკი აანაზღაურებს. თიბისი ბანკმა უკვე დაიწყო ზემო აფხაზეთის (ყოფილი კოდორის) და ცხინვალის რეგიონებიდან იმ სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები, მაგრამ ვერ მოხვდნენ სახელმწიფოს 100%-იანი დაფინანსების პროგრამაში. მაღალმთიანი და კონფლიქტური რეგიონებიდან სტუდენტების დაფინანსების პროგრამის შესახებ განცხადება თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ 21 აგვისტოს, სტუდენტური სესხების პრეზენტაციაზე გააკეთა. პრეზენტაციას ესწრებოდა განათლების მინისტრი კახა ლომაია.

ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, განათლების სამინისტრომ, გამოცდებზე მიღწეული შედეგების მიხედვით, განსაზღვრა იმ 10 საუკეთესო აბიტურიენტის სია, რომლებმაც მაღალი შეფასებები დაიმსახურეს გამოცდებზე და მხოლოდ ნაწილობრივ ფინანსდებიან სახელმწიფო გრანტით. სწავლის დანარჩენ საფასურს მათ თიბისი ბანკი გადაუხდის. 10 სტუდენტიდან ხუთი ზემო აფხაზეთის მკვიდრია, ხოლო ხუთი მათგანი ცხინვალის რეგიონიდანაა.

კერძოდ, თიბისი ბანკის დაფინანსებას ზემო აფხაზეთიდან მიიღებენ სალომე კვირკველია, ნოდარ ფირცხელავა, ლაშა გულბანი, ანანო გურჩიანი, გიორგი ნაჭყებია. ცხინვალის რეგიონიდან კი დაფინანსდებიან ბექარ ბერუაშვილი, ნინო ტაბატაძე, ნათია ქობულაძე, ზვიად ბუზალაძე და არჩილ მაისურაძე, ამ სტუდენტების სწავლების საფასურს, დაპირებისამებრ, თიბისი ბანკი გადაიხდის. დაფინანსების პროგრამა დაწყებულია და სტუდენტთა ძირითადი ნაწილი უკვე დაფინანსდა. **24 საათი**

## თიბისი ბანკი 1000 ქალის მამოგრაფიულ გამოკვლევას დააფინანსებს

"თიბისი ბანკი" ათასი პაციენტი ქალბატონის მამოგრაფიულ გამოკვლევას დააფინასებს" - ასეთი განცხადება "თიბისი ბანკის პრეზიდენტმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ სასტუმრო "ქორთიარდ-მარიოტში" გამართულ საერთაშორისო სამედიცინო სამიტზე გააკეთა, რომელიც ქართული ონკოლოგიის 60 წლისთავს მიეძღვნა. კერძოდ, თიბისი ბანკი და სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტი (ხელმძღვანელი - აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა) უფასო მამოგრაფიულ და ულტრაბგერით გამოკვლევას ჩაუტარებენ ათას ქალს, რომლებსაც მამოლოგიური (სარძევე ჯირკვლების) პრობლემები აწუხებთ. "დღეს მკერდის ონკოლოგიური დაავადებები საკმაოდ გახშირებულია საქართველოში, რაც ძალზე სერიოზული პრობლემაა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ბევრი ქალბატონი სავალალო შედეგამდე მიდის სწორედ იმიტომ, რომ ვერ ახერხებს დროულად გამოკვლევის ჩატარებას და სწორი დიაგნოზის დადგენას. ამიტომ, ჩვენმა ბანკმა გადაწყვიტა, ათას ქალს დაუფინანსოს დიაგნოსტიკის გაკეთება და ამ ფორმით დავეხმაროთ მათ პრობლემის დროულად თავიდან აცილებაში," - განაცხადა "თიბისი ბანკის პრეზიდენტმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ. **24 საათი**

## საქართველოში საიმპორტო ნავთობის ღირებულება გაიზარდა

საქართველოში საიმპორტო ნავთობპროდუქტებზე ფასები გაიზარდა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან აცნობეს. კავშირის ცნობით, 2006 წლის 10 ოქტომბერს საერთაშორისო ფასები ერთ ტონა ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც საქართველოში იმპორტი ხორციელდება შეადგენს: ბენზინი (Premium Gasoline 50 PPM) 516.75 (+ 19.25); ნაფთა (NAFTA) 493.00 (+ 9.50); ნავთი (Jet Fuel (max)) 596.25 (+ 27.50); დიზელი (Gasoil.0.2%) 559.75 (+ 21.00); მაზუთი (Maze) 261.25 (+ 18.25); ნავთობი (Brand) 59.09 (+ 2.04) ბარელზე; ნავთობი (Urals) 57.50 (+ 1.59) ბარელზე.

კავშირის ინფორმაციით, მსოფლიოში ნავთობზე ფასები გაიზარდა - 9 ოქტომბერს მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 60,54 (+0,71) აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო Light Sweet Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 59,96 (+0,20) აშშ დოლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აზერბაიჯანული ნავთობის ფასები გაიზარდა

აზერბაიჯანულ ნავთობის ფასები გაიზარდა. AZERI LT FOB Ceyhan-ის ნავთობის ფასმა 9 ოქტომბერს ბარელზე 58,94 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებული ფასთან შედარებით 1,82 აშშ დოლარით მეტია. ნავთობს ჯეიჰანის პორტი ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით იღებს. სააგენტო "ტრენდი" იტყობინება, რომ AZERI LT CIF Augusta-ს ნავთობის ფასმა 9 ოქტომბერს ბარელზე 60,32 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასზე 1,82 აშშ დოლარით მეტია. ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 34,6 გრადუსს შეადგენს, გოგრდის შემცველობა - 0,14%. 9 ოქტომბერს URAL (EX-NOVO)-ს ნავთობის ფასი ბარელზე 59,09 აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასზე 2,04 აშშ დოლარით მეტია. URAL-ის ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 30,4-31,85 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 1,8%. DTD-ს ტიპის ნავთობის ფასმა 9 ოქტომბერს ბარელზე 59,09 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსიებულ ფასზე 2,04 აშშ დოლარით ნაკლებია. სიმკვრივე - 38,3 გრადუსი, გოგირდის შემცველობა 0,36%. "აზერი-ჩიგარ-გიუნეშლის" საბადოზე მოპოვებული Azeri Light-ის მარკის ნავთობის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე "დასავლეთში" 1999 წელს საქართველოდან სუფსის პორტიდან დაიწყო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ბადრი პატარკაციშვილს ბოჭორმის ქუჩის მობინადრეები უჩივიან

4 წლის წინ, ბოჭორმის ქუჩა №23-ში, რიტუალების სასახლის მომიჯნავედ, ფირმა "მაღლივმშენი" მრავალფუნქციური კორპუსის აშენებას გეგმავდა, სადაც 21 ოჯახს უნდა ეცხოვრა. რამდენიმე თვეა მობინადრეებსა და "მაღლივმშენის" ხელმძღვანელს კოტე კოკაიას შორის ურთიერთობა დაიძაბა. ამის მიზეზი კი, როგორც მობინადრეები ამბობენ, ბადრი პატარკაციშვილია. მათი განცხადებით, პატარკაციშვილს არ სურს მისი რეზიდენციის მომიჯნავე კორპუსიდან მცხოვრებლებმა გადაიხედონ მისსავე ეზოში. მოტყუებულმა მობინადრეებმა სასამართლოს მიმართეს, სადაც გაირკვა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ბადრი პატარკაციშვილის სახელზეა გაფორმებული. განაწყენებულმა მობინადრეებმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც აღნიშნეს, რომ ისინი კოკაიასა და პატარკაციშვილის გარიგების მსხვერპლი გახდნენ.

"კოკაიამ სესხის სანოტარო ხელშეკრულება დაგვიდო და გვითხრა, რომ თანხის გადახდა სამ ეტაპად მოხდებოდა. პირველი ნაწილი მშენებლობამდე უნდა გადაგვეხადა, მეორე მაშინ, როდესაც ჩვენი სართული დასრულდებოდა, ხოლო მესამე ნაწილის გადახდა კორპუსის აშენების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ორი ეტაპის თანხა გადავიხადეთ. მან წერილობით დაგვიმოწმა, რომ ეს პირობები არ დაირღვევოდა. მშენებლობა ძალიან გაიწელა. კოკაიამ გამოგვიცხადა, რომ ბადრი პატარკაციშვილი კატეგორიულად უკრძალავს იმ ტერიტორიაზე ბინის მშენებლობას. პატარკაციშვილის რეზიდენციიდან აღნიშნული საცხოვრებელი 6 მეტრით არის დაშორებული და კარგად ჩანს მისი ეზო. ჩვენ სასამართლოს მივმართეთ და ადვოკატის მეშვეობით გავარკვიეთ, რომ კოკაიას აღნიშნული შენობა გაყიდული ჰქონდა და მისი ამჟამინდელი მფლობელი ბადრი პატარკაციშვილია."- აცხადებენ მოტყუებული მოქალაქეები.

"ეს ხალხი მხოლოდ თავის კუთვნილ ბინებს ითხოვს. სასამართლოს მეშვეობით სამართლებრივად მორიგება შესაძლებელია. თუ მხარეები მორიგდნენ კარგია, თუ არა და ყველანაირად ვეცდები ამ ხალხმა საკუთარი ბინები მიიღოს. პატარკაციშვილს არაერთხელ გავუგზავნეთ წერილი, თუმცა ამ საქმით არ დაინტერესებულა." განაცხადა მომჩივანეების ადვოკატმა ხათუნა გრიგალაშვილმა. **"24 საათი"**

## დეპოზიტების დოლარიზაცია შემცირებულია

საქართველოს საფინანსო ბაზარზე მოქმედ 19 კომერციულ ბანკში განთავსებულ დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლების შემცირების ტენდენცია შეინიშნება. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2006 წლის 20 სექტემბრისათვის დეპოზიტების დოლარიზაციამ 68.5% შეადგინა. ამავე წყაროს ცნობით, 2005 წლის სექტემბრის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი 73.6% იყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლარში დანაზოგების მოცულობა 510.3 მილიონი ლარია

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2006 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით, დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 510.3 მლნ ლარს შეადგენს. ზრდა, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 81.1 პროცენტია. ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში, 637.4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. ზრდა, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 44.9 პროცენტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სავალუტო რეზერვები 43 პროცენტით გაიზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 632.9 მლნ აშშ დოლარის მოცულობისაა. ეს მაჩვენებელი 43.1%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში კი იგივე მაჩვენებელი 442.2 მლნ აშშ დოლარი იყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გადაზიდვების მოცულობა გაზრდილია

რუსული ავიაკომპანია "აეროფლოტის" გადაზიდვების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. ეს მაჩვენებელი 2006 წლის ექვსი თვის განმავლობაში თითქმის 80 პროცენტით გაიზარდა, რაც, დაახლოებით, 135.8 მილიონ დოლარს შეადგენს. კომპანიის ამონაგები თანხა, ანალოგიურ პერიოდში, 15.7 პროცენტით გაიზრდა, რაც 1.3 მილიარდ დოლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ზესტაფონის ფეროს უცხოელი დირექტორი უხელმძღვანელებს

ზესტაფონში სს "ფეროშენადნობთა" ქარხანას დროებით ახალი დირექტორი ჰყავს. კომპანია "სტენკორმა", რომელიც "ფეროს "აქციათა ძირითად პაკეტს ფლობს, საქართველოში დროებით დირექტორად ბრენდ გრაპოუ ჩამოიყვანა. როგორც "ინტერპრესნიუსს" "სტენკორის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ალეკო ანთაძემ განუცხადა, უცხოელი დირექტორი ქარხანას ერთი თვე უხელმძღვანელებს, ამ ვადის გასვლის შემდეგ კი ახალი გენერალური დირექტორის არჩევა მოხდება. დღესვე, "სტენკორის" წარმომადგენლებმა ზესტაფონის "ფეროში" აღნიშნულის შესახებ პრესკონფერენცია გამართეს. "სტენკორმა" "ფეროს" ძირითადი აქციათა პაკეტი სახელმწიფოსაგან მიმდინარე წლის თებერვლის თვეში შეიძინა. **ინტერპრესნიუსი**

## რუსეთსა და სომხეთს შორის სატრანზიტო გადაზიდვები არ შეწყდება

სომხეთსა და რუსეთს შორის საქართველო გავლით დაგეგმილი ტრანზიტული გადაზიდვები არ შეწყდება. ამის შესახებ სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა სერჟ სარქისიანმა განაცხადა, რომელიც ქართულ-რუსულ სახელმწიფოთაშორისი კომისის მე-8 სხდომაში მონაწილეობდა. რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის იგორ ლევიტინის განცხადებით, ტვირთების ტრანსპორტირება სამსუნის პორტიდან დაიწყება, საიდანაც კავკასიის პორტში, შემდეგ კი ფოთის პორტში გადაინაცვლებს. სარქისიანის განცხადებით, მიმდინარე წლის ბოლოსთვის კავკასიისა და ფოთის პორტებს შორის მოძრავ ერთ 20-ვაგონიან სარკინიგზო ბორანს კიდევ ერთი ბორანი დაემატება. "საქაერონავიგაცია" საერთაშორისო ორგანიზაცია IKSANO-ს საბჭოს შეხვედრას უმასპინძლებს 11-12 ოქტომბერს შპს "საქაერონავიგაციის" ორგანიზებით, თბილისში სასწავლო ცენტრ "საქასტაკის" შენობაში საერთაშორისო ორგანიზაცია IKSANO-ს საბჭოს მე-15 შეხვედრა გაიმართება. როგორც "ინტერპრესნიუსს" შპს "საქაერონავიგაციის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან აცნობეს, შეხვედრა სააერნაოსნო მომსახურების სფეროში უსაფრთხოების სათანადო დონის შენარჩუნების, ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობების კოორდინირების და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდება. შეხვედრაზე განხილული იქნება საaერნაოსნო მომსახურების მომწოდებელი საწარმოების ურთიერთობები ავიაკომპანიებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სანავიგაციო სფეროში მიმდინარე და დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე განიხილება სხვა მიმდინარე საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს საავიაციო სფეროში ურთიერთხელსაყრელი ინიციატივების განხორციელებას და ამ მიზნით რეგულირების მექანიზმების დანერგვას.

# "ჯენერალ მოტორსისა" და "რენო/ნისანის" ალიანსი არ შედგა

პირველი გვერდიდან



და კიდევ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა საინვესტიციო კომპანია "ტრასინდას" პატრონს, ამერიკელ მილიარდერ კირკ კერკორიანს, ვინც ყველანაირ ზეწოლას ახდენდა "გენერლების" მთავარ აღმასრულებელ რიკ ვაგონერზე, რათა მას, ორმხრივ პრესში მოქცეულს, ფრანგულ-იაპონურ ალიანსთან ერთად, კიდევ უფრო დიდი კონგლომერატი ჩამოეყალიბებინა, რომელიც მსოფლიოს ბაზრის 25 პროცენტს დაიკავებდა.

კერკორიანი "ჯენერალ მოტორსის" აქციების 9,9 პროცენტს ფლობს, რისი წყალობითაც, მან "ტრასინდას" მენეჯერი ჯერი იორკი მსოფლიოს უდიდესი ავტოგიგანტის დირექტორთა საბჭოში შეიყვანა. კერკორიანს "რენო/ნისანთან" ალიანსის შექმნა სურდა, თუმცა, როგორც ვაგონერი ამბობს, "ჯენერალ მოტორსის" დირექტორთა საბჭომ, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით (საბჭოში სულ 12 დირექტორია გაერთიანებული), მოლაპარაკებათა შეწყვეტა მოითხოვა.

"გენერლების" მთავარი აღმასრულებლის თქმით, ალიანსის შექმნის შემთხვევაში, "ჯენერალ მოტორსის" ქონების დიდი ნაწილი (დაახლოებით 20 პროცენტი) "რენო/ნისანის" ხელში გადაინაცვლებდა, რაც ამერიკული კორპორაციის აქციონერებისთვის არახელსაყრელი იქნებოდა.

ყველას, მათ შორის კერკორიანსაც ძალიან გაუკვირდა, როცა ცნობილი გახდა, რომ "ჯენერალ მოტორსის" ყველა დირექტორმა "რენო/ნისანთან" ალიანსის შექმნას ხმა არ მისცა. უფრო სწორად, გასაკვირი ის იყო, რომ "ყველას" შორის იორკიც ფიგურირებს. კერკორიანმა, ვინც ახლახან განაცხადა, რომ "ჯენერალ მოტორსში" თავისი წილის 12 პროცენტამდე გაზრდას აპირებს, მომხდართან დაკავშირებით სინანული გამოთქვა.

მოლაპარაკება ჩიხში მას შემდეგ შევიდა, რაც "ჯენერალ მოტორსმა" ალიანსის სანაცვლოდ რამდენიმე მილიარდდოლარიანი კომპენსაცია მოითხოვა, რათა, ვაგონერის თქმით, მხარეები ალიანსში თანაბარი ფასეულობით შესულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაგონერი გოსნს სხვადასხვა პროექტებში თანამონაწილეობას სთავაზობდა, რასაც წარმოების ხარჯების შემცირება შეუძლია. თუმცა "რენოს" და "ნისანს" ასეთი პარტნიორობა არასაკმარისად მიაჩნია.

ვაგონერმა ბოლოს ისიც განაცხადა, რომ ალიანსში "გენერლების" შესვლა კორპორაციის რესტრუქტურიზაციის პროცესს შეაფერხებდა. "ვფიქრობ, ორ კომპანიასთან ალიანსში შესვლით ჩვენს მიერ წარმოებული რეფორმა შეფერხდებოდა, რაც ჩვენს საქმიანობაზე უარყოფითად იმოქმედებდა," - ამბობს ვაგონერი.

"გენერლების" შეფი დასძენს, რომ დირექტორების გარდა, მას ალიანსის წინააღმდეგ რჩევა ორმა ისეთმა ავტორიტეტულმა საინვესტიციო კომპანიამაც მისცა, როგორებიცაა "გოლდმენ საქსი" და "მორგან სტენლი". ამ ორი კომპანიის ანალიტიკოსები თავიდანვე სკეპტიკურად აფასებდნენ "ჯენერალ მოტორსის" და "რენო/ნისანის" სამმხრივი ალიანსის პერსპექტივას.

ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ "ჯენერალ მოტორსი" ამით საბოლოოდ არ ამბობს უარს რომელიმე სხვა კომპანიასთან ალიანსის შექმნასა თუ საწარმოო პარტნიორობაზე. უფრო მეტიც, ახლა კორპორაციის მენეჯერებსა და მარკეტოლოგებს დაწვრილებით აქვთ დამუშავებული სხვადასხვა პროექტებზე პარტნიორებთან ერთად მუშაობის გეგმები. ჰოდა, ამ ცოდნასა და გამოცდილებას ისინი მომავალ პროექტებში გამოიყენებენ.

"რენო/ნისანი" არ მალავს, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში ძლიერ პარტნიორს ეძებს და მასთან ალიანსის შექმნა სურს. რამდენადაც ამ ამპლუაში "ჯენერალ მოტორსი" აღარ განიხილება და "კრაისლერი", უკვე დიდი ხანია, გერმანულ "დაიმლერ-ბენცთანაა" გაერთიანებული, ფრანგულ-იაპონურ ალიანსს შესაძლო ამერიკელ პარტნიორად "ფორდი" შემორჩა.

ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარი "რენო/ნისანისთვის" იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მას აღმავლობის გზაზე მყოფი "ტოიოტასთვის" სერიოზული კონკურენციის გაწევა სურს. სხვათა შორის, წლის დასაწყისში "ფორდის" მთავარი აღმასრულებელი ბილ ფორდ უმცროსი გოსნს დაუკავშირდა და მას თავისი კომპანიის ხელმძღვანელობის გადაბარება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ ალიანსზე საუბარიც არ ყოფილა, თუმცა გოსნი ფიქრობს, რომ შესაძლოა, "ფორდი" ამერიკულ-ფრანგულ-იაპონური ალიანსით დაინტერესოს.

გოსნის მთავარი მიზანი ცნობილია - მას სურს, რომ "რენო" აშშ-ს ბაზარზე დააბრუნოს. ეს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოხდება. თუმცა, გამოცდილ მენეჯერს კარგად ესმის, რომ დაბრუნება უფრო ადვილი და უმტკივნეულო იქნება, თუ "რენო" მეტისმეტად გაჯერებული ბაზრის ათვისებას იქაურ მოთამაშესთან ერთად დაიწყებს. აშშ-ს გარდა, "რენო" დამკვიდრებას იწყებს ისეთ სწრაფად მზარდ ბაზრებზეც, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და ბრაზილია.

რაც შეეხება "ნისანს", ის უკვე დიდი ხანია, ამერიკაში მოღვაწეობს, თუმცა იქაური უმკაცრესი კონკურენციის გაძლება უჭირს. "ფორდთან" ალიანსის შემთხვევაში კი მისი წარმოება უფრო კონკურენტუნარიანი გახდება. უფრო მეტიც, "ნისანი" მოგებული დარჩება როგორც ევროპულ, ასევე იაპონურ ბაზრებზე. ძველ კონტინენტზე "ნისანი" შეიძლება დაინტერესდეს "ფორდის" შვედური შტო "ვოლვოთი", იაპონიაში კი ასევე "ფორდის" მფლობელობაში მყოფ "მაზდასთან" ერთად, "ნისანი" სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა თვით "ტოიოტასაც" კი.

თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდებია. მათი შესრულებისთვის კი მთავარია, "ფორდი" ფრანგულ-იაპონურ გაერთიანებასთან ალიანსის შექმნით დაინტერესდეს.

# "ეარბასის" სუპერჯამბო A380 ორი წლით დაიგვიანებს

მერაბ ლორთქიფანიძე



ევროპულმა ავიამშენებელმა კომპანია "ეარბასმა" გამოაცხადა, რომ გიგანტურ ლაინერ A380-ის მიწოდება კიდევ ერთი წლით გადაიდო. ეს იმას ნიშნავს, რომ "ეარბასი" და მისი მფლობელი ევროპული აეროკოსმოსური და თავდაცვის კონცერნი (EADS) კიდევ რამდენიმე მილიარდ დოლარს იზარალებენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ "ეარბასმა" შეიძლება რამდენიმე მსხვილი კონტრაქტი დაკარგოს, რაც მის დანაკარგებს კიდევ არაერთი მილიარდი დოლარით გაზრდის.

სიტუაცია იმდენად კრიტიკულია, რომ "ეარბასმა" შეიძლება გადაიფიქროს საშუალო ზომის ლაინერ A350-ის მოდერნიზაცია, "როლს როისმა" უკვე გამოაცხადა, რომ გაურკვეველი დროით შეაჩერებს A380-სთვის განკუთვნილი რეაქტიული ძრავის, "ტრენტ 900-ის" წარმოებას. "დაიმლერკრაისლერი" კი ალბათ EADS-ში თავის 22.5 პროცენტიან წილს 15 პროცენტამდე შეამცირებს.

როგორც "ეარბასის" მთავარი აღმასრულებელი კრისტიან შტრაიფი ამბობს, მის კომპანიას, სულ ცოტა, 15 წელი მაინც დასჭირდება იმისათვის, რომ "ბოინგთან" წარმოქმნილი ჩამორჩენა შეამციროს და კვლავ მსოფლიო ლიდერობის იმედი გაუჩნდეს.

საქმე იმდენად გართულდა, რომ ზოგიერთი დიდი ავიაგადამყვანი კომპანია "ეარბასთან" დადებული კონტრაქტების გაუქმებასაც აპირებს. ეს კი ნიშნავს, რომ ახალი გიგანტური ლაინერი ბაზარს დაკარგავს, რის გამოც ძალიან გართულდება მასზე გაწეული ხარჯების ამოღება. ხარჯები კი კოლოსალურია - მიწოდების დაგვიანებასთან დაკავშირებული ზარალის გათვალისწინებით, A380-ის შემუშავებასა და წარმოებისთვის მომზადების ხარჯები უკვე 14-16 მილიარდ დოლარს აღწევს. ლაინერის შემკვეთებისთვის მიწოდების განრიგი უკვე ორი წლით ჩამორჩება გეგმიურს. ყველაფრის მიზეზი კი უზარმაზარი ორბაქნიანი თვითმფრინავის ურთულესი ელექტროგაყვანილობაა, რომლის სადენების საერთო სიგრძე 500 კილომეტრია.

ავიაგადამყვანმა კომპანიებმა თავიანთი შეკვეთები რომც არ გააუქმონ, "ეარბასს" A380-ის მიწოდების დაგვიანება მაინც ძალიან ძვირი (სამივე დაგვიანება მთლიანობაში 8 მილიარდ დოლარამდე) დაუჯდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში, კონტრაქტები საჯარიმო სანქციებს ითვალისწინებს. ავიაგადამყვანებს წინასწარ გაწერილი აქვთ ახალი ლაინერის რეისები და თუ მას დროულად არ მიიღებენ, მაშინ დიდი ზომის ლაინერის (ბოინგ 747) სხვა კომპანიებისგან დაქირავება მოუწევთ. ეს კი მათთვის რიგ შემთხვევებში შეიძლება წამგებიანიც კი იყოს.

ცნობისათვის, "ეარბასისთვის" A380-ის უმსხვილესი შემკვეთია დუბაის ავიაკომპანია "ემირატსი", რომელსაც კონტრაქტით 43 ლაინერში 13 მილიარდი დოლარი უნდა გადაეხადა. მიწოდების მორიგი გადადების გამოცხადების შემდეგ, "ემირატსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ კონტრაქტს აუცილებლად გადახედავს. არც ისაა გამორიცხული, კომპანიამ ამ კლასის ლაინერები "ბოინგისგან" შეიძინოს.

კონტრაქტების გადახედვას აპირებენ და, ალბათ, მათ შემცირებას გადაწყვეტენ "ვირჯინ ატლანტიკი", "მალაიზიან ეარლაინ სისტემი" და "სინგაპურ ეარლაინზი". მიმდინარე წლის ბოლოს სწორედ ამ უკანასკნელს უნდა მიეღო პირველი კომერციული A380. თუმცა ახლახან ცნობილი გახდა, რომ "სინგაპურ ეარლაინზის" კუთვნილი A380 პირველ რეისს 2007 წლის ოქტომბერში ლონდონის "ჰიტროუს" აეროპორტიდან შეასრულებს.

"ძალიან საწყენია, რომ ლაინერის მიწოდება იგვიანებს. ეს მაშინ, როცა საცდელმა ფრენებმა A380-ის შესაშური მახასიათებლები გამოავლინა," - ამბობს "სინგაპურ ეარლაინზის" წარმომადგენელი.

ახალი ლაინერის დაგვიანებებთან დაკავშირებით, შეშფოთებას გამოთქვამს საავიაციო ინდუსტრიის ევროპული პროფკავშირი, რომლის ხელმძღვანელობაც, იმის შიშით, რომ EADS-ი "ეარბასის" 55 000-იანი შტატის მნიშვნელოვნად შეკვეცას ეცდება, საქმეში ევროპულ მთავრობათა ჩარევას ითხოვს.

ცნობისათვის, EADS-ის აქციების 15 პროცენტი საფრანგეთის სახელმწიფოს ეკუთვნის, 7,5 პროცენტს კი ფრანგული მედიაჯგუფი "ლაგარდერი" ფლობს, რომელმაც ცოტა ხნის წინ თავისი წილი გაანახევრა. ადრე 30 პროცენტი ეკუთვნოდა გერმანულ-ამერიკულ "დაიმლერკრაისლერს", თუმცა მან თავისი პაკეტი 22,5 პროცენტამდე შეამცირა. ახლახან რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მისი სახელმწიფო ბანკი "ვნეშტორგბანკი" EADS-ის აქციების 5 პროცენტის მფლობელი გახდა.

უფრო მეტიც, რუსები არ მალავენ, რომ თავიანთი წილის იმ დონემდე გაზრდა სურთ, რამდენიც მათ გადაწყვეტილებათა დაბლოკვის საშუალებას მისცემს. ევროპელები ამის წინააღმდეგნი არიან, თუმცა არაა გამორიცხული, რომ წარმოების გაჭიანურების გამო, EADS-ის ბევრი აქციონერი კორპორაციაში თავისი წილის შემცირებას ისურვებს, რითაც რუსებს განზრახვის განხორციელების საშუალება მიეცემათ.

ამ ეტაპზე მთავარი მაინც "ეარბასის", უფრო კონკრეტულად კი, A380-ის საწარმოო პროგრამის გადარჩენაა. ამისათვის პირველი რიგის ამოცანად ფრანგები წარმოების მთლიანად ტულუზაში თავმოყრას მიიჩნევენ. ეს კი გერმანელებს ხელს არ აძლევს, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად შესაკვეცი იქნება სამუშაო ადგილები ჰამბურგის ქარხანაში. ფრანგები ირწმუნებიან, რომ ლაინერების აწყობის პროცესი გაცილებით სწრაფად წარიმართება, თუ ძირითადი სამუშაოები ტულუზას ქარხანაში ჩატარდება, ჰამბურგში კი A380-ის ცალკეულ დეტალებს და ელემენტებს ააწყობენ.

უნდა ითქვას, რომ სამუშაოს გადანაწილებასთან დაკავშირებით, EADS-ის ფრანგ და გერმანელ მეწილეებს შორის დავა მას შემდეგ არ შეწყვეტილა, რაც ეს კონცერნი ჩამოყალიბდა (2000 წელს). შტრაიფის აზრით, EADS-ის პრობლემების სათავე ფრანგ და გერმანელ პარტნიორებს შორის დაპირისპირებაა და მოითხოვა, რაც შეიძლება მალე დაესვას წერტილი "იერარქიულ ომს".

ცნობისათვის, EADS-ის აქციების 20 პროცენტი ბრიტანულ თავდაცვით კორპორაცია "BAE სისტემზს" ეკუთვნის, თუმცა ახლახან გამოცხადდა, რომ ინგლისელები საქმიდან გავლენ და თავიანთ პაკეტში 3,2 მილიარდ დოლარს მიიღებენ.

რაც შეეხება "როლს როისს", კომპანიამ გამოაცხადა, რომ ერთი წლით შეაჩერებს "ტრენტ 900-ის" წარმოებას, რომელიც მაშინვე განახლდება, როგორც კი "ეარბასი" A380-ის მიწოდებას დაიწყებს. ინგლისური კომპანია ირწმუნება, რომ ძრავების წარმოების შეჩერებას არ მოჰყვება თანამშრომელთა შემცირება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ "როლს როისის" საწარმოო პროგრამაში "ტრენტ 900-ის" წარმოებას მცირე ადგილი უკავია.

ცნობისათვის, "როლს როისი" "ბოინგის", "ეარბასის" და სხვა ავიამშენებელი კომპანიებისთვისაც აწარმოებს რეაქტიულ ძრავებს. გარდა ამისა, ინგლისური კომპანია ამზადებს გემების ძრავებს და ენერგოინდუსტრიისთვის განკუთვნილ დანადგარებს.

"როლს როისის" გარდა, A380-სთვის ძრავებს ასევე აწარმოებს ორი ამერიკული კომპანიის, "ჯენერალ ელექტრიკ ევიეიშნისა" და "პრატ ენდ უიტნის" მიერ შექმნილი ალიანსი "GE-P&W ენჯაინ ალიანსი". ამ ალიანსის წარმოების დიდი ზომის რეაქტიულ ძრავას GP7200 ეწოდება.

ცნობისათვის, შემკვეთი წინასწარ ირჩევს, თუ რომელი ძრავით აღჭურვილი ლაინერის მიღება სურს. შესაბამისად, "ეარბასის" საწარმოო პროგრამა ითვალისწინებს როგორც ინგლისური კომპანიის, ასევე ამერიკული ალიანსის წარმოების ძრავების გამოყენებას. ამდენად, "როლს როისის" მიერ "ტრენტ 900-ის" წარმოების დროებითი შეჩერება არანაირ უარყოფით გავლენას არ მოახდენს A380-ის წარმოების პროგრამაზე.

### A380

სუპერჯამბო A380 ყველაზე დიდი სამგზავრო თვითმფრინავია, რომელიც კი ადამიანის ხელს ოდესმე შეუქმნია. ლაინერის საბაზო მოდიფიკაციით შესაძლებელია მინიმუმ 550 და მაქსიმუმ 800 მგზავრის გადაყვანა. თვითმფრინავის ფრენის მაქსიმალური სიშორეა 14 800 კილომეტრი. მის სატვირთო მოდიფიკაციას 150 ტონა ტვირთის გადატანა შეუძლია (მაქსიმუმ 10 400 კილომეტრზე).

A380-ის სიგრძეა 73 მეტრი, სამგზავრო კაბინისა - 50,68 მეტრი, ფიუზელაჟის დიამეტრი - 7,14 მეტრი, სიმაღლე - 24,1 მეტრი, შასის თვლებს შორის ბაზა - 30,4 მეტრი, თვლების კვალი - 14,3 მეტრი, ფრთების გაშლა - 79,8 მეტრი, ფრთების ფართობი - 845 კვ.მეტრი. თვითმფრინავის მაქსიმალური ასაფრენი წონაა 560 ტონა, მაქსიმალური დასაჯდომი წონა კი - 386 ტონა. მისი საწვავის ტევადობა 310 ათასი ლიტრია, ლაინერის საბაზო ღირებულება კი - 280 მილიონი დოლარი.

ლაინერი შესაშური ეკონომიურობით გამოირჩევა - 100 კილომეტრზე ერთი მგზავრის გადასაყვანად თვითმფრინავი 3 ლიტრზე მცირე საწვავს ხარჯავს, ეს კი თითქმის ტურბო-დიზელის აგრეგატებით აღჭურვილი კომპაქტური ავტომობილების საწვავის ხარჯის ტოლფასია.

"ეარბასი" იმედოვნებს, რომ უახლოეს 20 წელიწადში 1250 ცალი A380-ის რეალიზებას შეძლებს.

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ კლებაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება გაგრძელდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფით გავლენას კვლავინდებურად ხდენდა ნავთობის გაძვირება და ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის გამო მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური დაძაბულობის კერის წარმოქმნის საშიშროება. გარდა ამისა, მსოფლიოს ვალუტებთან მიმართებაში შემცირდა დოლარის კურსი.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,15 პროცენტით, 11.839,81 პუნქტამდე შემცირდა. 0,24 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.306,31 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,08 პროცენტით, 1.349,55 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობის გაძვირება გაგრძელდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 61,44 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 60,48 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ბუნებრივი აირის ფასმა კი ცოტათი მოიკლო და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება, მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 6,429 დოლარი შეადგინა, რაც მოგების ფიქსაციით აიხსნება.

"შავი ოქროს" გაძვირების მიზეზი კვლავ გახლდათ ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია და ჩრდილოეთ კორეის მიერ ატომური იარაღის გამოცდის გამო მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური დაძაბულობის კერის წარმოშობის საშიშროება.

შესაბამისად, 55,52 დოლარი/ბარელამდე მოიმატა ძოპეკის სანავთობე კალათის" ფასმა, რაც უკანასკნელი 8 დღის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი ძკალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონების ფასი მატულობს

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 1 პროცენტით მოიმატა და 582,5 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 2,2 პროცენტით, 11,42 დოლარი/უნციამდე გაძვირდა, პლატინის ფასმა 1,4 პროცენტით, 1095,8 დოლარი/უნციამდე მოიმატა, პალადიუმი კი 1 პროცენტით, 303,25 დოლარი/უნციამდე გაძვირდა.

ექსპერტთა აზრით, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების გაძვირების მთავარი მიზეზი ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის შემდეგ შექმნილი ვითარებაა. მსოფლიოში გეოპოლიტიკური ვითარების გაუარესების სერიოზული საშიშროება არსებობს, რაც ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების შეძენის აქტიურობას ზრდის.

## Google-მ YouTube შეიძინა

ინტერნეტ-ძებნის მსოფლიოს უმსხვილესმა სისტემამ Google-მა კომპანია YouTube შეიძინა. გარიგების ღირებულება, რომელსაც ხელი გუშინ სან ფრანცისკოში მოეწერა და რომელიც ფასიანი ქაღალდებით განხორციელდება, 1,65 მილიარდი დოლარი გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ Google-ს მიერ YouTube-ის შესაძლო შეძენის შესახებ ინფორმაცია პირველად ერთი კვირის წინ გავრცელდა, მაგრამ მხარეები მის დადასტურებას არ ჩქარობდნენ. უფრო მეტიც, YouTube-ის აღმასრულებელი დირექტორი გულმოდგინედ ამტკიცებდა, ჩვენი კომპანია არ იყიდებაო.

ამ გარიგებით Google-ის, რომელიც ისედაც ყველაზე პოპულარული სერვერია, პოზიციები გამყარდება და მთავარ კონკურენტებს Yahoo-ს და MSN-ს უკან კიდევ უფრო ჩამოიტოვებს.

## ინდური BSNL-ის ტენდერი Ericsson-მა და Nokia-მ მოიგეს

ინდოეთის სახელმწიფო სეტელეკომუნიკაციო კომპანია Bharat Sanchar Nigam LTD-ის, ანუ BSNL-ის მიერ GSM სტანდარტის კავშირის ქსელის შექმნაზე გამოცხადებულ ტენდერში შვედურმა Ericsson-მა და ფინურმა Nokia-მ გაიმარჯვეს. პირველი 4,7 მილიარდ დოლარად ღირებული შეკვეთის 60 პროცენტს, მეორე კი 40 პროცენტს მიიღებს.

აღნიშნულ ტენდერში სულ ხუთი კომპანია მონაწილეობდა. ესენი იყვნენ: Ericsson, Nokia, Siemens AG, Motorola და კიდევ ჩინური კავშირგაბმულობის კომპანია. თუმცა, ტენდერის ბოლო ტურში მხოლოდ პირველი სამი გავიდა და საბოლოოდ, Ericsson-მა პირველი ადგილი დაიკავა, Nokia-მ მეორე, Siemens კი დამარცხდა.

### ჩეხურ ენერგოკომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება გვიანდება

ჩეხურ ენერგოკომპანია "ენერგო პროსთნ" ხელშეკრულების გაფორმების ვადა, ჯერჯერობით, დაუდგენელია,-აცხადებს "ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია. დამენიას განმარტებით, ხელშეკრულებაში დეტალებია დასაზუსტებელი. "ენერგო პროსთან" გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ინტენსიურად ვმუშაობთ. უბრალოდ, რაღაც დეტალებია დასაზუსტებელი და, შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიც დაუზუსტებელია",- განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ. დაზუსტებელი ინფორმაციით, მოლაპარაკებები "ენერგო პროსთან" კარგა ხანია ჩაიშალა და ხელისუფლება დროის იმ მოტივით აჭიანურებს, რომ წინასწარ აღებული ფინანსური ვალდებულება, რაც "ზეს" სახით გადახდილი მილიონი დოლარის უკან დაბრუნებას ითვალისწინებს, შესასრულებელი აქვს. შეგახსენებთ, რომ "ენერგო პრომ" სადისტრიბუციო კომპანიები და რამოდენიმე ჰესი შეიძინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართულ ვაზს გაჩეხვა აღარ ემუქრება



ლიკა ჯოხაძე

ქართულ ვენახს რომ გაჩეხვის საფრთხე აღარ ემუქრება, ამაზე "რთველი - 2006" მეტყველებს. წელს, გასული წლებისაგან განსხვავებით, რთველმა წარმატებით ჩაიარა და კახელმა მევენახეებმა ყურძნის მოსავალი თითქმის სრული რეალიზება მოახერხეს.

საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირი ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში ჩავიდა. რთველში მონაწილეობა პროფესიული კავშირების სრულმა შემადგენლობამ მიიღო. მათ კახელი მევენახისგან 35 ტონა ყურძენი 55 თეთრად შეიძინეს და ყურძენი ადგილობრივ ქარხანაში ჩააბარეს. ასე რომ, 24 ნოემბრის, პროფესიული კავშირების 100 წლის იუბილეს ისინი საკუთარი ღვინით აღნიშნავენ.

"საქართველოს პროფესიულმა კავშირმა რთველშიც მიიღო მონაწილეობა და ყურძენიც შეიძინა. შეძენილი 30 ტონა რქაწითელით და 5 ტონა შავი საფერავით, ჩვენ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საფირმო ღვინოს - "პროფკავშირს" ჩამოვასხამთ და მოწვეულ უცხოელ სტუმრებს ჩვენი საფირმო ღვინით ვუმასპინძლებთ. წლევანდელი რთველი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. ქართულ ვაზს გაჩეხვის საფრთხე აღარ ემუქრება, ეს უკვე ნათელია. თუკი ქართველი საზოგადოება ყველაფერში ასეთივე სოლიდარული იქნება, მაშინ ჩვენი ხელისუფლების მიერ აღებული კურსი კიდევ უფრო სწრაფად და წარმატებულად განხორციელდება. მთავარი კი ის არის, რომ წლევანდელი რთველით კახელი გლეხები კმაყოფილები არიან და ჩვენც," - აცხადებს საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი.

წლევანდელი რთველით კმაყოფილები არიან კახელი მევენახეები. მათი თქმით, წლევანდელი მოსავალი სრულიად რეალიზებულია. ისინი ამბობენ, რომ გასულ წლებთან შედარებით მათი მოგება მეტი დადგა.

ყვარლის რაიონის გამგებლის ვასიკო გაიკარაშვილის თქმით, კახეთის ამ რაიონში ყურძნის მოსავალი რეალიზების პრობლემა მართლაც რომ აღარ არსებობს. "მოხარულები ვართ, რომ ჩვენი გლეხების შრომა დაფასდა. დღეს აქ პროფესიული კავშირის წარმომადგენლები იყვნენ და მათ 35 ტონა ყურძენი შეიძინეს. ჩვენს რაიონში რთველი ჯერ არ დამთავრებულა, კიდევ დაგვრჩა ასალები მოსავალი, რომლის ბედიც უკვე გადაწყვეტილია - რამდენიმე დღეში იმასაც ჩავაბარებთ. წლევანდელი რთველი მართლაც რომ გამორჩეული იყო, რადგან გლეხებმაც მიიღეს თავიანთი შრომის ნაყოფი და მეღვინეებიც კმაყოფილი დარჩა," - განაცხადა ყვარლის რაიონის გამგებელმა.

### ამინდი

| | 11/10 | 12/10 | 13/10 |
|---|---|---|---|
| ქიევი | 17 | 18 | 17 |
| რიგა | 12 | 14 | 13 |
| ვილნიუსი | 11 | 11 | 10 |
| მოსკოვი | 12 | 10 | 10 |
| მინსკი | 12 | 12 | 10 |
| პარიზი | 18 | 18 | 18 |
| რომი | 25 | 23 | 23 |
| ლონდონი | 17 | 18 | 17 |
| მადრიდი | 20 | 21 | 22 |
| ბონი | 20 | 22 | 18 |
| ვარშავა | 17 | 16 | 13 |
| ათენი | 18 | 18 | 20 |
| ბერლინი | 20 | 20 | 20 |
| ასტრახანი | 18 | 17 | 18 |
| ოსლო | 13 | 10 | 13 |
| ანკარა | 22 | 21 | 18 |
| ვარნა | 17 | 17 | 17 |
| დელი | 41 | 40 | 38 |
| ტოკიო | 27 | 28 | 24 |
| კოპენჰაგენი | 15 | 12 | 11 |
| ბაქო | 21 | 18 | 13 |
| ერევანი | 26 | 25 | 22 |
| ასტანა | -2 | 1 | 4 |
| ჰელსინკი | 9 | 8 | 9 |
| დუბლინი | 13 | 15 | 13 |
| ლისაბონი | 22 | 22 | 26 |
| პრაღა | 18 | 19 | 18 |
| სოფია | 16 | 17 | 17 |
| ბუდაპეშტი | 20 | 21 | 21 |
| ბუხარესტი | 20 | 18 | 19 |

# გამოცდა ქართული სახელმწიფოსთვის

პირველი გვერდიდან




არსებითად, თუ პროცესს დინამიკაში შევხედავთ, დღეს ქართულ რუსულ-ურთიერთობებში არაფერი ახალი არ ხდება. აქ ხაზგასასმელი მხოლოდ მოულოდნელობის ეფექტია, თორემ ისე ეს პროცესი გარდაუვალი იყო და ყველაფერი აქეთ მიემართებოდა. სათავე ამ პროცესს ჯერ კიდევ წლების წინ, სავიზო რეჟიმის ამოქმედებით დაედო, რითაც რუსეთმა უხეშად დაარღვია ხელშეკრულება დსთ-ს სახელმწიფოთა მოქალაქეების შეუზღუდავი გადაადგილების შესახებ - პრაქტიკულად, ის ერთადერთი ხიბლი, რაც ამ ეფემერულ გაერთიანებას წლების განმავლობაში გააჩნდა. ამას ეტაპობრივად მოჰყვა ემბარგო ქართულ ციტრუსზე, მერე სხვა აგრარულ პროდუქციაზე, მოგვიანებით ღვინოსა და მინერალურ წყლებზე, ამჟამად კი ამ სიას, როგორც გვპირდებიან, ქართული წვენებიც დაემატება. ანუ ადამიანების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის შემდეგ ჯერი გეგმაზომიერად კიდევ ერთი - საქონლის თავისუფალი გადაადგილების აკრძალვაზე მიდგა, რაც განხორციელდა კიდეც.

დღეს კი რუსეთი უკვე სრულფასოვან ეკონომიკურ ემბარგოს ახორციელებს, რაც ყველა ტიპის ურთიერთობის ხელოვნურ, ძალისმიერ წყვეტაში გამოიხატება. რასაკვირველია, როდესაც ეკონომიკურ სანქციებს აწესებს უდიდესი მეზობელი, უმსხვილესი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი და საქართველოს მოქალაქეების ყველაზე მასშტაბური გარე დამსაქმებელი, ეს უკვალოდ და უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის და მიმდინარე მოვლენები ამას უკვე ნათლად წარმოაჩენს: საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა შეწყვეტილია; ყველანაირი საკომუნიკაციო ურთიერთობა მოშლილია - არც ხმელეთით, არც ზღვით და არც ცით საქართველოსა და რუსეთს შორის აღარავინ გადაადგილდება და საფოსტო მომსახურებაც შეწყდა; ფულადი გზავნილების შეჩერების იდეამ მხოლოდ მისი ტექნიკური განუხორციელებლობის გამო ვერ შეისხა ფრთები; საქართველოს მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი და სამუშაო ქვოტები გაუქმდა და რუსეთის ტერიტორიაზე მათი ყოფნის ერთჯერადი მაქსიმალური ვადაც განახევრდა - 180-დან 90 დღემდე შემცირდა...

ზოგად ჩამონათვალს კონკრეტული ფაქტების სია ერთგვარად კომიკურ ელფერსაც კი აძლევს: საქართველოს ინტერპოლის ბიურის შეფს არ მისცეს ვიზა, რომ გელენჯიკში დსთ-ს ინტერპოლის ბიუროთა შეფების სხდომას დასწრებოდა, რაც ინტერპოლის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტად შევიდა; კალინინგრადში ვეტერინარული და ფიტოსანიტარული ზედამხედველობის სამსახურმა ადგილობრივი პორტის ადმინისტრაციას მხოლოდ იმის გამო აუკრძალა 5 თევზმჭერი გემის მიღება, რომ ისინი საქართველოს დროშით დაცურავდნენ და, თურმე, ისლანდიის ტერიტორიულ წყლებში ბრაკონიერობდნენ, რის თაობაზეც ინფორმაცია ეკოლოგიურ ორგანიზაცია "გრინფისს" გაუვრცელებია; სანქტ-პეტერბურგში ქართული ნაციონალური ბალეტის ("სუხიშვილების") ნოემბრისთვის დაგეგმილი გასტროლები გააუქმეს; მოსკოვში ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებამ საქართველოს საელჩოს სასტუმროში სტუმრობას მოუხშირა, რათა "სამართლიანობა აღადგინოს და შენობა კანონიერ მფლობელს - ფედერალურ უნიტარულ საწარმო "მელოდიას" დაუბრუნოს" და ა.შ. და ა.შ.

მოკლედ, ასეთია პირველი ტალღის რუსული ბლოკადა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს, არამედ ყველა იმ ქართველსაც ეხება, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს და საქმიანობს, მათ შორის რუსეთის მოქალაქის სტატუსით (ცნობისათვის: მარტო მოსკოვში 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, 55 ათასამდე ქართველი ცხოვრობს, ქართული სათვისტომოს ცნობით კი მათი რაოდენობა 100 ათასს აჭარბებს. მოსკოვის უახლესი ცნობარის მარტო ერთ - "ქართული სამზარეულოს" გრაფაში 124 კაფე და რესტორანია აღრიცხული). ამის დასტურია მოსკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დაკავებები და ლამის ყოველდღიური დეპორტირება, ასევე ის ტერორი, რომელსაც რუსი სამართალდამცველი თუ ფისკალური უწყებები ქართველების კუთვნილ კომპანიებზე ახორციელებენ. და ეს პროცესიც იმდენადვე ტრაგიკულია, რამდენადაც კომიკური იქნებოდა, ათასობით ადამიანის ბედს და გართულებულ ცხოვრებას რომ არ ეხებოდეს.

მთელმა ქვეყანამ ნახა, როგორ საჩვენებლად დაარბიეს რუსმა სამართალდამცველებმა ქართველი კრიმინალური ავტორიტეტების კუთვნილებად გამოცხადებული ჰოლდინგის - "GOLDEN PALACE"-ის ქსელში შემავალი სამი სამორინე. აქედან ყველაზე მსხვილი - "კრისტალი" იმ მიზეზით დალუქეს, რომ იქ, თურმე, 84 კაზინოს მაგიდა და 259 სათამაშო ავტომატი უნებართვოდ იდგა (ნეტა, სულ რამდენი იყო?), სამზარეულოში კი გაუფორმებელი ხიზილალა და ზუთხი უპოვიათ. ეს ინფორმაცია შესაბამისი ვიზუალური მასალით ყველა რუსულმა ტელეარხმა გადასცა. რაც შეეხება ინფორმაციის მეორე ნაკადს, კერძოდ, იმას, რომ "კრისტალს" საგადასახადო სამსახური ყოველთვე ამოწმებდა; იმას, რომ ყველა სათამაშო ავტომატი ინსპექციაში იყო აღრიცხული; იმას, რომ თვეში ნახევარ მილიონ დოლარს მარტო მოსაკრებლის ადგილობრივ ბიუჯეტში იხდიდა, უკვე აღარავინ გამოიხმაურება. ეს მხარე სრულიად უინტერესო აღმოჩნდა.

როდესაც ასე სახალხოდ, საჩვენებლად დასჯილი ობიექტის ისტორიაში ამდენი თეთრი ძაფია, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა ხდება სხვა უფრო წვრილ და ნაკლებად თვალში საცემ ობიექტებში.

ამდენად, მიზეზებზე ლაპარაკი დროის ფუჭი ხარჯვაა. უფრო მეტად ყურადღება, ალბათ, მოსალოდნელ შედეგებზე უნდა გამახვილდეს. მაინც რას უქადის ეს ბლოკადა საქართველოს და რანაირად აისახება ის ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე?

საქართველოში მოსალოდნელი ზარალის ოდენობა მიახლოებით უკვე დაითვალეს. ეკონომიკური განვითარების მინისტრის, ირაკლი ჩოგოვაძის განცხადებით, რუსული ბლოკადა საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპს 1,5-2%-ით შეამცირებს და, შესაძლოა, წლიური ზრდის ტემპი ნავარაუდევ 10%-ზე ნაკლები აღმოჩნდეს. თავისთავად, ეს უკვე საკმაოდ სერიოზული შეფერხებაა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეკონომიკურ ზრდას საქართველოში არანაკლებ რთული პრობლემა - ორნიშნა რიცხვით გამოხატული ინფლაცია ემუქრება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის 6%-ზე მეტი ინფლაცია უკვე საფრთხეს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ნაწილში. არადა, ამჟამად ინფლაცია ამ მაჩვენებელს ორჯერ და მეტად აღემატება. სხვათა შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის დასკვნაში და მისი წარმომადგენლის ცნობილ წერილში, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, საქართველოში ეკონომიკის ზრდის ძირითად შემაფერხებლად სწორედ ეს ორი ფაქტორი - მომეტებული ინფლაცია და რუსეთთან ურთიერთობების გამწვავებით გამოწვეული მაკროეკონომიკური რისკები არის მიჩნეული. მოკლედ, ეს ორი გარემოება, საბოლოო ანგარიშით, საქართველოს ამჟამინდელი ეკონომიკისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

რაც შეეხება ქართულ-რუსული ექსპორტ-იმპორტის მდგომარეობას და მნიშვნელობას: რუსული სტატისტიკა იუწყება, რომ 2005 წელს საქართველოდან რუსეთში 158 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია შევიდა. ეკონომიკურ და სტრუქტურულ რეფორმებში სახელმწიფო მინისტრის, კახა ბენდუქიძის განცხადებით, ონიშჩენკოს უწყების გამოისობით გამოწვეული ზარალი, დაახლოებით, 120 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს თანხაც მთლიანი შიდა პროდუქტის (2005 წელს მისი მოცულობა 6,4 მილიარდი დოლარი იყო), დაახლოებით, 2%-ის ფარგლებში მერყეობს და ამ მხრივ რაიმე პოზიტიური სიახლის მოლოდინი ამ ეტაპზე არასერიოზული ჩანს: ღვინის, "ბორჯომის", ნატურალური წვენების თუ ყველანაირი აგრარული პროდუქციის მწარმოებლებმა რუსული ბაზარი, ალბათ, კიდევ უფრო მეტი ხნით უნდა დაივიწყონ, ვიდრე თავდაპირველად იყო მოსალოდნელი.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ სიას რუსული ბლოკადის გამო ნელ-ნელა სხვა დარგებში მომუშავე კომპანიებიც ემატებიან. მაგალითად, თუნდაც, თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხანა, რომელსაც ეკონომიკური სანქციების ფარგლებში რუსეთის რკინიგზამ 7 მილიონი დოლარის მოცულობის შეკვეთა გაუუქმა "შეკვეთების რუსულ საწარმოებში განთავსების მიზანშეწონილობის გათვალისწინებით".

ასე რომ, რუსეთისკენ მიმართული საექსპორტო ნაკადი, შესაძლოა, საერთოდ განულდეს. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური სტატისტიკა ამაზე მიუთითებს: მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რუსეთში 43 მილიონი დოლარის პროდუქცია გადაიტვირთა, მეორეში კი უკვე თითქმის 4,5-ჯერ ნაკლები - მხოლოდ 10 მილიონი დოლარის და ეს კლება მესამე კვარტალშიც გაგრძელდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ქართული ექსპორტის მოცულობა იმავე პერიოდში 221-დან 249 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, მათ შორის, დსთ-ს ქვეყნებში - 113-დან 119 მილიონ დოლარამდე. ასე რომ, ქართულმა ბიზნესმა, როგორც ჩანს, მცირე დოზით, მაგრამ მაინც მოახერხა რუსეთიდან გამოძევებული პროდუქციის დასაქმება ალტერნატიულ ბაზრებზე.

ესეც არ იყოს, გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, ქართული ექსპორტი მარტო ღვინოს და თხილს უკვე დიდი ხანია, აღარ ემყარება: იმავე 2005 წელს ქვეყნიდან საექსპორტოდ 165 მილიონი დოლარის ღვინო და სხვა ალკოჰოლიანი თუ უალკოჰოლო სასმელები გავიდა, მაგრამ მათზე მეტი - 168 მილიონი დოლარი ჯართის ექსპორტმა მოიტანა. ხილის, ციტრუსების თუ თხილის ჯამურმა საექსპორტო მოცულობამ 77 მილიონი დოლარი შეადგინა, მაგრამ ეს მაინც 2 მილიონით ნაკლები აღმოჩნდა იმაზე, რაც საფრენი აპარატებისა თუ მათი კომპონენტების ექსპორტის ღირებულება იყო.

თუმცა, ექსპორტის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები მაინც ძალიან დამაფიქრებელია: 2005 წელს საზღვარგარეთ გატანილი სასმელების მოცულობა 2004 წლისას მთელი 63%-ით აღემატებოდა, ხილის და თხილის - 3,5-ჯერ იყო გაზრდილი. ამ დროს ჯართის ექსპორტის მატება მხოლოდ 20% იყო. 2006 წლის აქტივობას კომპანიები სწორედ ამ მონაცემების გათვალიწინებით გეგმავდნენ და, ცხადია, მათთვის რუსული ემბარგო დიდი დარტყმა აღმოჩნდა. მარტო სასმელების ექსპორტი მიმდინარე წლის მეორე კვარტალში პირველთან შედარებით 82%-ით შემცირდა, ხილის და თხილის კი განახევრდა.

ეს ცვლილებები დაუყოვნებლივ აისახა ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ბალანსზე. თუ 2005 წელს ქართული ექსპორტი (866 მილიონი დოლარი) იმპორტის მხოლოდ 34%-ს შეადგენდა, მიმდინარე წლის პირველი კვარტალში 32%-მდე დაეცა, მეორეში კი - სულაც 27%-მდე. ანუ იმპორტის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე, რომელიც არც ისე იყო პატარა, საკმაოდ მოკლე დროში მაღალი ტემპით კიდევ უფრო მეტად გაიზარდა და ეს განსაკუთრებით ეხება იმ ნაკადს, რომელიც რუსეთიდან საქართველოსკენ მოემართება.

მარტო მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში რუსული იმპორტის მოცულობა 87,8%-ით გაიზარდა და 298 მილიონი დოლარი შეადგინა (მთელი 2005 წლის მონაცემი 353 მილიონს შეადგენდა). თან, რუსული იმპორტი არ არის ერთგვაროვანი კატეგორია და საკმაოდ განსხვავებულ საქონელს მოიცავს. ერთი მხრივ, რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქტების ნუსხაში არის, მაგალითად, კვების პროდუქტები, სარეცხი საშუალებელი, საყოფაცხოვრებო ნივთები და ბევრი სხვა ისეთი საქონელი, რომელთა ჩანაცვლებაც იოლად მოხდება. ჯერ ერთი, ამ პროდუქციის ნაწილს (იმავე კვების პროდუქტებს) საქართველო თვითონვე აწარმოებს. ესეც არ იყოს, 1 სექტემბრიდან ბევრ სასაქონლო ჯგუფზე განულებული საბაჟო ტარიფი მოქმედებს (ანუ დსთ-ს სივრცის კიდევ ერთი უპირატესობა - ნულოვანი საიმპორტო გადასახადების სისტემაც მოშლილია) და ამ მხრივ სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებულმა საქონელმა რუსული ანალოგები განსაკუთრებული გაძვირების გარეშე უნდა ჩაანაცვლოს (თუ გაძვირება იმპორტიორებმა არ "მოინდომეს").

მაგრამ სულ სხვაგვარადაა საქმე რუსეთიდან იმპორტირებული საქონლის სხვა ჯგუფთან - კერძოდ, ენერგორესურსებთან. ჯერჯერობით ჩაუნაცვლებელი რუსული გაზისა და დენის გაძვირება მიმდინარე მოვლენების გამო უკვე არანაირ ეჭვს არ იწვევს. თუ 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს "გაზპრომი" დღევანდელი 110-დან მოსალოდნელ 200-250 დოლარამდე გაზრდის, ეს საქართველოს ეკონომიკის ზრდის კიდევ 1,5-2%-ს (ფულად გამოსახულებაში 110-130 მილიონი დოლარი) შეიწირავს და ამ საფრთხეს ვერც აზერბაიჯანული გაზის იმპორტზე მიღწეული შეთანხმება გაანეიტრალებს.

მოგეხსენებათ, საქართველო წლის ბოლომდე აზერბაიჯანული შაჰ-დენიზის საბადოდან 300 მილიონ კუბურ მეტრ ბუნერივ აირს მიიღებს, რაც თავდაპირველი კონტრაქტით დაგეგმილზე 6-ჯერ მეტია. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ნიკა გილაურის ეს განცხადება უკვე დაადასტურა მისმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ ნატიკ ალიევმა. მართალია, აირის დამატებითი მოცულობების ფასი ჯერ არ შეთანხმებულა, მაგრამ ის ნებისმიერ შემთხვევაში გაცილებით იაფი ეღირება, ვიდრე "გაზპრომის" კუთვნილი ენერგია. თუმცა, ამ ეტაპზე აზერბაიჯანული აირი ვერ გახდება რუსული გაზის სრულფასოვანი ჩანაცვლების მექანიზმი, ვინაიდან საუკეთესო შემთხვევაში ის საქართველოს მოთხოვნის მხოლოდ მეხუთედს თუ დააკმაყოფილებს. ასე რომ, "გაზპრომი" კვალავაც ბუნებრივი აირის ძირითად მომწოდებლად დარჩება და მისი გაზის საფასურის გაორმაგება უშუალოდ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, მის ცალკეულ სუბიექტებსა თუ მთელ მოსახლეობაზე.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსული წყაროები უკვე აქტიურად საუბრობენ "თელასის" მფლობელი "ინტერ რაო ეეს"-ის შესაძლო გაყიდვაზე, პოტენციურ მფლობელად კი სწორედ ძგაზპრომს" ასახელებენ, უახლოეს ხანებში საქართველოს გასასრესად მომართული წნეხის უკიდურესი დამძიმება კიდევ უფრო რეალური ჩანს. რუსულმა გაზგიგანტმა, რომლის დირექტორთა საბჭოსაც გამოკვეთილად პოლიტიკური ფიგურა, რუსეთის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი, სტრატეგიული ნაციონალური პროექტების კურატორი და პუტინის ერთ-ერთ შესაძლო მემკვიდრედ მიჩნეული დმიტრი მედვედევი თავმჯდომარეობს, ევროპასთან თუ უკრაინასთან ომში დაუფარავად მოახდინა დემონსტრირება, რომ სწორედ ის არის რუსული პოლიტიკის ყველაზე აქტიური და ქმედითი იარაღი. იმ პოლიტიკის, რომლის შედეგადაც ისტორიაში პირველად საქართველო რუსეთის მოსახლეობაში უპირველეს მტრად არის მიჩნეული.

აქ ერთადერთი იმედი ის არის, რომ რუსეთი ბუნებრივ აირს მაქსიმალურ ნიშნულამდე არ გააძვირებს, ვინაიდან საქართველოზე გავლით ეს რესურსი მისმა ერთადერთმა კავკასიელმა მოკავშირემ - სომხეთმა უნდა მიიღოს და მისთვისაც იგივე ფასის დადგენა იქნება საჭირო, რაც საქართველოსთვის, გაზსადენზე აირის მასობრივი ქურდობა რომ არ დაიწყოს. თუმცა, თუ შევხედავთ, რა ხელების გრეხვით არჯულებს რუსეთი მთლად მეზობლად მდებარე ყურმოჭრილ პარტნიორს - ბელარუსს, ეს იმედიც მთლად უეჭველი ვერ იქნება.

ფაქტია, რომ რუსეთის სატელიტები ცალკე საფრთხეების ჯგუფია, რომელიც ასევე ქართული ბლოკადის კონტექსტში უნდა მოვიაზროთ. მაგალითად, რუსებმა უკვე მიმართეს იმავე ბელარუსს, რომ საქართველოსთან მიმართებაში მათაც აამოქმედონ სავიზო რეჟიმი, რათა ბელარუსიდან რუსეთში ქართველების შეუფერხებელი გადაადგილება შეზღუდონ. მართალია, ეს ჯერ მხოლოდ თეორიული საფრთხეა, თუმცა, სავსებით სავარაუდოა მისი რეალობად ქცევა, რაც კიდევ უფრო მეტად გაართულებს ქართული სამუშაო ძალის გადაადგილებას დსთ-ს სივრცეში. არადა, რიცხობრივ გამოსახულებაში არც ეს არის პატარა მოცულობა: იმავე მიგრაციის ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, მარტო წლეულს იანვარ-ივნისის პერიოდში რუსეთში 79 ათასი საქართველოს მოქალაქე შევიდა და აქედან 29 ათასმა ადგილებზე რეგისტრაციის მოწმობაც მიიღო.

ცალკე საუბრის თემაა სატრანსპორტო ბლოკადა. საავიაციო მიმოსვლის შეწყვეტა საკმაოდ სერიოზული დარტყმაა ქართული ავიაკომპანიებისთვის, რომელთა ფრენების განრიგშიც რუსეთის მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური იყო. იდეა რუსეთში მესამე ქვეყნების გავლით ფრენის თაობაზე რუსეთის საელჩოს მიერ ვიზების გაცემის აღდგენამდე გამორიცხულია. ესეც არ იყოს, მესამე ქვეყნის გავლით რეისების განხორციელება დამატებით და არცთუ მცირე ფინანსურ დანახარჯს გულისხმობს, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საზღვაო გზით მიმოსვლა ისედაც საკმაოდ მოკრძალებული მასშტაბების იყო და, უპირატესად, მხოლოდ ზღვისპირა ქალაქების მოსახლეობის ერთი ქვეყნიდან მეორეში კატარღებით გადაყვანას მოიცავდა. მართალია, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისთვის ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი არხი იყო, მაგრამ საერთო სურათზე მნისვნელოვან გავლენას ვერც აქამდე ახდენდა და ვერც ახლა მოახდენს.

სახმელეთო გზით მიმოსვლა კი ისედაც, პრაქტიკულად, ბლოკირებული იყო: ფსოუს საზღვარზე რაც ხდება, ყველას მოეხსენება; როკის გვირაბიდან შემოსული ტვირთების მოცულობა ცხინვალის რეგიონში გამწვავებული მდგომარეობის გამო ისედაც საკმაოდ შემცირებული იყო; ზემო ლარსის საგუშაგო კი რუსებმა სარემონტო სამუშაოების მომიზეზებით გაურკვეველი ვადით დაკეტეს. ამის მიუხედავად, რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრომ ამ არხების ბოლომდე გადაკეტვის მიზნით ქართული სანომრე ნიშნების მქონე 2,5 ათას სხვა და სხვა გაბარიტის სატრანსპორტო საშუალებას გაუუქმა გაცემული ნებართვები და აუკრძალა რუსეთის ტერიტორიაზე გადაადგილება, რაც საკმაოდ მძიმე დარტყმაა ქართველი გადამზიდავების, მათი საბაზრო პოზიციებისა თუ ფინანსური მდგრადობისთვის.

რაც შეეხება ფულადი გზავნილების შეჩერებას, ეს, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაგებით ყველაზე ძვირადღირებული საკითხია. თავად განსაჯეთ: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, რუსეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობამ 2005 წელს 300 მილიონ დოლარს გადააჭარბა. წლევანდელი სტატისტიკა მიუთითებს, რომ ეს არხი მზარდი იყო და დღეში, საშუალოდ, 1 მილიონი დოლარის ოდენობის გზავნილები შემოდიოდა. უფრო შთამბეჭდავ ციფრებს ასახელებს რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახური: მათი მონაცემებით, შარშან ეს ნაკადი 1,24 მილიარდ დოლარს შეადგენდა. მოკლედ, საკითხის ფასი საკმაოდ მაღალია. თუმცა, იმთავითვე ცხადია, რომ ფულადი გზავნილების აკრძალვის იდეა განუხორციელებლია. საერთაშორისო ფულადი ტრანსფერების მომსახურე სისტემები ("ვესტერნ იუნიონი", "მანიგრამი", "ანელიკი" და ბევრი სხვაც) რუსული ბლოკადის სურვილს აბსოლუტურად არ ემორჩილებიან. რომც მოხერხდეს რუსეთიდან საქართველოსკენ მომართული ფულადი ნაკადების ბლოკირება, თანხების საქართველოში გადმორიცხვა მესამე ქვეყნების გავლით დაიწყება. თუმცა, ეს ცხადია, დამატებით დროსთან და ტრანზაქციებთან იქნება დაკავშირებული.

დაბოლოს, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება, რაც თავისი შინაარსით ასევე საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველია, მაგრამ ჯეროვანი ყურადღება რატომღაც არავინ მიაქცია. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო "STANDARD & POORS" -მა უკვე განაცხადა, რომ რუსეთთან გართულებული ურთიერთობების მოკლე ვადებში მოუწესრიგებლობის შემთხვევაში საქართველოს ბიზნეს-რეიტინგი შესაძლოა გაუარესებისკენ გადაისინჯოს. ეს კი თავისი მნიშვნელობით არანაკლებ დიდი საფრთხეა, ვინაიდან მსგავსი რეიტინგების შეფასებებს ბევრი სერიოზული კომპანია თავის საქმიანობაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და ამ რეიტინგში პოზიციის დაკარგვა საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის კლების ინდიკატორი შეიძლება გახდეს. სწორედ ეს იქნება ის ყველაზე დიდი დარტყმა, რაც საქართველომ რუსული ბლოკადის შედეგად შეიძლება მიიღოს და მერე საკმაოდ დიდხანს მოუხდეს ამ ჭრილობების მოშუშება.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი უპირველესი წინაპირობა რისკების რეალურად შეფასება და შემდეგ მათზე ადექვატური რეაგირებაა. ფაქტია, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთის მიერ გამოცხადებული ბლოკადა საქართველოსთვის საკმაოდ რთული გამოცდაა. გამოცდა, რომლის ყველაზე მწვავე ფაზა უკვე ძალიან მალე - წლევანდელ ზამთარსვე იქნება. დანაკარგები გარდაუვალია და ამას, ალბათ, ამთავითვე უნდა შევეგუოთ. მთავარია, რამდენად სერიოზული იქნება ეს დანაკარგები და რამდენად სწრაფად მოხერხდება მათი ანაზღაურება. პარალელურად, რამდენად საფუძვლიანად მოხდება უეცრად გააქტუალურებული რისკების აღმოფხვრა ან ნიველირება.

